



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში



სარჩევი

გენერალური აუდიტორის მიმართვა	4
2018 წლის ძირითადი შედეგები.....	6
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მისია, ღირებულებები და სტრატეგიული მიზნები.....	9
1. დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება.....	10
2. აუდიტორული საქმიანობა	12
2.1 ძირითადი შედეგები.....	13
2.2 რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	35
3. ძირითადი პარტნიორების ჩართულობა	50
3.1 თანამშრომლობა პარლამენტთან	51
3.2 თანამშრომლობა მთავრობასთან	52
3.3 თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან	52
3.4 საზოგადოებასთან ურთიერთობა	53
3.5 საერთაშორისო თანამშრომლობა	55
4. შიდა მმართველობა და ორგანიზაციული კულტურა	59
4.1 ეთიკური გარემოს გაუმჯობესება	60
4.2 შიდა ინფორმაციული სისტემები და უსაფრთხოება	60
5. თანამშრომელთა პროფესიული განვითარება.....	62
6. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა.....	66
7. მომავლის ხედვა და არსებული გამოწვევები.....	69
8. სამსახურის ფინანსები	71
დანართები	73
დანართი N1. 2018 წელს ჩატარებული აუდიტების სია	73
დანართი N2. სამართალდამცავ ორგანოებში 2018 წელს გადაგზავნილი ანგარიშების ჩამონათვალი.....	77
დანართი N3. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	79

გენერალური აუდიტორის მიმართვა

წარმოგიდგენთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის საქმიანობის ანგარიშს. ანგარიში მოიცავს სამსახურის ხუთწლიანი განვითარების სტრატეგიის პირველი წლის შედეგებს. ამ ერთი წლის განმავლობაში გადაიდგა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ინსტიტუციური, პროფესიული და ორგანიზაციული გაძლიერების მიმართულებებით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის საქმიანობა წარიმართა სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების ფარგლებში, რაც, უპირველეს ყოვლისა, მოიცავდა საერთაშორისო სტანდარტებთან (PEFA) დაახლოებას, სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტების დაფარვის მაჩვენებლების გაზრდის გზით. ასევე აღსანიშნავია, რომ გასულ წელს დაინერგა აუდიტის ახალი მიმართულება, ე.წ. კორიზონტალური აუდიტი, რომელიც ფოკუსირდება საჯარო სექტორში არსებულ სისტემურ ხარვეზებზე.

კორიზონტალური აუდიტების დანერგვამ ინსტიტუციას მისცა რესურსების ოპტიმიზაციის საშუალება, რის შედეგად უფრო მეტი ძალისხმევა იქნა მიმართული ეფექტიანობის აუდიტზე. აღნიშნული აუდიტი ორიენტირებულია მოქალაქეებისათვის სარგებლის მოტანაზე და პირდაპირ ეხმიანება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უმთავრეს ფუნქციას. ეფექტიანობის აუდიტი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია საჯარო ფინანსების მართვის ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შესაფასებლად. აღნიშნული აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები ხელს უწყობს საჯარო სერვისების ხარისხის თვისობრივ გაუმჯობესებას.

ჩვენი საქმიანობის ძირითადი შედეგი გამოიხატება გაცემული რეკომენდაციების შესრულებაში. აუდიტის სამსახურის პროაქტიული მიდგომით, ასევე მონაწილე მხარეების (პარლამენტი და აუდიტის ობიექტები) აქტიური ჩართულობის შედეგად, რეკომენდაციების შესრულება 43%-დან 60%-მდე გაუმჯობესდა. აქედან, 25%-დან 47%-მდე გაიზარდა სამსახურის მიერ გაცემული სისტემური/მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი. წინამდებარე ანგარიშში მოყვანილია გაცემული რეკომენდაციების შესრულებით მიღებული სარგებლის არაერთი წარმატებული მაგალითი. ამასთანავე, სამსახური საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით მუშაობს რეკომენდაციების გავლენის შეფასების მიმართულების ჩამოყალიბებაზე.

სამსახურის მიზანია მიღწეულ იქნეს რეკომენდაციების შესრულების კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებელი, რისთვისაც ინსტიტუცია გეგმავს პროცესების ავტომატიზაციას და მუშაობს რეკომენდაციების



შესრულების მონიტორინგის ელექტრონულ სისტემაზე. სისტემა საშუალებას მისცემს პარლამენტს ზედამხედველობა გაუწიოს მთავრობის საქმიანობას და გაზარდოს მისი ეფექტიანობა რეკომენდაციების შესრულების მეშვეობით.

აუდიტის სამსახურის საქმიანობის წარმატებასა და განხორციელებული აუდიტების მაღალ ხარისხზე მიუთითებს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული ნდობა. გასულ წელს, პირველად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრაქტიკაში, ჩატარდა მსოფლიო ბანკის (WB) მიერ დაფინანსებული პროექტის ეფექტიანობის აუდიტი. ასევე სამსახურმა წარმატებით გაიარა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ხარისხის პროცედურა და აღიარებულ იქნა USAID-ის აუდიტორად სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

სამსახური ერთობლივ პროექტებში ჩართულობით აფართოებს თანამშრომლობას საერთაშორისო პარტნიორებთან. 2018 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, 15 ევროპულ სახელმწიფოსთან ერთად, პირველად მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო აუდიტში. ამავე წელს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჩართულობით დაიგეგმა კიდევ ერთი საერთაშორისო აუდიტი, რომელსაც სახელმწიფო აუდიტის სამსახური გაუწევს ხელმძღვანელობას.

საჯარო სექტორში ელექტრონული მმართველობის დანერგვამ პრიორიტეტული გახდა ინფორმაციული უსაფრთხოება და ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტი, რომელიც სამსახურისთვის ჯერჯერობით ისევ გამოწვევად რჩება. ამ პროცესში ძირითადი პარტნიორია მსოფლიო ბანკი, რომელიც ახორციელებს IT აუდიტორების შესაძლებლობების გაძლიერებასა და კიბერუსაფრთხოების მიმართულების განვითარების მხარდაჭერას.

აუდიტორულ სფეროში არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში, აუდიტის სამსახურისთვის ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს კვალიფიციური კადრების მოზიდვა. 2018 წელს შეიქმნა და პირველად განხორციელდა ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა, რომლის მიზანია ახალგაზრდა კადრების მოძიება და მათი პროფესიული განვითარება. მაღალი კონკურენციის პირობებში, სამსახურმა შეარჩია 20 ახალგაზრდა, რომლებმაც გაიარეს სტაჟირების პროგრამისთვის შექმნილი სპეციალური სასწავლო კურსი და უკვე აქტიურად არიან ჩართული აუდიტორულ საქმიანობაში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ძალისხმევა მიმართულია აუდიტორული უნარების მუდმივ განვითარებასა და შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რათა ჩვენი საქმიანობა იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი, სანდო, ხარისხიანი და ეფექტიანი.

ერეკლე მეფეაბიშვილი

გენერალური აუდიტორი

2018 წლის ძირითადი შედეგები

1. დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება

- 2018 წელს ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონმა „ორგანული კანონის“ სტატუსი შეიძინა;
- აუდიტის სამსახურს მიენიჭა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი პირდაპირი მიმართვის უფლება;
- 2018 წლიდან პარლამენტის რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, აუდიტის სამსახურის ფინანსურ კონტროლს განახორციელებს მსოფლიოს 4 უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანიიდან ერთ-ერთი.

2. აუდიტორული საქმიანობა

- ჩატარდა 90 აუდიტი, მათ შორის: 25 ფინანსური, 53 შესაბამისობის და 12 ეფექტიანობის აუდიტი;
- ეფექტიანობის აუდიტების რაოდენობა გაიზარდა 33%-ით;
- ნაერთი ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი გაიზარდა 4%-ით და 85% შეადგინა;
- აუდიტის სამსახურმა დაიწყო 2 სისტემური (პორიზონტალური) შესაბამისობის აუდიტი, რაც აუდიტის ახალ მიმართულებას წარმოადგენს;
- აუდიტის სამსახური 2018 წლიდან გახდა მსოფლიო ბანკის (WB) აუდიტორი ორგანიზაცია;
- 2018 წელს ხარისხის კონტროლის პროცედურის გავლის შემდეგ აუდიტის სამსახური აღიარებულ იქნა USAID-ის პროექტების აუდიტორად;
- 2018 წელს აუდიტის სამსახურმა პირველად განახორციელა საერთაშორისო დონორის (მსოფლიო ბანკის) მიერ დაფინანსებული პროექტის აუდიტი;
- აუდიტის სამსახურმა პირველად 15 ქვეყნისა და ევროკავშირის აუდიტორთა ჩართულობით მონაწილეობა მიიღო „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის“ ერთობლივ ეფექტიანობის აუდიტში;
- სამსახური მონაწილეობდა INTOSAI IDI-ის მიერ ორგანიზებულ 2 პარალელურ აუდიტში: „ქვეყანაში ანტიკორუფციული გარემოს უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი“ და „მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) განხორციელების მზადყოფნის ეფექტიანობის აუდიტი“;¹
- აუდიტის ობიექტებთან პროაქტიული მუშაობის შედეგად 2015-2017 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი 43%-დან გაიზარდა 60%-მდე;
- სისტემური/მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი 25%-დან გაიზარდა 47%-მდე;
- დაინერგა აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვის სისტემა;
- სამართალდამცავ ორგანოებში გადაიგზავნა 33 აუდიტის შესაბამისი მასალა.

¹ https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2019/mdgradi_ganvitarebis_miznebis_efeqtianobis_auditis_angarishi.pdf



3. ძირითადი პარტნიორობის ჩართულობა

თანამშრომლობა პარლამენტთან

- პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებულ აუდიტის ანგარიშების განმ-ხილველ სამუშაო ჯგუფს მიენიჭა მუდმივმოქმედი ჯგუფის სტატუსი;
- 2018 წელს პარლამენტმა განიხილა 12 აუდიტის ანგარიში და გამოსცა 4 გადაწყვეტილება.

ჩართულობა და მემჭირველობა

- აუდიტის სამსახურმა მოიპოვა IDFI-ის ჭილდო საჯარო ინფორმაციის გაცემის 100%-იანი მაჩვენებლის უზრუნველყოფისათვის;
- 2017-2018 წლებში მიღებული 49 მომართვიდან 13 მომართვა გათვალისწინებულ იქნა 2018 წლის, ხოლო 10 – 2019 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმაში;
- სამსახურის ანალიტიკური ვებპლატფორმის – ბიუჯეტის მონიტორის, როგორც აუდიტის ინოვაციური მიდგომის შესახებ, სტატიები გამოქვეყნდა EUROSAI-ის ინოვაციურ სიახ-ლეებსა² და EUROSAI-ის ჟურნალში;³
- ბიუჯეტის მონიტორი წარდგენილ იქნა საქართველოში გამართულ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) მე-5 გლობალურ სამიტზე;
- აუდიტის სამსახურის ძირითადი პროდუქტებისა და ბიუჯეტის მონიტორის შესახებ გაი-მართა 10 სამუშაო შეხვედრა პარლამენტთან, მედიასთან, სამოქალაქო და აკადემიური სექტორის წარმომადგენლებთან;
- შეიქმნა ეფექტიანობის აუდიტის ბლოგი (www.blog.sao.ge);
- გაიმართა მედიასემინარი, რომელსაც ესწრებოდა 30-მდე ჟურნალისტი ცენტრალური და რეგიონული მედიიდან.

საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ბელგიის აუდიტის სასამართ-ლოს, უკრაინის საანგარიშო პალატასა და სომხეთის აუდიტის პალატასთან;
- სამსახურმა გაიმართა მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებულ კონკურსში თემაზე – „ღიდი მონაცემების ანალიტიკა მმართველობისთვის“ და მოიპოვა გრანტი 25 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნული პროექტის დანერგვით გაძლიერდება სამსახურის ანალიტიკური შესაძლებლობები;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს INTOSAI-ის, EUROSAI-ისა და ASOSAI-ის 15-მდე საერთაშორისო შეხვედრაში;
- აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების კუთხით პროექტები მიმდინარეობდა დონორ ორგანიზაციებთან: GIZ, EU, WB, USAID.

² EUROSAI Innovations Newsletter; Budget Monitor – Innovative Analytical Web-platform; https://www.eurosai.org/handle404?exporturi=/export/sites/eurosai/.content/documents/about-us/INNOVATIONS-_NEWSLETTER_No-2_2019_04.pdf

³ EUROSAI Magazine, 24 (2019): 86-87; <http://maquetacioneditorial.com/eurosai/N24/EN/>

4. შიდა გეარტველობა და ორგანიზაციული კულტურა

- დაინერგა აუდიტის მართვის ელექტრონული სისტემა – AMS და 2018 წელს მისი საშუალებით დასრულდა 46 აუდიტი, რაც მთლიანი აუდიტორული საქმიანობის ნახევარს წარმოადგენს;
- ინფორმაციული უსაფრთხოების მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფისათვის, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით სამსახურმა შეისყიდა მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი უსაფრთხოების ლაბორატორიის მოწყვლადობის შეფასებისა და შეღწევადობის ტესტირების პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტი;
- ეთიკური გარემოს გასაუმჯობესებლად, ნიდერლანდების უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის მხარდაჭერით, განხორციელდა სამსახურის კეთილსინდისიერების გარემოს თვითშეფასება IntoSAINT-ის⁴ მეთოდოლოგიით;
- განახლდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა ეთიკის კოდექსი;
- დაინერგა საკადრო როტაციის პოლიტიკა.

5. თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

- სამსახურში დაინერგა და 2018 წელს 2-ჯერ განხორციელდა თანამშრომელთა შეფასება;
- 2018 წელს სხვადასხვა მიმართულებით კვალიფიკაცია აიმაღლა სამსახურის 200-მა თანამშრომელმა;
- 2018 წელს შეიქმნა და პირველად განხორციელდა ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სტაჟირებას გაივლის 20 აუდიტორ-სტაჟიორი და წარმატებული კანდიდატები დასაქმდებიან აუდიტის სამსახურში;
- სამსახურის 91 თანამშრომელი ფლობს საჭარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიკატს, აქედან: 46 თანამშრომელი – ACCA-ის, 19 თანამშრომელი – IT მიმართულებით საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატებს, 5 თანამშრომელი – CFA-სა და CFM-ს.

⁴ უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების კეთილსინდისიერების თვითშეფასების მეთოდოლოგია.



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მისია, ღირებულებები და სტრატეგიული მიზნები

მისია

დამოუკიდებელი და ხარისხიანი აუდიტორული საქმიანობით შევქმნათ ღირებულება და სარგებელი საზოგადოებისთვის, პარლამენტისა და მთავრობისთვის.

ხედვა

აღვასრულოთ ჩვენი მოვალეობა კეთილსინდისიერად და ხარისხიანად.

ღირებულებები

დამოუკიდებლობა

ჩვენი საქმიანობა ეფუძნება მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრინციპებს.

პროფესიონალიზმი

ჩვენი თანამშრომლები საქმიანობას წარმართავენ მაღალი პროფესიული სტანდარტების, კეთილსინდისიერებისა და ეთიკის შესაბამისად.

ობიექტურობა

ჩვენი საქმიანობა ემყარება სამართლიანობის, სანდოობისა და ნეიტრალიტეტის პრინციპებს.

გამჭვირვალობა

ჩვენ ვართ ანგარიშვალდებულნი საზოგადოების წინაშე და უზრუნველყოფთ შესაბამისი ინფორმაციის საჯაროობას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგიული მიზნები



მიზანი 1:

დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება



მიზანი 2:

მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობის შედეგად საჯარო ფინანსების მართვის თვისობრივი გაუმჯობესება



მიზანი 3:

ძირითადი პარტნიორების ჩართულობის გაძლიერება



მიზანი 4:

მმართველობის სისტემის გაძლიერებით ეფექტიანობის ამაღლება



მიზანი 5:

თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

1.

დემოუკიდებლობისა და მენდების გამლიერება



უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციისთვის დამოუკიდებლობა უმთავრესი ღირებულებაა, რომლის განმტკიცებაზე ზრუნვა მუდმივი პროცესია. დამოუკიდებლობის გარანტიები დიდ გავლენას ახდენს უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობაზე, მათ რეპუტაციასა და ნდობაზე.

2018 წელს ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონმა შეიძინა „ორგანული კანონის“ სტატუსი. ასევე, სამსახურს მიენიჭა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი პირდაპირი მიმართვის უფლება. აღნიშნულმა ცვლილებებმა კიდევ უფრო გააძლიერა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობის გარანტიები და დაუახლოვა საერთაშორისო სტანდარტებს.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ 2018 წელს პარლამენტის რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსურ კონტროლს განახორციელებს მსოფლიოს უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანია. აღნიშნული ცვლილებები ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს და საუკეთესო პრაქტიკას.

დამოუკიდებლობის საკანონმდებლო გარანტიების შექმნის პარალელურად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური განაგრძობს აქტიურ კონსულტაციებს საქართველოს პარლამენტთან აუდიტორული მანდატის შემდგომი გაძლიერების მიზნით.

2.


ეუდითორული საქმიანობა




2.1 ძირითადი შედეგები

2018 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 90 აუდიტი და ჯამურად დაფარა 11 მლრდ ლარი, რაც ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის 85%-ს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელთან შედარებით შემცირდა ფინანსური აუდიტების რაოდენობა, რაც გამოწვეული იყო მთავრობის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებებით (სამინისტროების გაერთიანებით), 4%-ით გაიზარდა ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი. 2018 წელს ჩატარდა 25 ფინანსური, 53 შესაბამისობის და 12 ეფექტიანობის აუდიტი.

დიაგრამა 1: ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი წლების მიხედვით (მლნ ლარი)



დიაგრამა 2: აუდიტების რაოდენობა სახეობებისა და წლების მიხედვით



სისტემური (კორიზონტალური) უკუკითხვა

აუდიტების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები ხშირ შემთხვევაში სისტემურია და საერთოა უწყე-

ბების უმრავლესობისათვის. სწორედ ამიტომ, 2018 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაიწყო აუდიტის ახალი მიმართულებების, სისტემური (კორიზონტალური) აუდიტების ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო სექტორში სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენას და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

2018 წელს სამსახურმა დაიწყო 2 სისტემური შესაბამისობის აუდიტი, რომლებიც დასრულდება 2019 წელს, კერძოდ:

- სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემური საკითხები;
- სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხები.

დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2018 წელს პირველად განხორციელა საერთაშორისო დონორის მიერ დაფინანსებული პროექტის აუდიტი. მსოფლიო ბანკის (WB) პროექტის – „შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვა“ (SRAMP) დამოუკიდებელი ეფექტიანობის აუდიტი, სამსახურმა მსოფლიო ბანკისა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მომართვის საფუძველზე ჩაატარა. ამასთანავე, მსოფლიო ბანკმა ოფიციალურად მომართა აუდიტის სამსახურს საქართველოში მის მიერ დაფინანსებული რამოდენიმე მსხვილი პროექტის აუდიტის განხორციელების თხოვნით, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს მოლაპარაკება.

ასევე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს 2018 წელს მიმართა USAID-მ, მის მიერ დაფინანსებული პროექტის ფინანსური აუდიტის ჩატარების შესახებ. აუდიტის სამსახურმა სრულად დააკმაყოფილა USAID-ის მოთხოვნები აუდიტის ხარისხთან დაკავშირებით და გახდა USAID-ის აუდიტორი ორგანიზაცია ამიერკავკასიის რეგიონში. ამჟამად, მიმდინარეობს მოლაპარაკება შესაბამისი მემორანდუმის გაფორმების საკითხზე.

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან გამოცხადებული ნდობა მიუთითებს აუდიტის სამსახურის საქმიანობის წარმატებასა და აუდიტების მაღალ ხარისხზე.

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შედეგები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტები. ფინანსურ აუდიტში სამსახური გაცემს დასკვნას აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების სისრულესა და სიზუსტეზე.

შესაბამისობის აუდიტში სამსახური ადგენს აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესაბამისობას კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, სახელმწიფო მოთხოვნებსა და ორგანიზაციულ პოლიტიკასთან მიმართებაში.

2018 წელს აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 25 ფინანსური და 53 შესაბამისობის აუდიტი, რაც მთლიანი განხორციელებული აუდიტორული საქმიანობის 87%-ს შეადგენს. ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი დარღვევების ჯამურმა მოცულობამ 66 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული ძირითადად წარმოადგენს საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი, არაეკონომიური და არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევებს და არ მოიცავს აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებით იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს.

აუდიტის სამსახურმა გააანალიზა გასული წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტების მიგნებები და გამოკვეთა ისეთი სისტემური ხასიათის დარღვევები, რომლებიც სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

ფინანსური აუდიტის შედეგები

საჯარო სექტორში ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებით არსებულ სისტემურ გამოწვევებზე მიუთითებს ფინანსურ აუდიტებში გაცემული მოსაზრებების⁸ სტატისტიკა. კერძოდ, 2018 წელს ჩატარებულ 25 ფინანსურ აუდიტში არ გაცემულა არცერთი უპირობო მოსაზრება, ხოლო მოსაზრებების 28% (7 მოსაზრება) იყო უარყოფითი.

დარღვევის კატეგორია

შესყიდვების მართვა⁵

21,019 ათასი ლ
32.0%*

პატივების მართვა⁶

20,248 ათასი ლ
30.8%*

საბიუჯეტო რესურსების მართვა⁷

24,452 ათასი ლ
37.2%*

*წილი მთლიან თანხაში

სულ: 65,719 ათასი ლ

⁵ მომწოდებლისათვის საჭარიმო სანქციის ან პირგასამტეხლოს დაუკისრებლობა; მომწოდებლის მიერ საჭარიმო სანქციის ან პირგასამტეხლოს გადაუხდელობა; დოკუმენტური დასაბუთების გარეშე ანაზღაურებული სამუშაოები; მომწოდებლის მიერ შეუსრულებელი ან ნაწილობრივ დასრულებული სამუშაოები; სატენდერო დოკუმენტაციაში შემზღუდავი პირობების არსებობის შედეგად არაეკონომიურად გახარჯული თანხები.

⁶ იჯარით გაცემულ სახელმწიფო ქონებაზე გადაუხდეელი საიჯარო ქირა; ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები; სახელმწიფო ქონების პრივატიზება საბაზრო ღირებულებაზე დაბალ ფასად; საიჯარო ქირის გარეშე სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფო ქონება.


⁷ გამოუყენებელი მარაგები; ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე საბაზრო ღირებულებაზე მეტი ოდენობით თანხების ანაზღაურება; შესყიდული საქონლის/მომსახურების გამოუყენებლობა.

⁸ ფინანსური აუდიტში გამოთქვამენ ოთხი ტიპის მოსაზრებას:


- უპირობო მოსაზრება – აუდიტის ფარგლებში არ გამოვლენილა არსებითი უზუსტობები;
- პირობითი მოსაზრება – აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი უზუსტობები ფინანსური ანგარიშგებისთვის არსებითია, მაგრამ არა ყოვლისმომცველი;
- უარყოფითი მოსაზრება – აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი უზუსტობები ფინანსური ანგარიშგებისთვის არსებითიცაა და ყოვლისმომცველიც;
- უარი მოსაზრების გამოთქმაზე – აუდიტორებს არ შეუძლიათ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, რომლებსაც დაეყრდნობა მათი მოსაზრება.



დიაგრამა 3: 2016-2018 წლებში ფინანსური აუდიტის ფარგლებში გაცემული მოსაზრებების ტიპების სტატისტიკა



დიაგრამა 4: 2018 წელს ჩატარებული 25 ფინანსური აუდიტის განაწილება გაცემული მოსაზრების ტიპების მიხედვით



საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ერთ-ერთი პრიორიტეტია, გაუმჯობესდეს სახელმწიფო სახსრების მართვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების კუთხით არსებული მდგომარეობა. აღნიშნულის მიზნით 2009 წლიდან დაიწყო საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) სრულად დანერგვას 2020 წლისათვის.

მიუხედავად რეფორმის ფარგლებში განხორციელებული მრავალი აქტივობისა, საბიუჯეტო ორგანიზაციებში ფინანსური ინფორმაციის აღრიცხვა-ანგარიშგების კუთხით კვლავ შეინიშნება სისტემური ხარვეზები. კერძოდ, ისევ გამოწვევად რჩება:

- ხანდაზმული და გაურკვეველი წარმოშობის დებიტორულ/კრედიტორული დავალიანებები;
- აქტივების აღრიცხვა/შეფასება;
- გამართული და რეგულარული ინვენტარიზაციის ჩატარება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აპარატის 2017 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ბალანსზე 1997-2008 წლებიდან ირიცხება 193 მლნ ლარის დებიტორული დავალიანება, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ სათანადო შესწავლის შემდეგ, სავარაუდოდ, დაექვემდებარება ჩამოწერას.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ბალანსზე 2004-2010 წლებიდან ირიცხება 5.3 მლნ ლარის ღირებულების დებიტორული დავალიანება, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ სათანადო შესწავლის შემდეგ, სავარაუდოდ, დაექვემდებარება ჩამოწერას.

⁹ 2017 წელს ინდივიდუალური ფინანსური აუდიტების გარდა, ასევე ჩატარდა 19 კონსოლიდირებული, ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) ფინანსურ ანგარიშგებაში 1996-2003 წლებიდან ირიცხება 3 მლნ ლარის ღირებულების კრედიტორული დავალიანება, რომლის მაიდენტიფიცირებელი პირველადი დოკუმენტაცია ცესკო-ში არ იძებნება. შესაბამისად, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ სათანადო შესწავლის შემდეგ, სავარაუდოდ, დაექვემდებარება ჩამოწერას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 1997-2007 წლებიდან ირიცხება 1 მლნ ლარის ღირებულების კრედიტორული დავალიანება, რომლის მაიდენტიფიცირებელი პირველადი დოკუმენტაცია სამინისტროში არ იძებნება. შესაბამისად, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ სათანადო შესწავლის შემდეგ, სავარაუდოდ, დაექვემდებარება ჩამოწერას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აპარატის 2017 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწები, საცხოვრებელი ბინები) ნაწილი წლების განმავლობაში პრივატიზებულია, ასევე გადაცემულია სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციისათვის. შესაბამისად, უძრავი ქონების ეს ნაწილი არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს და ექვემდებარება შესაბამისი პროცედურების დაცვით ჩამოწერას.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ბალანსზე ირიცხება გაუქმებული სასჯელაღსრულების დაწესებულებები და სხვა ობიექტები, ჯამური ნარჩენი ღირებულებით 1.9 მლნ ლარი, რომლებიც სამინისტროს ფაქტობრივ სარგებლობაში აღარ იმყოფება. კერძოდ, ზოგიერთი მათგანი, სარეგისტრაციო მონაცემების თანახმად, დაბრუნებულია სახელმწიფოსთან.

ვის ან პრივატიზებულია. შესაბამისად, უძრავი ქონების ეს ნაწილი არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს და ექვემდებარება შესაბამისი პროცედურების დაცვით ჩამოწერას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი

სსიპ-ის – „ანარმოე საქართველოში“ ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნების მუხლში არ არის ასახული 315 ათასი ლარის ოდენობის მოთხოვნა 46 ბენეფიციარის მიმართ, რომლებმაც არ შეასრულეს ხელშეკრულების პირობები და მათზე გაცემული თანხები ექვემდებარება ბიუჯეტში დაბრუნებას.

გემოაღნიშნული პროგრამის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის მიზნობრიობით, მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია 4 კერძო კომპანიასთან, რომლებიც ვალდებული არიან სსიპ-ს – „ანარმოე საქართველოში“ წარმოუდგინონ ბენეფიციარების მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები, რაც ხშირ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო იჭარით გასცემს სხვადასხვა ობიექტს ტურისტულ ზონებში. მისაღები შემოსავლები დაითვლება იჭარით გაცემული ობიექტების მიერ გამოქვეყნებული შემოსავლებიდან. შესაბამისად, მოიჭარემ სააგენტოს ყოველთვიურად უნდა წარუდგინოს საბანკო და სალარო აპარატის ამონაწერები, რაც ზოგიერთ შემთხვევაში, მოიჭარეების მიერ ან საერთოდ არ არის, ან დროულად არ არის, ან არასრულყოფილად არის წარდგენილი. გემოაღნიშნული წარმოშობს მისაღები შემოსავლების შემცირების რისკს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს განხორციელებული ფინანსური აუდიტების შედეგად გამოიკვეთა, რომ შესამოწმებელი ობიექტების მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს ან არასათანადოდ აქვს ჩატარებული კანონმდებლობით



გათვალისწინებული სხვადასხვა სახის სავალდებულო ინვენტარიზაცია. მაგალითად:

- წლების მანძილზე არ ჩატარებულა სავალდებულო ინვენტარიზაციები:
 - ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში;
 - სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებითა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში.
- 2017 წელს არ ჩატარებულა სავალდებულო ინვენტარიზაციები:
 - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში;
 - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში;
 - საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში.
- არასრულად ან სხვა ნაკლოვანებებით ჩატარდა სავალდებულო ინვენტარიზაციები:
 - სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდში;
 - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში;
 - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში;
 - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სარგებლობის უფლებით გადაეცა თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობები, რომელთა საექსპერტიზო, გეოლოგიური და საპროექტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, სამინისტრომ 721,954 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გააფორმა კომპანიასთან, რომელიც მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში დარეგისტრირდა ხელშეკრულების გაფორმებამდე ერთი დღით ადრე.

შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ნაწილი დასრულდა 2017 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 1 მაისის ჩათვლით, ხოლო კომპანიის მიერ შესრულებული კულტურული მემკვიდრეო-

ბის უძრავი ძეგლის ცვლილება-ადაპტაციის კონსტრუქციული ნაწილის მუშაპროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელებულიყო აღნიშნული სამუშაოები, აღმოჩნდა ხარვეზიანი, მოხდა მათი ექსპერტიზაზე რამდენჯერმე წარდგენა და ექსპერტიზიდან საბოლოო ვარიანტი დაბრუნდა. შესაბამისად, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულებელი კომპანიის მიერ შესრულებულ და მისთვის ანაზღაურებულ 418,487 ლარის ოდენობის სამუშაოს სრულად ვერ დაეყრდნობოდა, და არც სხვა ალტერნატიული პროექტი არსებობდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აპარატის 2017 წლის ფინანსური აუდიტი

სამინისტროში დასაქმებულ მოსამსახურეებზე 2017 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფულადი სახსრების ანალოზისას გამოიკვეთა თაღლითობის მაღალი რისკის შემცველი გარემოებები. კერძოდ: სხვადასხვა ან ერთსა და იმავე საბანკო ანგარიშებზე ირიცხებოდა სხვადასხვა/რამდენიმე საიდენტიფიკაციო კოდის მქონე მიმღებ პირზე (ყოფილ თანამშრომლებზე) თანხები, თანამშრომლების გათავისუფლების შემდგომ თვეში/თვეებში. 2017 წელს ამ მიზნით საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხულმა თანხამ შეადგინა, სავარაუდოდ, 140.5 ათასი ლარი.

სამინისტროში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, 237 შემთხვევაში სამინისტროს მოსამსახურის კუთვნილი ფულადი განაცემები მინდობილობის საფუძველზე გაიცა სხვა პირებზე (მინდობილ პირებზე). გაცემული მინდობილობები სხვადასხვა მოსამსახურის შემთხვევაში არის როგორც ვადიანი, ასევე უვადო/განუსაზღვრელი ვადით. დაფიქსირდა მინდობილობის ვადის გასვლის შემდგომ თანხების გადარიცხვის ფაქტები, ანუ, არაუფლებამოსილ პირებზე განხორციელებული ტრანზაქციები. ასევე დაფიქსირდა სხვა პირებზე მინდობილობის გარეშე თანხების გადარიცხვის ფაქტები.

შესაბამისობის პოლიტიკა შედეგები

შესყიდვების მართვასა და პროცესთან დაკავშირებული ხარვეზები გულისხმობს ისეთ ნაკლოვანებებს, რომლებიც ხელს უშლის საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ, პროდუქტიულ და ეფექტიან განკარგვას. ამ მიმართულებით სისტემური ხარვეზები გამოვლინდა შესყიდვების თითქმის ყველა, განსაკუთრებით კი დაგეგმვის ეტაპზე. კერძოდ: საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათ შემდგომ ფორმულირებაში სატენდერო დოკუმენტაციაში; შემსყიდველთა მხრიდან შესყიდვის ობიექტის ტექნიკური სპეციფიკაციების განსაზღვრაში, რაც რიგ შემთხვევებში რეალურ საჭიროებასა და მიწოდებულ საქონელს/მომსახურებას შორის შესაბამისობის გამომწვევი მიზეზი ხდება; შემსყიდველთა მხრიდან ბაზრის წინასწარ კვლევაში; ტენდერების დაუსაბუთებელ შეწყვეტასა და პრეტენდენტთა დისკვალიფიკაციაში.

სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების, შრომის ანაზღაურების და ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სამედიცინო და ერთჯერადი დახმარების უზრუნველყოფის შესაბამისობის აუდიტი

სამსახურის მიერ 2017 წელს, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში, სავარაუდო ღირებულებით – 1.2 მლნ ლარი, სამუშაოთა დასრულების ვადად განისაზღვრა 90 დღე და არანაკლებ – 7 მლნ ლარის შესრულებული სამუშაოების გამოცდილების მოთხოვნა. ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდა 1.2 მლნ ლარზე, ხოლო სამუშაოები დასრულდა 170 დღეში. სამსახურის მიერ საკვალიფიკაციო მოთხოვნების სწორად განსაზღვრის შემთხვევაში, შესაძლოა სატენდერო პროცედურებში სხვა პრეტენდენტებსაც მიეღოთ მონაწილეობა და შესყიდვა შედარებით ეკონომიურად განხორციელებულიყო.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ – მომსახურების სააგენტოსთვის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული ქონების განკარგვისა და სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი

სააგენტოს მიერ 2016-2017 წლებში ჩატარებული ტენდერების 15%-ში სატენდერო დოკუმენტაციაში შესასყიდი საქონლის/მომსახურების ტექნიკური აღწერილობა შეიცავდა ზედმეტ არასაჭირო დეტალებს, რაც ზღუდავდა პოტენციური მიმწოდებლების ტენდერში მონაწილეობას და ხელს უწყობდა არაკონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას. ყოველივე ზემოაღნიშნული კი საქონლის/მომსახურების შედარებით მაღალ ფასად შესყიდვას განაპირობებს.

სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი

სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული შესყიდვების შესწავლით გამოვლინდა, რომ სატენდერო კომისიის არამიზანშეწონილი გადაწყვეტილებების, ასევე პრეტენდენტებისადმი მოთხოვნებისა და შესყიდვის ობიექტის აღწერაში არსებული ნაკლოვანებების შედეგად, სხვადასხვა ტენდერში (ჯამური ღირებულებით – 2,273 ათასი ლარი) ვერ მოხერხდა 333.2 ათასი ლარის ეკონომიის მიღება.

სსიპ – „112“-ის შესაბამისობის აუდიტი

2017 წელს სსიპ – „112“-ის შემოსულობებმა სულ 13 მლნ ლარი შეადგინა. უწყების შემოსულობების ძირითად წყაროს წარმოადგენს ფიქსირებული გეოგრაფიული ან არაგეოგრაფიული ზონის და მობილური სატელეფონო მომსახურების მიმღები აბონენტებისათვის მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული „112“-ის მომსახურების საფასური, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებენ ოპერატორი ქსელები (2017 წელს – სსიპ „112“-ის შემოსულობების 61%).



დადგენილებით განსაზღვრულია, რომ საფასური გადაიხდება თითოეულ სააბონენტო ნომერზე, რომელზეც კალენდარული თვის განმავლობაში ჯამში მოხდა 5 ლარზე მეტი ღირებულების მომსახურების შეძენა ან მომსახურებით სარგებლობა, რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას. არსებული მარეგულირებელი სისტემით, აბონენტის მიერ ბალანსზე შესაბამისი თანხის ჩარიცხვისას არ ხდება სსიპ „112“-ის მომსახურების საფასურის ავტომატური ჩამოჭრა და ის სასაუბრო დროის გახარჯვაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, არსებობს რისკი იმისა, რომ ოპერატორის მიერ ვერ მოხდეს თანხების სრულად ამოღება, აბონენტმა ისარგებლოს მომსახურებით, დაერიცხოს „112“-ის საფასური, თუმცა ბალანსზე არ აღმოჩნდეს საკმარისი თანხა. ასევე ბალანსის მოლოდინის რეჟიმში, აბონენტმა აღარ ისარგებლოს/გაანადგუროს ნომერი, შესაბამისად, დარიცხული საფასურის ჩამოჭრა (ამოღება) ვერ მოხდეს. ამასთანავე, ოპერატორებიდან მიღებული შემოსავლების სიზუსტის დადგენასა და კონტროლს სსიპ – „112“ ვერ ახორციელებს, ვინაიდან მისაღები შემოსავლების გაანგარიშება ოპერატორის საბილინგო სისტემის მონაცემების გარეშე შეუძლებელია, რომელზეც სსიპ – „112“-ს წვდომა არ აქვს. მთავრობის დადგენილების შესაბამისად, აღნიშნული პროცესის კონტროლი ევალება კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რომელსაც კონკრეტული პროცედურები ამ მიმართულებით არ განუხორციელებია.

სსიპ – შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ხარჯვითი და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების 2015-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი

უნივერსიტეტმა დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრის მოწყობისა და აღჭურვის სამუშაოების შესასყიდად გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი. სატენდერო დოკუმენტაციით, პრეტენდენტების სამუშაო გამოცდილების მიმართ განისაზღვრა არაპროპორციული საკვალიფიკაციო მოთხოვნები; სატენდერო კომისიამ არასამართლიანად მისცა უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტს დისკვალიფიკაცია; შესყიდვის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე სატენდერო კომისიაში ექსპერტის სახით მონაწილე პირს წარმოემ-

ვა ინტერესთა კონფლიქტი. სატენდერო დოკუმენტაციით, არაპროპორციულმა, ერთ კონკრეტულ კომპანიაზე მორგების რისკის შემცველმა საკვალიფიკაციო მოთხოვნამ და პრეტენდენტის არასამართლიანმა დისკვალიფიკაციამ განაპირობა სატენდერო პროცედურებში მაღალი ფასის წინადადების მქონე კომპანიის გამარჯვება.

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთა სახმელეთო ტრანსპორტირებაზე გამოცხადებულ აუქციონთან დაკავშირებით, შესაბამის ვებგვერდზე არ იყო გამოქვეყნებული აუქციონის დეტალური პირობები, რითაც დაირღვა აუქციონის ჩატარების მნიშვნელოვანი პრინციპები: საჭაროობა და გამჭვირვალობა. კომპანია, რომელიც აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა, ვერ აკმაყოფილებდა აუქციონის პირობას, რადგან არ ჰქონდა მუშაობის, მინიმუმ, 2-წლიანი გამოცდილება. ამასთანავე, ხელშეკრულებით განსაზღვრული 7 მიმართულებიდან, კომპანია ასრულებდა მხოლოდ 3 მიმართულებას – თბილისის, ბათუმის და ქუთაისის მიმართულებებით, ხოლო მგზავრები გუდაურიდან, ბაკურიანიდან, მესტიიდან და ზუგდიდიდან – ქუთაისში და შემდეგ პირიქით, არ გადაჰყავდა. შესაბამისად, როგორც საქართველოს მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტებისთვის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტამდე ან/და დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირება გართულებული იყო.

ხელშეკრულების სხვა პირობების, კერძოდ, ინფორმაციის წარდგენასა და საფასურის გადახდაზე ხელშეკრულებით დადგენილი ვადების დარღვევის მიუხედავად, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ კომპანიას არ არიცხავდა პირგასამტეხლოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის აღმოჩენამდე. აუდიტის მიმდინარეობისას კომპანიას დაერიცხა პირგასამტეხლო 171.5 ათასი ლარის ოდენობით.

შპს „საქართველოს ფოსტის“ 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების მიუხედავად, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის მომზადებისას, კომპანიაში სათანადოდ არ იყო გათვალისწინებული შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა, მისანოდებელი საქონლის რაოდენობა, შესასრულებელი სამუშაოს ან გასაწევი მომსახურების მოცულობა. აღნიშნულს ცხადყოფს ის ფაქტი, რომ 2017 წლის გეგმა 76-ჯერ შეიცვალა. გარდა ამისა, გეგმა საბოლოოდ დაზუსტდა 2017 წლის 21 დეკემბერს და ითვალისწინებდა 18.4 მლნ ლარის ღირებულების შესყიდვების განხორციელებას, თუმცა ფაქტობრივმა ხარჯმა 11.8 მლნ ლარი შეადგინა (64%).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

2017 წელს სამინისტროს მიერ შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული 94 შესყიდვიდან, ბაზრის კვლევა არ განხორციელებულა 54 შემთხვევაში. შედეგად, შეუსრულებელია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები, რაც მისაღები ხელშეკრულების ოპტიმალური პირობების განსაზღვრისათვის ბაზრის მოკვლევაში გამოიხატება.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის – „ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება“ შესაბამისობის აუდიტი

ა(ა)იპ – „ბათუმის სასაფლაოების“ მიერ შექმნილმა შიდა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველყო უხარისხოდ შესრულებული საპროექტო სამუშაოების დროული გამოვლენა და სათანადო რეაგირება. შედეგად, მნიშვნელოვანი საბიუჯეტო სახსრები გაიხარჯა არაეფექტიანად და ვერ მოხერხდება 3.4 მლნ ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტის ექსპლოატაციაში შესვლა.

შუახევის მუნიციპალიტეტში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი

შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ ელექტროგადამცემი ხაზების სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელებამ და დასრულებისთვის არაგონივრულად მოკლე ვადის განსაზღვრამ, გამოიწვია კონკურენციის შეზღუდვა და პრეტენდენტის უკონკურენტო გარემოში გამარჯვება. ზემოაღნიშნული გარემოებები, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სამუშაოების დასრულების ვადის არაერთხელ, დაუსაბუთებლად გაგრძელების პირობებში, სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არარაციონალურ ხარჯვასა და სატენდერო პირობების კონკრეტული მიმწოდებლის ინტერესებზე მისადაგების რისკებზე მიუთითებს.

ხულოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი

ხულოს მუნიციპალიტეტმა კურორტ ბეშუმში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას, მიმწოდებლების მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე არასათანადო კონტროლის შედეგად, შესრულებული სამუშაოს ოდენობასა და ღირებულებაზე არასაკმარისი მტკიცებულებების, ასევე რიგი შეუსრულებელი სამუშაოების პირობებში, ჯამში გადაიხადა 1.5 მლნ ლარი.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტმა გამოუსადეგარი საპროექტო დოკუმენტაციით, გეოლოგიური კვლევების გარეშე, მენყერსაში ტერიტორიაზე გამოაცხადა სოფელ ახალშენის საბავშვო ბაღის მშენებლობის შესყიდვასთან დაკავშირებით ელექტრონული ტენდერი. შედეგად, 771 ათასი ლარის ღირებულების პროექტი ვერ განხორციელდა, არ დაკმაყოფილდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კონკრეტული საჭიროებები და პროექტით გათვალისწინებული სარგებელი ვერ მიიღეს.



ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

ფოთის მუნიციპალიტეტში არსებული კონტროლის სისუსტეებისა და შესყიდვის პროცესის არასწორად წარმართვის შედეგად, რუსთაველის რკალზე ტროტუარის კეთილმოწყობისათვის გრანტის ფილების ნაცვლად ბეტონის ფილები იქნა დაგებული, რაც შესრულებული სამუშაოების დაბალ ხარისხსა და ექსპლოატაციის ხანგრძლივობის შემცირებაზე მიუთითებს. ექსპერტის დასკვნით დათვლილ ღირებულებასა და მუნიციპალიტეტის მიერ ჩაბარებული სამუშაოების ღირებულებას შორის სხვაობა 713.3 ათას ლარს შეადგენს, რაც მუნიციპალიტეტის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხაა.

ინფრასტრუქტურული პროექტების მართვაში არსებული სისუსტეების შედეგად, ფოთის მუნიციპალიტეტმა 1.4 მლნ ლარის ღირებულების საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის სამუშაოები ჩაიბარა, რომელიც უხარისხოდ არის შესრულებული.

მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, 4 შემთხვევაში არასწორად მოახდინა პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია. შედეგად, 110 ათასი ლარით გაიზარდა შესყიდვის ღირებულება, რაც არაეკონომიურად განკარგულ საბიუჯეტო რესურსს წარმოადგენს.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების, ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციისა და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი

ქ. ქუთაისის მერიამ გარე განათების ქსელის სანათი წერტილების, შექნიშნებისა და ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების საექსპლოატაციო მომსახურების შესყიდვის სატენდერო პროცესი ისე წარმართა, რომ 2015, 2016 და 2017 წლების სავარაუდო ღირებულება არ ეფუძნებოდა რეალურ გათვლებს. მერიამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები იმისა, თუ რა აუცილებლობით იყო გამოწვეული ქსელის შემოვლა-დათვალი-

ერებასა და მრიცხველების შემოწმებაში 715.6 ათასი ლარის გადახდა. აუდიტის ჯგუფმა ასევე ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ. ამდენად, დაგეგმვაში, შესრულებასა და კონტროლში არსებული მართვის სისუსტეების შედეგად 715.6 ათასი ლარი დაიხარჯა არაეფექტიანად. ასევე გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ტენდერის ფარგლებში სანათების შესყიდვის განხორციელებამ, სანათების შესაძლო მიმწოდებლებს არ მისცა ტენდერში მონაწილეობის საშუალება, რის შედეგადაც შეიძლება კონკურენცია და მერიამ სანათები საბაზროზე არსებითად მაღალი ფასით შეიძინა.

მუნიციპალიტეტში სოციალური საცხოვრისის მშენებლობის კონკურსი ჩატარდა უკონკურენტო გარემოში და სამუშაოები შესრულდა უხარისხოდ. მერიამ სოციალური საცხოვრისი შეისყიდა არასაბაზრო ფასად და ჩაიბარა 4,372 კვ.მ ფართი, ღირებულებით 4.3 მლნ ლარი. წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სოციალური საცხოვრისის შენობის ერთი კვ.მ ფართის საბაზრო ღირებულება შეადგენს 540 ლარს, მაშინ როდესაც, მერიამ გადაიხდა 1,000 ლარი. შესაბამისად, ექსპერტის დასკვნით დათვლილ ღირებულებასა და მერიის მიერ ჩაბარებულ სამუშაოების ღირებულებას შორის სხვაობა შეადგენს 2 მლნ ლარს.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

ლენტეხის მუნიციპალიტეტმა სოფელ ხერიის ხიდის შესყიდვის პროცესი იმგვარად წარმართა, რომ არ განხორციელებულა პროექტის მიხედვით დაგეგმილი სამუშაოები. ნაცვლად 4 ბურჯის გამაგრებითი სამუშაოებისა, გამაგრდა მხოლოდ ერთი ბურჯი. ამასთანავე, არ ჩატარებულა ხიდის სავალდებულო საექსპერტო შეფასება. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა ხიდის რეაბილიტაციაზე 64.2 ათასი ლარი დახარჯა, ხიდი დაზიანებულია, ვერ ხერხდება მასზე ტრანსპორტით გადაადგილება და საჭიროებს აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას. პრობლემის მოსაგვარებლად მუნიციპალიტეტის მხრიდან არ არის გატარებული რაიმე სახის ქმედითი ღონისძიება.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2017 წელს გამოცხადებულ ტენდერზე სატენდერო კომისიამ ვერ გამოავლინა შესაძლო აფიდავიტის პირობების დარღვევის რისკები. კერძოდ, ტენდერში მონაწილეობას იღებდა 2 ფირმა, რომელთა მესაკუთრეებიც ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში იმყოფებიან. საბოლოოდ, ხელშეკრულება გაფორმდა პრეტენდენტთან, რომელმაც 412.8 ათასი ლარით მეტი ფასი დააფიქსირა დისკვალიფიცირებულ პრეტენდენტთან შედარებით.

ონის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

2017 წელს ონის მუნიციპალიტეტმა გამართივებული შესყიდვის გზით გააფორმა ხელშეკრულება, ღირებულებით 550 ათასი ლარი. მიუხედავად კანონმდებლობის მოთხოვნისა, მუნიციპალიტეტმა ანგარიშსწორება განახორციელა ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გათვალისწინების გარეშე. კერძოდ, 2017 წლის ოქტომბერში 549.2 ათასი ლარი ანაზღაურა ისეთი სამუშაოებისათვის, რომელთა ფაქტობრივი ღირებულება არ იყო დაანგარიშებული. 2018 წლის 27 სექტემბრის საექსპერტო დასკვნით, სამუშაოების ღირებულებამ ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების მიხედვით 487.5 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ზედმეტად არის ანაზღაურებული 61.7 ათასი ლარი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია დაუსაბუთებლად ითვალისწინებდა შემზღუდავ პირობას. აღნიშნულმა გავლენა იქონია სახელმწიფო შესყიდვის ეკონომიურად და რაციონალურად განხორციელებაზე, რადგან ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, მუნიციპალიტეტმა მოახდინა ტენდერზე დაბალი

ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. შედეგად, მერიამ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად 312.6 ათასი ლარით მეტი გადაიხადა, რაც არაეკონომიური ხარჯია.

ხობის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

ხობის მუნიციპალიტეტმა 2016-2017 წლებში მიმწოდებლებს დაარიცხა ჯამურად 251.7 ათასი ლარის ჯარიმა. აღნიშნული საჯარიმო სანქციებიდან მიმწოდებლებმა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჩარიცხეს მხოლოდ 12.4 ათასი ლარი, რაც მთლიანი თანხის მხოლოდ 4.9%-ია. კუთვნილი საჯარიმო თანხების მისაღებად მუნიციპალიტეტი შემოიფარგლებოდა მხოლოდ წერილობითი მიმართვით, რაც ვერ უზრუნველყოფდა საჯარიმო თანხების სრულად მიღებას. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს 20 მიმწოდებლისთვის თანხის გადახდის შესახებ საერთოდ არ მიუწერია. დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, როცა მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა მიმწოდებლებთან, რომლებსაც გადაუხდელი პქონდათ წინა ხელშეკრულებების ფარგლებში დარიცხული საჯარიმო სანქციები.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

ცაგერის მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ სპორტული დარბაზის მშენებლობის პროცესზე სუსტი კონტროლის შედეგად ობიექტის მშენებლობა დროულად და ხარისხიანად არ განხორციელდა. აღნიშნული სამუშაოსთვის 2015-2017 წლებში მიმწოდებლისთვის 2,652 ათასი ლარია ანაზღაურებული. მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს დაუდასტურა შეუსრულებელი სამუშაოები და 257.1 ათასი ლარის საბიუჯეტო თანხები ზედმეტად აუნაზღაურა.

თვითმმართველი ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის, შემ-

სყიდვითი ორგანიზაციის მიერ დაფიქსირებული თარიღი ზოგიერთ შემთხვევაში არ ემთხვევა სამუშაოს დასრულების ფაქტობრივ დროს. აღნიშნული ხარვეზი მუნიციპალიტეტისათვის სისტემურ ხასიათს ატარებდა და რეალურად სამუშაოები მუნიციპალიტეტის მიერ დადასტურებულ ვადებში არ სრულდებოდა. მიმწოდებელ სანარმოებზე არ გავრცელდა ან არასრულად გავრცელდა საჭარიმო სანქციები, რასაც ხელშეკრულების პირობები ითვალისწინებდა.

კასპის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

2016 წელს კასპის მუნიციპალიტეტმა საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები შეისყიდა, ღირებულებით 600 ათასი ლარი. მიმწოდებელმა უაშინდობის გამო ვადების კორექტირება მოითხოვა ხელშეკრულების დადებიდან 26-ე დღეს, როცა სამუშაოების შესასრულებლად კიდევ 2 თვე ჰქონდა დარჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ ნაღვეიანი დღეების რაოდენობა სამშენებლო პერიოდში ნორმის ფარგლებში იყო, მუნიციპალიტეტმა მიწოდების ვადა 2 თვით გაზარდა. სამუშაოები 16 სექტემბერს დასრულდა და მიწოდების ვადის უცვლელობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაერიცხებოდა 141.6 ათასი ლარის საჭარიმო სანქცია.

თიანეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

თიანეთის მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა სოფელ ჩეკურაანთგორის, სოფელ ლულელებისა და დაბა სიონის ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაციის, მინიმუმ, 49.7 ათასი ლარის ღირებულების შეუსრულებელი და ნაკლები მოცულობით შესრულებული სამუშაოები; ასევე, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს მინიმუმ 158 დღეზე არ დაარიცხა დამატებითი საჭარიმო თანხა, რითაც დაკარგა ბიუჯეტში თანხების მობილიზების შესაძლებლობა; მუნიციპალიტეტმა არ გააგრძელა ხელშეკრულების მოქმედების ვადა და არ მოითხოვა საბანკო გარანტიის განახლება, რის გამოც მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ბიუჯეტში ვერ მიმართა 20.8 ათასი ლარი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

ბაღდათის მუნიციპალიტეტმა 2016-2017 წლებში შეისყიდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები, მათ შორის, 582 ათასი ლარი დახარჯა ისეთ პროექტებზე, რომლებიც დაუსრულებელია და მოსახლეობა ვერ სარგებლობს. აღნიშნული პროექტები ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სისტემების, წისქვილის, სპორტული მოედნებისა და ბიბლიოთეკის მოწყობის სამუშაოებს. პროექტების დაუსრულებლობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს სამუშაოების არასათანადოდ დაგეგმვა და ფინანსური რესურსების არასწორი განაწილება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

2016 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სოფელ პატარა ჩაილურში სატუმბო რეზერვუარისა და ცენტრალური სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები. სამუშაოებზე გაწეულმა ხარჯმა 152 ათასი ლარი შეადგინა, თუმცა პროექტი დღეის მდგომარეობით არ ფუნქციონირებს და საჭიროებს დამატებით დაფინანსებას.

აბაშის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტში დანერგილმა კონტროლის მექანიზმებმა ვერ უზრუნველყო შესრულებულ სამუშაოებზე დარღვევა-ნაკლოვანებების გამოვლენა და სათანადო რეაგირების განხორციელება. კერძოდ, დაზიანებები დაფიქსირდა 2016-2017 წლებში შესრულებულ 1.2 მლნ ლარის ღირებულების სამუშაოებზე. მოსახლეობა სრულად ან ნაწილობრივ ვერ სარგებლობს 907 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტებით.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

2016-2017 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დადებულია 19 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 338 ათასი ლარი. სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვისას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დაცული კანონმდებლობის მოთხოვნა ფაქტობრივი დანახარჯებით ანაზღაურების შესახებ. ხარჯები ანაზღაურებულია ფაქტობრივი დანახარჯების დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე. შესაბამისად, 338 ათასი ლარი წარმოადგენს შესყიდვების პროცესში შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე ანაზღაურებულ ხარჯს.

2018 წელს ჩატარებული აუდიტების შედეგებით, **აქტივების მართვის** კუთხით აღსანიშნავია ისეთი საკითხები, როგორებიცაა, ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები, ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცედურებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები, აქტივების არაეფექტიანი გამოყენება და სხვ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტი მიწის ნაკვეთებს ასხვისებდა ელექტრონული აუქციონის გარეშე, საბაზრო ფასზე არსებითად დაბალი ღირებულებით. ელექტრონული აუქციონის ჩატარების შემთხვევაში, არსებობს მაღალი ალბათობა, რომ გაყიდული ერთი კვ.მ მიწის ნაკვეთების ღირებულება 100 ლარს მნიშვნელოვნად გადააჭარბებდა და მუნიციპალიტეტი მიიღებდა 10 მლნ ლარზე მეტ დამატებით შემოსავალს.

აბაშის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტის 2 სოფელში არსებულ ადმინისტრაციულ შენობებში 33 კვ.მ ფართი დაკავებული აქვს ერთ-ერთ კომერციულ ბანკს. ხელშეკრულება

ფართის გაქირავებაზე გაფორმებული არ არის. 15 ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში განთავსებულია საექიმო ამბულატორიები, რომელთაც სულ დაკავებული აქვს 775 კვ.მ ფართი. აღნიშნული ფართები ამბულატორიებზე სამართლებრივი ფორმით გადაცემული არ არის. ამდენად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შენობებში არსებულ 808 კვ.მ ფართზე ისეა განთავსებული სხვადასხვა ორგანიზაციები, რომ მათთან გაფორმებული არ არის ხელშეკრულებები ფართობით სარგებლობაზე. შედეგად, მუნიციპალიტეტი ვერ იღებს შესაბამის შემოსავალს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტმა არ შეაფასა ელექტრონული აუქციონის ფორმით ქონების იჯარით სარგებლობაში გაცემის უპირატესობები და ქონების გაცემა განახორციელა პირდაპირი განკარგვის წესით, უკონკურენტო გარემოში. გარდა ამისა, შერჩევითი დათვალიერების საფუძველზე ფიქსირდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უნებართვო სარგებლობის შემთხვევები, რომელზეც რეაგირება არ არის განხორციელებული. შედეგად, ადგილობრივ ბიუჯეტს მიაღდა, დაახლოებით, 71.8 ათასი ლარის ოდენობის ზიანი.

ხობის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

ხობის მუნიციპალიტეტმა ვერ განახორციელა სოფელ საჭიჯაოში დაზიანებული ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოების სათანადო მენეჯმენტი. კერძოდ, თავიდანვე არ გაითვალისწინა ხიდების კონსტრუქციული თავისებურებები და სხვა მოსალოდნელი სირთულეები. ამასთანავე, მოახდინა ხიდის არსებული კონსტრუქციის პრივატიზება და გონივრულ ვადაში ვერ უზრუნველყო მისი ჩანაცვლება.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტში 2018 წლის 1 აპრილის მდგომარეობით გამოუყენებელი მასალების ნაშთი



შეადგენდა 744 ათას ლარს. აღნიშნული ნაშთი მოიცავს როგორც 2016-2017 წლებში შესყიდულ მასალების, ასევე 2016 წლამდე პერიოდში შეძენილი მასალების ღირებულებას. მასალების დათვალიერებით ირკვევა, რომ მათი ნაწილი უვარგისია გამოსაყენებლად, ხოლო ნაწილის ადგილსამყოფელი ვერ იქნა დადგენილი. შესაბამისად, ვერ მოხდა საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი აქტივების დანიშნულებისამებრ გამოყენება.

შპს „საქაერონავიგაციის“ 2017 წლის შემოსავლების და ხარჯების შესაბამისობის აუდიტი

სამეთვალყურეო საბჭო, დაკომპლექტებულია ოთხი მინისტრის მოადგილით. წესდების მიხედვით, ისინი პასუხისმგებელი არიან კვარტალში მინიმუმ ერთხელ შეკრებაზე კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობის მიზნით, მათ შორის, ბიზნესგეგმის შედგენისა და შესრულების მონიტორინგზე. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, 2017 წელს სამეთვალყურეო საბჭო მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა ბიზნესგეგმის პროექტის განხილვის მიზნით. ასევე სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ დროულად არ განახორციელა ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში და 2017 წელს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად კვლავ იყვნენ რეგისტრირებული რამდენიმე მინისტრის ყოფილი მოადგილეები. შესაბამისად, ბიზნესგეგმის შესრულებასა და ზოგადად, საქმიანობაზე კონტროლი სათანადოდ არ განხორციელებულა, რაც შესაძლოა იყოს კომპანიის საქმიანობაში არსებული დაგეგმვის ხარვეზების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი.

საბიუჯეტო რესურსების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები ხშირ შემთხვევაში მიუთითებს დაგეგმვის ეტაპზე არსებულ ნაკლოვანებებზე.

სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები, შრომის ანაზღაურება და ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სამედიცინო და ერთჯერადი დახმარების უზრუნველყოფის შესაბამისობის აუდიტი

2016-2017 წლებში 507 ათასი ლარის დახმარება გაცემულია იმ 711 ბენეფიციარზე, რომლებიც

არ განეკუთნებოდნენ დახმარების გაცემის წესით განსაზღვრულ კატეგორიებს. მათ შორის, 241 ათასი ლარის სოციალური დახმარება გაწეულია ისეთ პირებზე (206 ბენეფიციარი), რომელთა საშუალო თვიური შემოსავალი აღემატებოდა 1,000 ლარს. სამსახური არ ახორციელებს სოციალური დახმარების გაცემის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების სათანადო დადოკუმენტირებას და პროცესი ხასიათდება გაუმჭვირვალობით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის საკრედიტო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2010 წელს, თუმცა აუდიტის პერიოდისთვის პროექტის განხორციელება არ დაწყებულა და არც სესხის თანხაა ათვისებული. შედეგად, ყოველწლიურად სესხის აუთვისებელ ნაწილზე (2.7 მლნ ევრო) ხორციელდება ვალდებულების გადასახადის გადახდა, აუთვისებელი თანხის 0.5% ოდენობით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული სესხის ფარგლებში, ჯამურად გაწეულია 163.5 ათასი ევროს არაეფექტიანი ხარჯი, მაშინ როდესაც, პროექტის განსახორციელებლად საკრედიტო რესურსიდან თანხები არ მიუმართავთ.

შპს „საქართველოს ფოსტის“ 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი

შპს „საქართველოს ფოსტაში“ არ არის დადგენილი ფასწარმოქმნის პრინციპები საფოსტო მომსახურებებიდან მიღებული შემოსავლებისთვის. ასევე კომპანიას არ აქვს შემუშავებული სატარიფო პოლიტიკა გადაზიდვის მომსახურებისათვის და ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება შემოსავლის პროცენტული განაწილება კომპანიასა და გადაზიდვას შორის. ზემოაღნიშნული უარყოფითად აისახა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.


უწყებების პოლიტიკის შედეგები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია განხორციელებული ღონისძიებებით მიღწეული შედეგებისა და ამ პროცესში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის შესაფასებლად. ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება ხელს უწყობს საჯარო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიზანია ეფექტიანობის აუდიტების წილის ზრდა მთლიან აუდიტორულ საქმიანობაში. 2018 წელს, სამსახურმა ჩაატარა 12 ეფექტიანობის აუდიტი, რაც 33%-ით მეტია 2017 წელთან შედარებით. ასევე გაიზარდა ეფექტიანობის აუდიტების წილი ჯამურად ჩატარებულ აუდიტებში, 11%-დან 13%-მდე.

გარდა რაოდენობრივი მაჩვენებლისა, გასათვალისწინებელია, რომ გაუმჯობესებდა ეფექტიანობის აუდიტებით სექტორების დაფარვის მაჩვენებელი. 2018 წელს დაიფარა საჯარო ფინანსების ფუნქციონალური კლასიფიკაციის (COFOG) მიხედვით განსაზღვრული 10-დან 8 სექტორი.

დიაგრამა 5: 2018 წელს ჩატარებული ეფექტიანობის აუდიტები სექტორების მიხედვით



2018 წელს ჩატარებული ეფექტიანობის აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი ძირითადი შედეგებია:

„შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის (SRAMP)“ ეფექტიანობის აუდიტი

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს „შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტს (SRAMP)“, რომლის ეფექტიანობის აუდიტიც ჩაატარა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა. აუდიტის ანგარიშის საფუძველზე მსოფლიო ბანკი იღებს რწმუნებას, რომ პროექტი ხორციელდება ბანკის წესების, პროცედურებისა და სახელმძღვანელოების მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემის მოკლე აღწერა:

ფაქტი 1: აუდიტის სამსახურმა ვერ მოიპოვა დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა ხუთწლიანი პროგრამისა და წლიური გეგმის განახლების პროცესში უმაღლესი ხელმძღვანელობის ჩართულობას.

მიზეზი: საავტომობილო გზების დეპარტამენტის განმარტებით, ხელმძღვანელობის უმაღლესი პირები მონაწილეობენ მომზადების პროცესში, თუმცა მათი გადაწყვეტილებები არ არის დადოკუმენტირებული. შედეგად, მომზადების პროცესი არ არის საკმარისად გამჭვირვალე.

რეკომენდაცია: ხუთწლიანი პროგრამის/წლიური გეგმის მნიშვნელობისა და მათში შეტანილი ცვლილებების პროცესის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, ორივე დოკუმენტი და შემდგომი ცვლილებები ფორმალურად დამტკიცდეს საავტომობილო გზების დეპარტამენტის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ.

ფაქტი 2: საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წლიური გეგმის შემუშავების პროცესში, არ ხდება შიდასახელმწიფოებრივი გზების სავარაუდო, სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.

მიზები: საავტომობილო გზების დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოში გამოიყენება მოძველებული სტანდარტები, ხოლო განვითარებული ქვეყნების ნორმატიულ-ტექნიკური ბაზის ქართულ რეალობაზე მორგება მომავალში უნდა განხორციელდეს.

რეკომენდაცია: შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სასურველია საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს გზების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას სამუშაოების ტიპის მიხედვით.

ამიური ფაროსანასა და სხვა მავნებლების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი

მავნებლების მიერ სოფლის მეურნეობისთვის მიყენებული ზიანი გავლენას ახდენს მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ბოლო წლებში კი განსაკუთრებით აქტუალურია ამიური ფაროსანას შემოჭრისა და მასობრივი გავრცელების პრობლემა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა ქვეყნის ტერიტორიაზე მავნებლების შემოჭრისა და მასობრივი გავრცელების პრევენციული და შემდგომი რეაგირების ღონისძიებების ეფექტიანობა.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემის მოკლე აღწერა:

ფაქტი 1: მავნებლების შემოჭრისა და მასობრივი გავრცელების წინააღმდეგ არსებული მონიტორინგის მექანიზმები არ არის საკმარისი და ეფექტიანი, ვინაიდან ვერ უზრუნველყოფს რისკების დროულ იდენტიფიცირებას, რაც იწვევს სათანადო ღონისძიებების დაგვიანებით დაგეგმვას და დაწყებას.

მიზები: ფიტოსანიტარიულ მეთოდოლოგიას, რომელიც მავნებლების შემოჭრისა და მასობრივი გავრცელების რისკების დროული იდენტიფიცირების და პრევენციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, გააჩნია ნაკლოვანებები, ვინაიდან დეტალურად არ არის განსაზღვრული მავნებლების პრევენციისა და მართვის ეფექტიანი მექანიზმები და მათი შესრულების სტანდარტული ოპერაციული პროცედურები.

რეკომენდაცია: შემუშავდეს ეროვნული ფიტოსანიტარიული კონტროლის დეტალური მეთოდოლოგია ან/და სტანდარტული ოპერაციული პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავს მავნებლების შემოჭრის რისკების იდენტიფიცირების, რისკებზე საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვის და შესრულების მექანიზმებს.

ფაქტი 2: მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით მოსახლეობის ცნობიერების დონე დაბალია, ვინაიდან, მოსახლეობის ნაწილს არ აქვს გაცნობიერებული საკუთარი ჩართულობის მნიშვნელობა და არ აქვს საკმარისი ინფორმაცია მავნებლების წინააღმდეგ გამოსაყენებელი პესტიციდების და მათი მოხმარების შესახებ.

მიზები: დაგეგმილი მექანიზმები (ბუკლეტები, ვებგვერდი, სოციალური ქსელი) ნაკლებად ეფექტიანია, ვინაიდან არსებობს რისკი იმისა, რომ დარჩენილ ბუკლეტებს მოსახლეობა არ გაეცნოს და ასევე მათ არ ჰქონდეთ წვდომა ინტერნეტრესურსებზე.

რეკომენდაცია: დაიგეგმოს და ჩატარდეს ისეთი მასშტაბური საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობა უშუალოდ გაეცნობა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს და გაათავითცნობიერებს საკუთარი ჩართულობის მნიშვნელობას თავიანთი მხრიდან მონაწილეობის ზრდის მიზნით.

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მზადყოფნის ეფექტიანობის აუდიტი

საქართველო ჩართულია გაეროს 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელების პროცესში, რომელიც აერთიანებს 17 მდგრად განვითარების მიზანს (SDGs) და მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით მიმართულებებს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა, რამდენად მზად არის ქვეყანა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. კერძოდ, შეფასდა, გატარდა თუ არა შესაბამისი ღონისძიებები მთავრობის მიერ: ა) მიზნების განხორციელების მზადყოფნის უზრუნველსაყოფად და ბ) მონიტორინგისა და ანგარიშგების ჩარჩოს შესაქმნელად.

ფაქტი 1: SDG-ების მატრიცის ფარგლებში განსაზღვრული მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები ფრაგმენტულად არის ინტეგრირებული ეროვნულ და სექტორულ სტრატეგიულ დოკუმენტებსა და სამოქმედო გეგმებში.

რეკომენდაცია: სამინისტროებმა უზრუნველყონ SDG-ების მატრიცაში წარმოდგენილი მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების ეროვნულ დოკუმენტებში ინტეგრირება.

ფაქტი 2: რიგ შემთხვევაში არ არის განსაზღვრული თითოეული ამოცანის/ინდიკატორის მიღწევაში ჩართული მხარეები და მათი უშუალო პასუხისმგებლობები. ამასთანავე, ფრაგმენტულად არის იდენტიფიცირებული კავშირები SDG-ების ფარგლებში განსაზღვრულ ამოცანებს შორის.

რეკომენდაცია: SDG-ების საბჭომ და სამინისტროებმა უზრუნველყონ თითოეულ ამოცანაზე/ინდიკატორზე პასუხისმგებელი კონკრეტული უწყებების იდენტიფიცირება, მიზნებს/ამოცანებს შორის ურთიერთკავშირების ხასიათისა და მასშტაბების ანალიზი, რომლის საფუძველზე განისაზღვრება კონკრეტული ამოცანის მიღწევაში თითოეული უწყების უშუალო პასუხისმგებლობა.

ფაქტი 3: განსაზღვრული არ არის, ერთი მხრივ, მიზნების განხორციელებაში ჩართული უწყებების SDG-ების საბჭოსადმი, ხოლო მეორე მხრივ, SDG-ების საბჭოს მიერ პროგრესის შესახებ ანგარიშების ფორმატი და პერიოდულობა.

რეკომენდაცია: SDG-ების საბჭომ შეიმუშაოს მონიტორინგისა და ანგარიშების ჩარჩო, რაც გულისხმობს, მონიტორინგის ვებპორტალის დროულად დასრულებასა და პრაქტიკაში დანერგვას, ასევე – ანგარიშების ფორმატისა და პერიოდულობის განსაზღვრას.

უმაღლესი განათლების პროგრამებისა და შრომის ბაზრის თავსებადობის ეფექტიანობის აუდიტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა უმაღლესი განათლების პროგრამებისა და შრომის ბაზრის თავსებადობის ეფექტიანობის აუდიტი, გაანალიზა უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისა და მართვის პროცესი, აგრეთვე მათი კავშირი შრომის ბაზრის საჭიროებებთან.



ფაქტი 1: აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებების თავსებადობა ქვეყნის საჭიროებებთან არ არის დადასტურებული. პრიორიტეტულ სასწავლო პროგრამებზე აღიარებულია ისეთი მიმართულებები, რომლებიც გამოირჩევა სტუდენტების მაღალი რიცხოვნობით, ხოლო ისეთი დარგები, რომლებიც ქვეყნისთვის აქტუალური გამოწვევაა და სტუდენტების დაბალი რიცხოვნობით გამოირჩევა, არ მიიჩნევა პრიორიტეტად.

მიზები: პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისას არ იყო ჩატარებული შესაფერისი კვლევები უმაღლესი განათლების მიმართულებებისა და ქვეყნის საჭიროებების თანხედრის დასადგენად. ამასთანავე, მოცემული პერიოდისთვის ქვეყანაში არ არსებობდა შრომის ბაზრის სათანადო კვლევა.

რეკომენდაცია: იმისათვის, რომ უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებები თანხედრაში იყოს ქვეყნის საჭიროებებსა და არსებულ გამოწვევებთან, შესაფერისი კრიტერიუმების მიხედვით, მათი აქტუალურობა ყოველწლიურად შეფასდეს და განახლდეს.


ფაქტი 2: 2017 წელს სწავლა დაასრულა 1,744-მა სტუდენტმა, აქედან, 2018 წლის ივლისის მდგომარეობით, დასაქმებული იყო კურსდამთავრებულების 41%, ხოლო მათგან საკუთარი პროფესიით – მხოლოდ ნახევარი.

მიზები: სახელმწიფოს დონეზე არ არის შემუშავებული სისტემური მიდგომა შრომის ბაზრის საჭიროებებისა და უმაღლესი განათლების მიზნების ურთიერთკავშირის მისაღწევად. ამასთანავე, დაინტერესებულ მხარეებს შორის (შესაბამისი სამინისტროები, უსდ-ები და დამსაქმებლები) კოორდინაცია არ არის საკმარისად უზრუნველყოფილი და სათანადოდ არ ხდება არსებული მონაცემების მიმოცვლა.

რეკომენდაცია: სტრუქტურული უმუშევრობის რისკების შემცირების მიზნით, მნიშვნელოვანია გაიზარდოს კოორდინაცია პასუხისმგებელ სამინისტროებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის, რისი მეშვეობით თითოეული მიმართულების მიხედვით შეფასდება შრომის ბაზრისა და უმაღლესი განათლების სასწავლო პროგრამებს შორის ურთიერთკავშირი.



ევროპის ქვეყნებში კურსდამთავრებულების დასაქმების საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 82.8%-ს




სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებში – ეფექტიანობის აუდიტი

ბოლო პერიოდში ქვეყანაში მზარდი ტენდენციით გამოირჩევა ხანძრებისა და მათ შედეგად დაზარალებულთა რაოდენობა. ხანძრების პრევენციის მთავარ მექანიზმს წარმოადგენს სსდ „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის“ მიერ განხორციელებული სახანძრო შემოწმება, რომლის ფარგლებშიც ზედამხედველობას დაქვემდებარებულ

ობიექტებში მოწმდება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა.

ფაქტი: აუდიტის პერიოდში სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელთ არსებული სახანძრო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების სია სრული არ იყო. აუდიტის ჯგუფმა საცნობარო ვებგვერდზე მოიძია ბოლო წლებში უწყვეტად ფუნქციონირებადი 231 ობიექტი, რომელიც თავისი ფუნქციით ზედამხედველობას ექვემდებარებოდა. აქედან, 41 ობიექტი (18%) სამსახურს აღრიცხული არ ჰქონდა.

დიაგრამა 6: 2010-2017 წლებში საქართველოში მომხდარი ხანძრების/წაკიდებების რაოდენობა და ხანძრების შედეგად დაღუპულთა და ტრავმირებულთა რაოდენობა




მიზგზი: სამსახურს არ ჰქონდა ობიექტების შესახებ ინფორმაციის მოძიების საიმედო წყარო და ინსპექტორები ობიექტების მოძიებას ახორციელებდნენ საკუთარი ძალებით, ფიზიკური იდენტიფიკაციის გზით.

რეკომენდაცია: სამსახურმა სხვა სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით სისტემურად უზრუნველყოს ობიექტების სიის დაზუსტება.

ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმები – ეფექტიანობის აუდიტი

2013 წელთან შედარებით, 2017 წელს ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე დაფიქსირებული შეტყობინებების რაოდენობა 2-ჯერ გაიზარდა.¹⁰

დიაგრამა 7: 2013-2017 წლებში „112“-ში შესული შეტყობინებები და შსს-ში რეგისტრირებული შემთხვევები



¹⁰ მიმართვიანობის მზარდი ტენდენცია სხვადასხვა მიზეზს შორის შეიძლება მოსახლეობის ცნობიერების გაზრდას უკავშირდებოდეს.



ფაქტი: მორეაგირე პოლიციელი ძალადობის ისტორიის თაობაზე (წინა გამოძახება ოჯახში ძალადობის ფაქტზე, შემაკავებელი ან დამცავი ორდერი, ცეცხლსასროლი იარაღის ფლობა და ა.შ.)¹¹ ინფორმირებულია არასათანადოდ.

მიზეზი: საჭირო ინფორმაციაზე დაშვება მორეაგირე პოლიციელების შემთხვევაში, ინდივიდუალურ დონეზე განსხვავებულია. გარდა ამისა, შსს-ს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში აღრიცხულია 2017 წლის დამცავი ორდერების მხოლოდ 22%, რაც ვერ უზრუნველყოფს დამცავი ორდერების ძალადობის ისტორიაში გათვალისწინებას.

რეკომენდაცია: ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით, მოხდეს მორეაგირე პოლიციელებისთვის საჭირო ინფორმაციის (ძალადობის წინა ისტორია და სხვ.) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში მოხდეს როგორც დამცავი, ისე შემაკავებელი ორდერების აღრიცხვა, რაც შექმნის სამართალდარღვევებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების წინაპირობას.

ძალოვანი უწყებების უნიფორმით უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი

ფაქტი 1: მოსამსახურეთა უნიფორმებით უზრუნველყოფა არ ხდება სრულყოფილად, რაც დაკავშირებულია შემდეგ ძირითად ნაკლოვანებებთან:

- საჭიროებების განსაზღვრის ნაკლოვანება – ნორმების (ვისთვის, რა, რამდენი, როგორი) არასათანადო განსაზღვრა;
- მარაგების მართვის ნაკლოვანებები – ძალოვან უწყებებს არ აქვთ განსაზღვრული უნიფორმის თითოეული ატრიბუტიკის სარეზერვო ნორმა, რაც შეუძლებელს ხდის იმის დადგენას, თუ რა არის ოპტიმალური მარაგის ოდენობა, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს გადაუდებელი შემთხვევებისთვის.

ნორმების ხშირი ცვლილების შედეგად, რაც იწვევს უნიფორმის ფერის ან დიზაინის შეცვლას, აუდიტის ობიექტებს წლების განმავლობაში რჩებათ გამოყენებული ნაშთი, რომლის ღირებულებაც, დაახლოებით, 5.5 მლნ ლარს შეადგენს 2018 წლის მდგომარეობით.

მიზეზი: უნიფორმის ნორმები სათანადოდ დადგენილი არ არის. ასევე არ არის განსაზღვრული სარეზერვო მარაგების ოდენობა უნიფორმის თითოეული ატრიბუტიკისთვის. უნიფორმის დიზაინის, სტრუქტურის შეცვლის გადახედვის პერიოდულობა დამტკიცებული არ არის.

რეკომენდაცია: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტს, და შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს: საჭიროების რეალური განსაზღვრის, მოსამსახურეების უნიფორმებით დროული უზრუნველყოფისა და რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით:

- უწყებების მიერ დადგინდეს უნიფორმების ნორმების (დიზაინის შეცვლის) გადახედვის წესი და პერიოდულობა იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ნორმის ხშირი ცვლილებების შედეგად გამოუყენებელი ქონების დაგროვების პრაქტიკა და შესაბამისად, შემცირდეს არარაციონალური ხარჯები;
- უზრუნველყოფილ იქნეს მარაგების მართვის წესისა და შესაბამისი პროცედურების დანერგვა, რაც, მათ შორის, გულისხმობს სარეზერვო მარაგების საჭირო რაოდენობის წინასწარ განსაზღვრას თითოეული ტიპის უნიფორმისთვის. აღნიშნულ პროცესში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო პრაქტიკა.

¹¹ ავტორთა ჯგუფი. ოჯახში ძალადობის საკითხებზე პოლიციელთა სახელმძღვანელო, 2010 წელი.

ფაქტი 2: სხვადასხვა აუდიტის ობიექტზე არსებობს რესურსების პროდუქტიულად გამოყენების მნიშვნელოვანი პოტენციალი. კერძოდ, არაპროორიტეტული ჯგუფებისთვის უნიფორმის მინოდების შემცირებით, შესაძლოა მეტი რესურსის პროორიტეტულ ჯგუფებზე მიმართვა. მაგალითად, თუ პირი ორგანიზაციაში ადმინისტრაციულ ფუნქციას ასრულებს, მასზე გაცემული საველე უნიფორმა ნაკლებად ცვდება, რადგან ის არ მონაწილეობს ყოველდღიურ წვრთნებში. შესაბამისად, შესაძლებელია უნიფორმის მოხმარების ვადის გაზრდა, რაც გამოიწვევს ეკონომიას. აუდიტის მიერ შესწავლილი შემთხვევებიდან, დაახლოებით, 4.2 მილიონი ლარი შესაძლოა უფრო პროდუქტიულად იქნეს გამოყენებული და მისი ნაწილი მიიმართოს უნიფორმის შესყიდვაზე იმ მოსამსახურეებისთვის, რომელთაც აღნიშნულის მეტი საჭიროება გააჩნიათ.

მიზეზი: სათანადოდ არ ხდება კონტიგენტის საჭიროებების პრიორიტეტების განსაზღვრა.

რეკომენდაცია: წლის განმავლობაში საჭირო და შესასყიდი უნიფორმების რაოდენობის დაანგარიშება განახორციელოს შესაბამისმა სამსახურმა საშტატო ერთეულის, საჭიროებებზე დაფუძნებული რაოდენობის (მათ შორის, პრიორიტეტული კონტიგენტის უპირატესი დაკმაყოფილების გათვალისწინებით) საწყობში არსებული ნაშთების/საჭირო ოდენობის მარაგებისა გათვალისწინებით.

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი

ფაქტი 1: ვიდეოჭარიმებზე არ ვრცელდება ქულათა კლების სისტემა, რაც ამცირებს ვიდეოჭარიმების ეფექტიანობას. საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ნებისმიერი ტიპის ჯარიმა აისახება მძღოლის ქულებზე და იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას, რაც კიდევ უფრო ეფექტიანს ხდის, როგორც ვიდეოკამერების ფუნქციონირებას, ისე – ქულათა სისტემას.

მიზეზი: ვიდეოკამერით ფიქსირდება ავტომანქანის ნომერი და არა მძღოლი. შესაბამისად, გათვალისწინებული არ არის ვიდეოკამერით გამოვლენილ სამართალდარღვევაზე კონკრეტული მძღოლისთვის ქულების კლების შესაძლებლობა.

რეკომენდაცია: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებზე შესაბამისი სანქციების დაკისრების უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, სამინისტროს მიერ განხილულ იქნეს ვიდეოჭარიმებზე ქულათა კლების სისტემის გავრცელების შესაძლებლობა.

ფაქტი 2: აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგიერთი მძღოლი სისტემატურად არღვევს საგზაო მოძრაობის წესებს, თუმცა ჯარიმების დიდ ნაწილს არ იხდის და აგრძელებს მოქმედი წესების უგულებელყოფას (მიუხედავად იმისა, რომ სისტემატურად დამრღვევთა დიდ ნაწილს ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება). შედეგად, მარტო 10 მძღოლზე 2011 წლიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ირიცხება 591 ერთეული გადაუხდელი ჯარიმა (800 ათასი ლარი), საიდანაც 92.4%, ანუ 546 ჯარიმა (749.2 ათასი ლარი, ანუ 93.6%) გადაცემულია აღსასრულებლად. გემოაღნიშნული გარემოება საფრთხეს უქმნის საგზაო მოძრაობის მონაწილეებს.

მიზეზი: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რამდენიმე მუხლი¹² ვერ უზრუნველყოფს სისტემატურად დამრღვევთათვის ადეკვატური სახდელის დაკისრებას. კოდექსით არ არის განსაზღვრული, თუ რა სახის სახდელი უნდა დაეკისროს პირს, რომელიც ამ ტიპის ქმედებას იმეორებს სისტემატურად. აღნიშნული მუხლების მოთხოვნათა მუდმივი დარღვევის შემთხვევაშიც არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაშინ როდესაც, ასეთი სახის ქმედება ევროპის ბევრ ქვეყანაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს.

რეკომენდაცია: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებზე შესაბამისი სანქციების დაკისრების უზრუნველსაყოფად, განხილულ იქნეს კანონ-

¹² მაგალითად, კოდექსის 116-ე და 121-ე მუხლები, რომლებიც ადგენენ სახდელის ოდენობას მანქანის მართვისას ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, ან ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირს უკვე შეჩერებული აქვს, ან საერთოდ არ გააჩნია მართვის უფლება.



მდებლობაში შესატანი ცვლილებების მიზანშეწონილობა, რომელიც შეეხება სისტემატურად დამრღვევებისთვის სასჯელის გამკაცრებას, მაგალითად: მანქანის მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, ან ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირს უკვე შეჩერებული აქვს, ან საერთოდ არ გააჩნია მართვის უფლება.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობის აღმინისტრირების ინფორმაციული სისტემების ეფექტიანობის აუდიტი

აუდიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა საარსებო შემწეობის გაცემის პროცესი და აღნიშნულ პროცესში გამოყენებული ინფორმაციული სისტემის მართვის არსებული პრაქტიკა.

ფაქტი: საარსებო შემწეობის გაცემის ბიზნესპროცესში სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო ვერ ახორციელებს ბენეფიციარების შესახებ განათლების დონისა და ბუნებრივი აირის მოხმარების შესახებ ინფორმაციის გადამოწმებას. ამასთანავე, სისტემაში პერიოდულად არ ხდება სარეიტინგო ქულის გამოთვლის პროცესში გათვალისწინებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის, ბენეფიციარის ასაკის ავტომატური განახლება. აღნიშნული უარყოფით გავლენას ახდენს სარეიტინგო ქულის ადეკვატურ გამოთვლაზე.


მიზეზი: კონტროლის სისტემის ნაკლოვანებებისა და ქვეყნის დონეზე სრულყოფილი მონაცემების არარსებობის გამო, საარსებო შემწეობის გაცემის ბიზნესპროცესში ბენეფიციარების შესახებ განათლების დონისა და ბუნებრივი აირის მოხმარების შესახებ ინფორმაციის ვალიდაციის მექანიზმი არ არის ქმედითი. ხოლო, საარსებო შემწეობის ბიზნესპროცესში გამოყენებული აპლიკაციების კონტროლები ვერ უზრუნველყოფს დროთა განმავლობაში ბენეფიციარის ასაკის შესაბამისობას ფაქტობრივ მაჩვენებელთან.

რეკომენდაცია: არსებული გამოწვევების პირობებში, სააგენტომ უზრუნველყოს სარეიტინგო ქულის ოდენობაზე გავლენის მქონე მონაცემების შესაძლო მაქსიმალური სიზუსტე. აღნიშნული მოიცავს შემდეგი მიმართულებების განვითარებას:


- არსებული გამოწვევების პირობებში, ბუნებრივი აირის მოხმარებისა და განათლების დონის მაჩვენებლების შემთხვევაში მნიშვნელოვანია, სააგენტომ განიხილოს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზები და შეიმუშაოს ქმედითი მექანიზმები ბენეფიციარის მიერ დეკლარირებული ინფორმაციის ვალიდაციისათვის;
- სააგენტომ, არსებული რესურსების გათვალისწინებით, განიხილოს ქულის დათვლის პროცესში გამოყენებული ასაკის ველის შესაბამისობა არსებულ მდგომარეობასთან. კერძოდ, ქულის მუდმივი სისწორის უზრუნველსაყოფად,

დიაგრამა 8: სიმულაციური ანალიზის საშუალებით დიაგრამაზე წარმოდგენილია ბუნებრივი აირის მოხმარებისა და განათლების დონის მაჩვენებლების ცვლილების გავლენა გადასახდელ თანხაზე

გადასახდელ თანხაზე ბუნებრივი აირის მოხმარების მაჩვენებლის გავლენა (მლნ)



გადასახდელ თანხაზე განათლების დონის მაჩვენებლის გავლენა (მლნ)



აპლიკაციაში შესაბამისი ბრძანების მოდიფიცირება, რომელიც პერიოდულად ან წელიწადში ერთხელ მაინც, განაახლებს ასაკის ველს.

ინფექციის პრევენცია და კონტროლის ეფექტიანობის აუდიტი

ინფექციის პრევენციისა და კონტროლის (შემდეგ – იპკ) ღონისძიებები მნიშვნელოვანი ფაქტორია ეფექტიანი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის უზრუნველყოფისათვის. სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციები ფართოდ გავრცელებული გართულებაა, რომელიც გავლენას ახდენს როგორც პაციენტის ავადობასა და სიკვდილიანობაზე, ასევე მნიშვნელოვნად ზრდის სამედიცინო მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებს. თუმცა, აღნიშნული ინფექციების მნიშვნელოვანი ნაწილის თავიდან აცილება შესაძლებელია ინფექციის პრევენციისა და კონტროლის ეფექტიანი სისტემის პირობებში.

ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების შესახებ სანდო და დროული ინფორმაციის შეგროვების მექანიზმების არსებობა.

ფაქტი: ქვეყანაში დაფიქსირებულ სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების რაოდენობა არარეალურად დაბალია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს მის სანდოობას.

ნოზოკომიური ინფექციების შესახებ სანდო ინფორმაციის არარსებობის პირობებში, შეუძლებელია სახელმწიფომ დაგეგმოს ქმედითი პრევენციული ღონისძიებები ნოზოკომიური ინფექციების რაოდენობის და შესაბამისად, მის მკურნალობაზე გაწეული ხარჯების შემცირების მიმართულებით.

მიზგზი: მიუხედავად იმისა, რომ სტაციონარულ დაწესებულებებს გააჩნიათ ვალდებულება დზვის¹³ პროგრამაში სრულად ასახვის მიზნით საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრებს აცნობონ გამოვლენილი ნოზოკომიური ინფექციები, არსებული სურათი მეტყველებს საპირისპიროზე. აუდიტის პერიოდისათვის ცენტრში არ იყო დანერგილი შესაბამისი მექანიზმები, რისი მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა სტაციონარული დაწესებულებების მიერ პროგრამაში მონაცემების სრულად და ზუსტად ასახვის მონიტორინგი.

რეკომენდაცია: არსებული მექანიზმების გაფართოება – იმპლემენტაციის პროცესის ხელშეწყობით, ახალი ინსტრუმენტების დანერგვით და იპკ-ის მართვის სისტემის ერთეულებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებით, უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყანაში არსებული ნოზოკომიური ინფექციების შესახებ ინფორმაციის სანდოობა, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მიერ ქმედითი ღონისძიებების გატარებას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის მიმართულებით.

ქალაქ ბათუმში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდასაჭერად განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი

სამსახურმა შეისწავლა ქალაქ ბათუმში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდასაჭერად განხორციელებული ღონისძიებები, კერძოდ, ის წინაპირობები, რაც შექმნილია ამხანაგობების საკუთრებაში არსებული საერთო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით.

ფაქტი: ქ. ბათუმში მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისა და მათ საკუთრებაში არსებული საერთო ქონების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ მონაცემების სრული და განახლებადი ბაზა არ არსებობს.

მიზგზი: არ არის შემუშავებული აღრიცხვის წესი და სისტემა. აღრიცხვა მხოლოდ ის ამხანაგობები, მათ მიერ დაფიქსირებულ კონკრეტულ პრობლემებთან ერთად (მაგალითად: ამორტიზებული ლიფტი, სახურავის პრობლემა და ა.შ.), რომლებსაც ქვეპროპროგრამის ფარგლებში დახმარების თხოვნით მიუმართავთ მუნიციპალიტეტისთვის.

რეკომენდაცია: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საჭიროებების გამოვლენისა და პრიორიტეტულობის მინიჭების მიზნით, მნიშვნელოვანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს იმ ამხანაგობების საკუთრებაში არსებული საერთო ქონების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ მონაცემების სრული და განახლებადი ბაზა, რომლებსაც ესაჭიროებათ მხარდაჭერა.

¹³ დაავადებათა ეპიდემიოლოგიისა და პრევენციის ცენტრის ინტეგრირებული ელექტრონული სისტემა.



აუდიტის ხარისხის კონტროლი და უზრუნველყოფა

მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობა დაფუძნებულია ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის ძლიერ სისტემებზე. აუდიტორული საქმიანობის მაღალი ხარისხი მიიღწევა აუდიტის მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფით, ხარისხის კონტროლის სისტემის შექმნითა და სათანადო ფუნქციონირებით. აუდიტების ხარისხის გაზრდის მიზნით, სამსახურმა, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით, განაახლა როგორც აუდიტის მეთოდოლოგიური ბაზა, ისე აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემა.

- 2018 წელს განახლდა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მეთოდოლოგიები და კიდევ უფრო დაუახლოვდა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტებს (ISSAIs);
- განახლებული მეთოდოლოგიების მიხედვით გადამზადდა აუდიტორთა 100%;
- 2018 წელს სამსახურში დაინერგა საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვის სისტემა.¹⁴ აღნიშნული გულისხმობს გამოცდილი აუდიტორებისაგან მიმოხილველთა ჯგუფის შექმნას, რომელიც განახორციელებს აუდიტების ხარისხის კონტროლს აუდიტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე (დაგეგმვა, შესრულება, ანგარიშგება);
- 2018 წელს მიმოხილველთა ჯგუფის მიერ ხარისხის კუთხით შემოწმდა 40 აუდიტის ანგარიშის პროექტი (14 ფინანსური, 25 შესაბამისობისა და ერთი – ეფექტიანობის აუდიტი). დანარჩენი აუდიტების ხარისხის შემოწმება კი განახორციელა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა;
- 2019 წლიდან დაგეგმილია სამსახურის მიერ მომზადებული ყველა აუდიტის ანგარიშის ხარისხის შემოწმება მიმოხილველთა ჯგუფის მიერ.

2.2 რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უმთავრესი ფუნქცია გამოიხატება საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებასა და მოქალაქეებისთვის ღირებულების შექმნაში. აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად სამსახურის ძირითად პროდუქტს წარმოადგენს რეკომენდაციები და მათი შესრულების შედეგად მოტანილი სარგებელი. სამსახური ორიენტირებულია, ერთი მხრივ, შიდა პროცესების გაუმჯობესებით ხარისხიანი და ქმედითი რეკომენდაციების მომზადებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, პარლამენტთან და უწყებებთან ეფექტური კომუნიკაციითა და თანამშრომლობით, რეკომენდაციების დროულ შესრულებაზე.

2018 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახური აქტიურად მუშაობდა ამ მიმართულებით შიდა პროცესების ეფექტიანობის ამაღლებაზე. შედეგების გაუმჯობესებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების უკეთესი მონიტორინგის მიზნით, განახლდა „რეკომენდაციების შემუშავებისა და შესრულების მონიტორინგის“ სახელმძღვანელო. აღნიშნული სახელმძღვანელოს მეშვეობით, აუდიტორები უზრუნველყოფენ რეკომენდაციების მომზადებისა და შესრულების სტანდარტიზებულ და გამჭვირვალე პროცესს; გადამზადებულია აუდიტორთა 100%.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განახლებული მდგომარეობა და აქტიური კომუნიკაციის შედეგად, 2015-2017 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი 43%-დან გაიზარდა 60%-მდე. სამსახურის მიზანია რეკომენდაციების შესრულების უფრო მაღალი მაჩვენებლის მიღწევა. აქედან გამომდინარე, 2018 წელს აუდიტის სამსახურმა დაიწყო რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის კონცეფციის შემუშავება. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს აუდიტის ობიექტებთან პროაქტიულ კომუნიკაციას, პროცესების ავტომატიზაციასა და

¹⁴ შეიქმნა შემდეგი დოკუმენტები: ხარისხის კონტროლის მიმოხილვის პოლიტიკა; პროცედურული სახელმძღვანელო ხარისხის კონტროლის მიმოხილველებისათვის; სახელმძღვანელო-კითხვარი ხარისხის კონტროლის მიმოხილველებისათვის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტში; AMS-ის სახელმძღვანელო ხარისხის კონტროლის მიმოხილველებისათვის ფინანსურ და შესაბამისობის აუდიტში.

მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის დანერგვას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს აღნიშნული სისტემის შექმნა და პრაქტიკაში ამოქმედება წარმოადგენს.


რეკომენდაციების შესრულების ზოგადი სტატისტიკა

სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზით, 2015-2017 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი 2018 წელს შეადგენდა 43%-ს, ხოლო 2019 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა და 60%-ს გაუტოლდა.


სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები იყოფა ორ ნაწილად: სტანდარტული და სისტემური/მნიშვნელოვანი.

სისტემური/მნიშვნელოვანია რეკომენდაცია, რომლის შესრულებასაც შესაძლოა ჰქონდეთ მაღალი ზეგავლენა საჯარო სექტორში მიმდინარე პროცესებსა და სახელმწიფო ბიუჯეტზე. ამ ტიპის რეკომენდაციები ეხება ქვეყნისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებს. მათი შეუსრულებლობით სახელმწიფო ბიუჯეტმა შესაძლოა დაკარგოს მნიშვნელოვანი შემოსავლები, გაზარდოს კორუფციისა და თაღლითობის რისკი, მოხდეს საბიუჯეტო რესურსებისა და სახელმწიფო ქონების არამიზნობრივი განკარგვა და სხვ.


დიაგრამა 9: 2015-2017 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა




დიაგრამა 11: 2015-2017 წლებში გაცემული სისტემური/მნიშვნელოვანი რეკომენდაციის შესრულება



დიაგრამა 10: 2015-2017 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შედარება




დიაგრამა 12: 2015-2017 წლებში გაცემული სტანდარტული და სისტემური/მნიშვნელოვანი რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა



როგორც დიაგრამიდან ჩანს, გაცილებით დაბალია სისტემური/მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი, რომელიც 47%-ს შეადგენს. თუმცა, საყურადღებოა, რომ გასული წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი 22%-ით გაიზარდა (2018 წლის მაჩვენებელი იყო 25%).


აუდიტის სახეობების მიხედვით, შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფინანსური აუდიტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებს აქვს: მათი 70% შესრულებულია. ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებზე, რომელთა უმრავლესობა სისტემური მნიშვნელობისაა.

დიაგრამა 13: 2015-2017 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება აუდიტის სახეობების მიხედვით




2018 წელს ჩატარებული აუდიტების ფარგლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა 1,031 რეკომენდაცია, რომელთაგან შესრულებულია მხოლოდ 28% და მიმდინარეა – 43%. შესრულების დაბალი მაჩვენებელი ნაწილობრივ განპირობებულია იმ გარემოებით, რომ რეკომენდაციები ახალი გაცემულია და უწყებების მიერ მათი შესრულებისთვის მოთხოვნილი ვადა ჯერ არ დასრულებულა.

დიაგრამა 14: 2018 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები უმეტესწილად გაცემულია 5 ძირითადი მიმართულებით.


დიაგრამა 15: 2015-2018 წლებში გაცემული რეკომენდაციების თემატური განაწილება




რეკომენდაციების თითქმის ნახევარი ეხება აქტივებისა და ორგანიზაციულ და პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ დარღვევებს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე დეტალურადაა წარმოდგენილი გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა თითოეული კატეგორიის მიხედვით.

დიაგრამა 16: 2015-2018 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა სფეროების მიხედვით


საბიუჯეტო რესურსების მართვა




აქტივების მართვა




შესყიდვების მართვა



აღრიცხვა-ანგარიშგება



ორგანიზაციული და პერსონალური მართვა



- შესრულებული
- ნაწილობრივ შესრულებული
- მიმდინარე
- შეუსრულებელი

რეკომენდაციების შესრულებით მოტანილი სარგებელი


აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებით შესაძლებელია არსებითი ცვლილებების განხორციელება საჯარო სექტორში, რაც უკავშირდება სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებას, საბიუჯეტო თანხების მიზნობრივ განკარგვას, სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის ამაღლებას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

2018 წელს საჯარო სექტორში განხორციელდა რიგი ცვლილებებისა, რომელთა ნაწილი აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შედეგია. ქვემოთ წარმოდგენილია წარმატებით შესრულებული რეკომენდაციების რამდენიმე მაგალითი:

საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი

ფაქტი: საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა 1,000,000 მოსახლეზე, მნიშვნელოვნად აღემატება საშუალო ევროპულ მაჩვენებელს, რასაც ცხადყოფს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კვლევა:

დიაგრამა 17: ფატალური შემთხვევების მაჩვენებელი 1,000,000 მოსახლეზე OECD-ის მიხედვით



მიზეზი: შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ე.წ. „შავი წერტილების“ (ადგილები, სადაც ყველაზე ხშირია შეჯახებები) იდენტიფიცირება და შესაბამისი მიზანმიმართული პოლიტიკის განსაზღვრა არ ხდება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით (მუნიციპალიტეტი, ინფრასტრუქტურის და ეკონომიკის სამინისტროები).

ცხრილი 1. თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზაზე არსებული „შავი წერტილები“ ბოლო 2 წლის მანძილზე

კმ	შემთხვევა	დაშავებული	დაღუპული
28	17	32	5
50	15	31	3
27	15	27	2
24	15	10	9

რეკომენდაცია: მოხდეს ავტოსაგზაო შემთხვევების ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა, „შავი წერტილების“ რუკის შედგენა და მათზე დროული რეაგირება.

განსაკუთრებული ძალისხმევა მიიმართოს ვიდეომეთვალყურეობის ერთიანი ქსელის შექმნის პროცესზე და განხილულ იქნეს შიდასახელმწი-


ფოებრივ, ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ვიდეოსამეთვალყურეო კამერების განთავსების შესაძლებლობა.

მიღებული სარგებელი: შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) ინიციატივით, საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში, დამონტაჟდა 200 „ჭკვიანი კამერა“ თბილისის მასშტაბით. ასევე: რეკომენდაციების საფუძველზე, შსს-მ შეიმუშავა ავტოსაგზაო შემთხვევების განახლებული ფორმა, სადაც აისახება როგორც შემთხვევების GPS კოორდინატები, ასევე დაკონკრეტდება მისი გამომწვევი მიზეზები.

იგეგმება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ინფორმაციის გაცვლას შსს-სა და სხვა დაინტერესებულ უწყებებს შორის.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემის ეფექტიანობის აუდიტი

ფაქტი: სასწრაფო სამედიცინო დახმარების პრიორიტეტების დისპეტჩერიზაციის სისტემა, რომელიც სამედიცინო შემთხვევებს კატეგორიზებად ყოფს, დანერგული არ იყო. კერძოდ, არ განისაზღვრებოდა შემოსული შეტყობინებები პრიორიტეტების მიხედვით და მძიმე და შედარებით მსუბუქ შემთხვევებზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების რეაგირების დრო იყო თითქმის ანალოგიური და ჩამორჩებოდა უკეთესი პრაქტიკით დადგენილ მაჩვენებლებს.



რეკომენდაცია: მნიშვნელოვანია, სამინისტროს კოორდინაციით, სსიპ „112“-ის სისტემაში დაინერგოს პრიორიტეტების დისპეტჩერიზაციის პროგრამა და დაწესდეს ინციდენტის ტიპებზე შესაბამისი რეაგირების დროის ნიშნული.

მიღებული სარგებელი: სსიპ „112“-მა გაითვალისწინა აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია, რის შედეგადაც შესული ზარების პრიორიტეტულობას ახლა უკვე სპეციალური სისტემა განსაზღვრავს.

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი

ფაქტი 1: აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგიერთი მძღოლი სისტემატურად არღვევს საგზაო მოძრაობის წესებს, თუმცა ჯარიმების დიდ ნაწილს არ იხდის და აგრძელებს მოქმედი წესების უგულვებელყოფას (მიუხედავად იმისა, რომ სისტემატურად დამრღვევთა დიდ ნაწილს ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება). შედეგად, მარტო 10 მძღოლზე 2011 წლიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ირიცხება 591 ერთეული გადაუხდელი ჯარიმა (800 ათასი ლარი), საიდანაც 92.4%, ანუ 546 ჯარიმა (749.2 ათასი ლარი, ანუ 93.6%) გადაცემულია აღსასრულებლად. გემოლნიშნული გარემოება საფრთხეს უქმნის საგზაო მოძრაობის მონაწილეებს.

მიზეზი: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რამდენიმე მუხლი¹⁵ ვერ უზრუნველყოფს სისტემატურად დამრღვევთათვის ადეკვატური სახდელის დაკისრებას. კოდექსით არ არის განსაზღვრული, თუ რა სახის სახდელი უნდა დაეკისროს პირს, რომელიც ამ სახის ქმედებას იმეორებს სისტემატურად. აღნიშნული მუხლების მოთხოვნათა მუდმივი დარღვევის შემთხვევაშიც არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაშინ როდესაც, ასეთი სახის ქმედება ევროპის ბევრ ქვეყანაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს.

რეკომენდაცია: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებზე შესაბამისი სანქციების დაკისრების უზრუნველსაყოფად, განხილულ იქნეს კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების მიზანშეწონილობა, რომელიც შეეხება სისტემატურად დამრღვევებისთვის სასჯელის გამკაცრებას. მაგალითად, მანქანის მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, ან ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირს უკვე შეჩერებული აქვს, ან საერთოდ არ გააჩნია მართვის უფლება.

¹⁵ მაგალითად, კოდექსის 116-ე და 121-ე მუხლები, რომლებიც ადგენენ სახდელის ოდენობას მანქანის მართვისას ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, ან ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირს უკვე შეჩერებული აქვს, ან საერთოდ არ გააჩნია მართვის უფლება.



მიღებული სარგებელი: „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონპროექტის მიხედვით, სასჯელი მკაცრდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გარკვეულ მუხლებზე. ცვლილებები ითვალისწინებს პასუხისმგებლობის გამკაცრებას ნასვამ მდგომარეობაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისთვის. კერძოდ, ცვლილებების პაკეტი ითვალისწინებს 116 მუხლის 1-ლი ნაწილის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში სამართალდამრღვევისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების საკითხს.

ფაქტი 2: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამოვლენა, ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. საქართველოში, ევროპის ქვეყნების მსგავსად, დამრღვევი მძღოლების გამოვლენის მიზნით, პერმანენტულად იზრდება ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის ხვედრითი წილი.

ამავე დროს შემოღებულია ქულათა სისტემა, რომელიც საგზაო მოძრაობის წესების ხშირად დარღვევის შემთხვევაში ავტომატურად მართვის უფლების ჩამორთმევას გულისხმობს. მიუხედავად ამისა, საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების ოდენობა და სიმძიმე მნიშვნელოვნად არ შემცირებულა.

მიზეზი: ქულების კლების სისტემა არ ვრცელდება ვიდეოჭარიმებზე, რაც ამცირებს ვიდეოჭარიმების ეფექტიანობას.¹⁶ საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით კი, ნებისმიერი სახის ჯარიმა აისახება მძღოლის ქულებზე და იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას, რაც კიდევ უფრო ეფექტიანს ხდის როგორც ვიდეოკამერების ფუნქციონირებას, ისე ქულათა სისტემას.

რეკომენდაცია: საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, განხილულ იქნეს ვიდეოჭარიმებზე ქულათა კლების სისტემის გავრცელების შესაძლებლობა.

მიღებული სარგებელი: „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონპროექტის მიხედვით, ფოტოფირზე ან/და ვიდეოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის პირველი და 1¹ ნაწილებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე (სიჩქარის გადაჭარბება) გავრცელდება მართვის მოწმობისთვის მინიჭებული ქულების რაოდენობის შემცირების წესი. ცვლილებებით განისაზღვრება მართვის მოწმობაზე მინიჭებულ ქულათა რაოდენობის ამოწურვის შემთხვევაში, მართვის უფლების შეჩერების შესახებ დადგენილების ამოქმედების ვადა.

ფაქტი 3: დამრღვევთა 25-30% თავს არიდებს დაკისრებული ჯარიმების გადახდას. ჯარიმის გადახდის მიზანი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის პრევენციაა, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ჯარიმის აღსრულების მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირება.

სამინისტროს მიერ ვერ ხერხდება კერძო კომპანიების კუთვნილ ავტომატურად გადაუხდე-ლი ჯარიმების შესახებ ინფორმაციის გადაგზავნა აღსრულების ეროვნულ ბიუროში იძულებით აღსრულების მიზნით და არც ფოსტის საშუალებით იგზავნება ეს შეტყობინება. შედეგად, იმ კერძო კომპანიებზე, რომლებიც არ იხდიან ჯარიმებს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის, იძულებით აღსრულების ღონისძიებები არ ხორციელდება. ჯამში, ასეთი კატეგორიის და გადაუხდე-ლის სტატუსის მქონე ვიდეოჭარიმების ღირებულებამ 2016 წლისათვის, თითქმის, 450 ათასი ლარი შეადგინა.

მიზეზი: სამინისტროს შესაბამის პროგრამაში არსებული ხარვეზები (პროგრამულად არ არის გათვალისწინებული იურიდიული პირების საიდენტიფიკაციო მონაცემები).

¹⁶ მაგალითად, სიჩქარის გადაჭარბება, რაც ავტოსაგზაო შემთხვევების ძირითად გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს, ვიდეოკამერებით ფიქსირდება და შესაბამისად, მხოლოდ ვიდეოჭარიმები იწერება. შედეგად, ამ კატეგორიის დარღვევა მძღოლებისათვის ქულების დაკლებას არ იწვევს.


რეკომენდაცია: ჯარიმების აღსრულების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, დაჩქარდეს არსებულ პროგრამაში ყველა იმ სერვისის ინტეგრირება, რაც შესაძლებელს გახდის კერძო კომპანიების გადაუხდელი ჯარიმების შესახებ სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის საჭირო ინფორმაციის გაგზავნას.

მიღებული სარგებელი: კერძო სამართლის იურიდიული პირების საიდენტიფიკაციო მონაცემები აისახა შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში. 2018 წლის სექტემბრის მონაცემებით 5,262 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტია გამოვლენილი, რომელიც განხორციელდა იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ. აღნიშნული ჯარიმების შესახებ ინფორმაცია ეტაპობრივად ეგზავნებათ იურიდიულ პირებს.

საარსებო შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი ბენეფიციარების სოციალურ დახმარებებზე დამოკიდებულების შემცირების ეფექტიანობის აუდიტი

ფაქტი: სოციალური დახმარების არსებული მოდელი ვერ უზრუნველყოფს დახმარების მიმღებთათვის სათანადო შრომითი მოტივაციის შექმნას. მოდელის მიხედვით, დახმარების მიმღებთა სარეგისტრაციო ქულა განსაზღვრავს მრავალ ფულად და არაფულად დახმარებას სხვადასხვა უწყების მხრიდან. აუდიტის შედეგად გამოვლინდა რისკი, რომ პირი დასაქმების შემთხვევაში კარგავს ფულად დახმარებას და მასთან დაკავშირებულ სხვა სარგებელსაც (მაგალითად, გაუმჯობესებულ დაზღვევის პაკეტს). შესაბამისად, დახმარების დაკარგვის შიში იწვევს ბენეფიციარების შრომით დემოტივაციას. საკითხი არსებითია, რადგან დახმარების მიმღებთა დიდი ნაწილი შრომისუნარიანია.

დიაგრამა 18: ოჯახების რაოდენობა შრომისუნარიანი წევრით და შრომისუნარიანი ბენეფიციარების რაოდენობა (2016 წლის მდგომარეობით)



მიზმი: სოციალური დახმარების სისტემის მოდელი ვერ უზრუნველყოფს სათანადო სტაბილურობის გარანტიების შექმნას და დახმარების ეტაპობრივ შემცირებას ბენეფიციარის ფორმალურ შრომით ბაზარზე დასაქმების შემთხვევაში. შესაბამისად, მოდელი არ ითვალისწინებს ე.წ. „განლევადი“ დახმარების მიდგომას, რაც შრომითი მოტივაციის გაზრდის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

რეკომენდაცია: საარსებო შემწეობის პროგრამის ბენეფიციარების შრომითი მოტივაციის გაზრდის მიზნით, მოხდეს ბენეფიციარებისთვის დასაქმების ან/და სხვა ეკონომიკური აქტივობის შემთხვევაში სტაბილურობის დამატებითი გარანტიების შექმნა.



მიღებული სარგებელი: 2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ე.წ. განღვეადი სოციალური დახმარების სისტემა. ცვლილება სოციალურად დაუცველისთვის შემოსავლის დაფიქსირებიდან ერთი წლის განმავლობაში მონეტარული და არამონეტარული დახმარების შენარჩუნებას, ხოლო მეორე წელს, მხოლოდ არამონეტარული დახმარების შენარჩუნებას ითვალისწინებს. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს ბენეფიციართა ფორმალურ შრომით ბაზარზე დასაქმებას და სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულთა შემცირებას გრძელვადიან პერიოდში.


საირიგაციო სისტემის მართვის შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი

ფაქტი: აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ შპს „საქართველოს მელიორაცია“ წყალს არათანაბრად ანაწილებდა და მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მომსახურების ხარისხი ერთი და იმავე არხის სხვადასხვა მონაკვეთზე (იხ. რუკა). შედეგად წყლის რესურსი, რომელიც რაციონალური და კარგი პრაქტიკის შესაბამისი მენეჯმენტის პირობებში საკმარისი იქნებოდა მთლიანად არხს დაქვემდებარებული გასარწყავებული ფართობების რამდენჯერმე მომსახურებისთვის, ფაქტობრივად ამოწურული იყო არხის შუაში.

მიზეზი: არ არსებობს წყლის განაწილების სისტემა (გრაფიკი), რომელმაც უნდა უზრუნველყოს წყლის რესურსის მონაცვლეობით მიწოდება სხვადასხვა ნაკვეთისთვის. ასევე სუსტია გრაფიკის დაცვისათვის და წყლის რესურსების მართვის განხორციელებისთვის აუცილებელი სარეგულაციო ფარების კონტროლი.

რეკომენდაცია: კომპანიამ გამოსცეს სახელმძღვანელო ინსტრუქცია სისტემური სამმართველოებისთვის, რომელსაც ისინი დაეყრდნობიან როგორც წლიური დაგეგმვისა და გრაფიკების შედგენის, ასევე წყალმომხმარებლებთან ურთიერთობის დასარეგულირებლად და სადაც გათვალისწინებული იქნება ირიგაციის სერვისის ძირითადი პრინციპები/მიზნები, დროულობის, სამომედლობისა და თანასწორობის ჩათვლით.


მიღებული სარგებელი: კომპანიამ რეკომენდაციის თანახმად, 2018 წლის დასაწყისში მოამზადა „თვითდინებითი სარწყავი სისტემისათვის წყლის ხარჯვის ლიმიტების განსაზღვრის მეთოდისა“ და წლის განმავლობაში ჩაატარა რამდენიმე ტრენინგი რეგიონალური ოფისებისათვის აღნიშნული მეთოდის გამოყენებაში. დოკუმენტის პრაქტიკაში დაწერვა ხელს შეუწყობს საირიგაციო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას დროულობის, სამომედლობისა და თანასწორობის მაჩვენებლების მიხედვით.



ქ. თბილისის მასშტაბით ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით გამოწვეული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი


ფაქტი 1: 2016 წელს სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება არ აქვს გავლილი დაახლოებით 76%-ს, რაზეც საპატრულო პოლიციის რეაგირება საკმაოდ დაბალია 2016 წელს დაჯარიმებულია მხოლოდ 13.6%. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ:

- ინფორმაციულ სისტემაში გაერთიანება ტესტირების ცენტრებისთვის იყო ნებაყოფლობითი და არ რეგულირდებოდა კანონმდებლობით;
- პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შედეგებს სისტემაში ოპერატორი ასახავდა მექანიკურად, რაც ზრდიდა მონაცემთა არასწორად დაფიქსირების რისკს;
- პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების მონიტორინგის ინფორმაციულ სისტემასთან არ ჰქონდა წვდომა საპატრულო პოლიციის სამსახურს, შესაბამისად, არ იყო ინფორმირებული, რომელ ასს-ებს არ აქვთ გავლილი სავალდებულო პტი.



მიზეზი: შინაგან საქმეთა სამინისტროს არასათანადო ადმინისტრირების გამო, მცირეა იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა, რომლებიც მიმართავენ ინსპექტირების ცენტრებს სავალდებულო შემოწმების გასავლელად. შედეგად, მაღალია რისკი იმისა, რომ ქალაქში მოძრავი ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობა არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, მათ შორის, მავნე აირების გამონაბოლქვის კუთხით, რაც ზრდის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონეს და ქმნის საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. აღსანიშნავია, რომ ძრავის შიდა წვის (გამონაბოლქვის) გაუმართავი სისტემის მწყობრში მოსაყვანად გასაწევი ხარჯი მნიშვნელოვნად აღემატება არსებული ჯარიმების ოდენობას. შესაბამისად, მაღალია რისკი, რომ ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა თავიდან აირიდონ პტი-ს პროცედურები.

დიაგრამა 19: ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გავლისა და დაჯარიმების დინამიკა



რეკომენდაცია: ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვით გამოწვეული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონის შესამცირებლად, დაინერგოს კონტროლის შესაფერისი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს აღმოიფხვრას პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გაუვლელობაზე ადმინისტრირების დაბალი მაჩვენებელი.

მიღებული სარგებელი: 2019 წლის 1 იანვრიდან პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას დაექვემდებარა საქართველოს ტერიტორიაზე დადგენილი წესით რეგისტრირებული ყველა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალება. ასევე, 2019 წლის 14 იანვრიდან ავტომატურ რეჟიმში (ვიდეოკამერების მეშვეობით) ჯარიმდება ის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებსაც კანონის შესაბამისად არ გაუვლიათ პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება.


საკანონმდებლო ცვლილებებით გამკაცრდა პასუხისმგებლობა პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გავლის გარეშე სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის და იწვევს მძღოლის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით, 10 ლარის ნაცვლად. ასევე დაწესდა პასუხისმგებლობა იმ პირისთვის, რომელიც სამართავად გადასცემს სხვა პირს სატრანსპორტო საშუალებას, რომელსაც დადგენილი წესით არ გაუვლია პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება, ხოლო იურიდიული პირის ან/და ინდივიდუალური მენარმის დაჯარიმება 200 ლარის ოდენობით, ნაცვლად 100 ლარისა. 2018 წლის 1 მარტიდან 2019 წლის 10 თებერვლის ჩათვლით, საქართველოს მასშტაბით შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 118-ე მუხლის შესაბამისად, გამოვლენილ იქნა 32,565 სატრანსპორტო საშუალება, რომელთაც არ გაუვლიათ გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირება დადგენილი წესით. ამავე დროს, 22,453 საჯარიმო ქვითარი შედგენილია 118-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რომელიც ადგენს პასუხისმგებლობას იმ სატრანსპორტო საშუალების სხვა პირისათვის სამართავად გადაცემის/საექსპლუატაციოდ გადაცემის/საექსპლუატაციოდ დაშვებისთვის, რომელსაც დადგენილი წესით არ გაუვლია პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება.

ფაქტი 2: აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ პრობლემურია საცობების დიდი რაოდენობა და სატრანსპორტო ნაკადების ოპტიმიზაციის საკითხი, ქალაქის მასშტაბებისა და სატრანსპორტო ნაკადების გათვალისწინებით არსებული ავტობუსების რაოდენობა არასაკმარისია.


2017 წელს ქ. თბილისში, 816 ავტობუსიდან 143 ერთეულს არ ეკუთვნის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება, ხოლო დანარჩენი 673 ავტობუსიდან, 456 ერთეულმა (68%) ვერ გაიარა პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება. მოპოვებული ინფორმაციით, ავტობუსების უმეტე-

სი ნაწილი გაუმართავია და ისინი ვერ გადიან შემოწმებას არსებული სტანდარტის შესაბამისად, რაც გამოწვეულია გამონაბოლქვის სისტემის გაუმართაობით. ასეთი ავტობუსების ექსპლოატაცია საქართველოს კანონმდებლობით დაუშვებელია.

დიაგრამა 20: ქ. თბილისში არსებული ავტობუსების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შედეგები (2017 წელი)



დიაგრამა 21: აკრედიტაციის ცენტრიდან მიღებული ინფორმაცია 03.10.2016-03.04.2017 და 04.04.2017-06.10.2017 პერიოდებში ინსპექტირების ცენტრებში მიკროავტობუსების გამოცხადების შესახებ



მიზგზი: ქ. თბილისის მერიიდან მიღებული განმარტებით, ავტობუსების მიერ პტი-ს გაუვლელობა გამოწვეულია მხოლოდ გამონაბოლქვი სისტემის გაუმართაობით. ავტობუსების უმრავლესობა მოძველებულია, მათი ძრავის შიდა წვის სისტემა აღდგენას არ ექვემდებარება, ხოლო შეცვლა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, შესაბამისად, ისინი არ აკმაყოფილებენ საკანონმდებლო ნორმებს ეკოლოგიურობის კუთხით.

მიკროავტობუსების ნაწილის გამოუცხადებლობა ინსპექტირების ცენტრებში გამოწვეულია როგორც მერიის მხრიდან კონტროლის მექანიზმების არარსებობით, ასევე დარღვევებზე საპატრულო პოლიციის რეაგირების დაბალი მაჩვენებლით.

რეკომენდაცია: დედაქალაქში მუნიციპალური ტრანსპორტის მიერ მავნე აირების გამონაბოლქვით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონის შესამცირებლად, მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა შეიმუშაოს და დაამტკიცოს ტრანსპორტის განვითარების სტრატეგია, სადაც დეტალურად იქნება განვლილი მათი ხედვა და ვადებში განვლილი კონკრეტულად გასატარებელი ღონისძიებები ქალაქში მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარებისა და განახლების მიმართულებით, ასევე ეკოლოგიურად სუფთა ალტერნატიული ტრანსპორტის დანერგვის კუთხით.

მიღებული სარგებელი: ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მთავრობამ თბილისის მერიასთან ერთად შეიმუშავა 40-პუნქტიანი სამოქმედო გეგმა, სადაც განვლილია კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა შესასრულებლად აქტიურად მუშაობს ყველა უწყება. 2019 წლის აპრილში თბილისის მერის მოადგილის განცხადებით, სატრანსპორტო განვითარების გეგმა დედაქალაქს, დაახლოებით, 10 თვეში ექნება.

ეტაპობრივად დაგეგმილია ავტობუსის ე.წ. „გაახალგაზრდავება“, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესება. აღნიშნული კუთხით დაგეგმილია წლის ბოლომდე დამატებით 220 ახალი ავტობუსის შეძენა, მათ შორის, ელექტროავტობუსების.

გარდა ამისა, თბილისის მერის განცხადებით, ქალაქში მნიშვნელოვანი შეღავათები დაწესდება

ელექტრომობილების გამოყენებაზე, აგრეთვე დაგეგმილია ახალი პროექტის განხორციელება, რომლის თანახმადაც, დედაქალაქში 300 ელექტრომობილი შემოვა, რომელთა გამოყენება კონკრეტული საფასურიც ნაცვლად ნებისმიერი მოქალაქისთვის იქნება შესაძლებელი.

დედაქალაქში 2019 წლის ამოქმედდა ახალი პარკირების ზონალური წესი, რომელიც მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის თანახმად ქალაქში ნაკლებ მანქანას და მეტ საზოგადოებრივ ტრანსპორტს ისახავს მიზნად, რათა შემცირდეს თბილისში სატრანსპორტო საშუალებებით გამოწვეული ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი.

თვითმმართველ ერთეულებში პრიორიტეტების განსაზღვრისა და პროექტების შერჩევის პროცესის ეფექტიანობის აუდიტი

ფაქტი: აუდიტის ფარგლებში შერჩეული მუნიციპალიტეტების (აბაშის, გურჯაანის, თეთრიწყაროსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტები) სოფლების დიდ ნაწილში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის დონე იყო დაბალი. ქვემოთ, მაგალითის სახით მითითებულია მუნიციპალიტეტების ცალკეული სოფლები, სადაც მოსახლეობის რაოდენობა არის დიდი, ხოლო სოფლის კრებაზე დამსწრე პირთა რაოდენობა – საკმაოდ მცირე (2016 წელი).

გურჯაანი, სოფელი კარლენახი

სოფლის მოსახლეობის რაოდენობა - 3,183
კრების მონაწილე პირთა რაოდენობა - 35

თეთრიწყარო, სოფელი კოლა

სოფლის მოსახლეობის რაოდენობა - 2,350
კრების მონაწილე პირთა რაოდენობა - 23

აბაშა, სოფელი მარანი

სოფლის მოსახლეობის რაოდენობა - 910
კრების მონაწილე პირთა რაოდენობა - 20

ოზურგეთი, თემი ნატანავი

სოფლის მოსახლეობის რაოდენობა - 3,664
კრების მონაწილე პირთა რაოდენობა - 50

მიზეზი: „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარებული სოფლის კრებებისათვის მოქალაქეთა ჩართულობის მინიმალური მაჩვენებელი განსაზღვრული არ იყო.

რეკომენდაცია: სამინისტრომ ინიცირება მოახდინოს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე დამსწრე მოსახლეობის გონივრული მინიმალური მაჩვენებლის განსაზღვრის შესახებ.

მიღებული სარგებელი: „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა ამომრჩეველთა მინიმალური რაოდენობა: თუ ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენს 501-დან 1,000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩეველთან კონსულტაციის გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ, 100-მა ამომრჩეველმა, თუ აღემატება 1,000 ამომრჩეველს – არანაკლებ, 200-მა ამომრჩეველმა.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სფეროს გარემოსდაცვითი მართვის ეფექტიანობის აუდიტი

ფაქტი: აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ არ ხდებოდა სალიცენზიო ობიექტების რისკის დონის შეფასება და შეფასების საფუძველზე შესაბამისი ობიექტების შერჩევა. შედეგად, დეპარტამენტის ინსპექტირების რესურსი გამოყენებულ იქნა დაბალი ეკოლოგიური რისკების მქონე ობიექტების შესამოწმებლად. მაგალითად, 2016 წელს დაგეგმილი შემოწმებებიდან 85%-ს შეადგენდა მტკნარი და მინერალური წყლის მოპოვების ლიცენზიების შემოწმება. აღნიშნულის გამო ვერ მოხერხდა შედარებით მაღალი რისკის მქონე ობიექტების შემოწმება. რაც შეეხება დიდ ლიცენზიებს, რომლებიც პოტენციურად მეტ ეკოლოგიურ საფრთხეებს ქმნის, აუდიტის პერიოდში სალიცენზიო ფართობზე ვიზიტის განხორციელებით შემოწმდა მხოლოდ 25 ლიცენზია, რაც ამ ტიპის მთლიანი ლიცენზიების 18%-ს შეადგენს.

მიზეზი: აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ სსდ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს არ გააჩნდა სალიცენზიო ობიექტების რისკის შეფასების მეთოდოლოგია, ხოლო ინს-

პექტირების პროცესში გამოყენებული პროგრამა არ იძლეოდა რისკის შეფასებისა და ობიექტების შერჩევის ავტომატიზებული განხორციელების საშუალებას.

რეკომენდაცია: იმ მიზნით, რომ მოხდეს სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების რესურსის გამოყენება მაღალი ეკოლოგიური რისკის მქონე სალიცენზიო ფართობების შესამოწმებლად, სააგენტომ უზრუნველყოს ეკოლოგიური რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და შესაბამისი ლიცენზიანტების შერჩევა განხორციელდეს აღნიშნულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით.

მიღებული სარგებელი: დამტკიცდა სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლის განახლებული წესი, რომელიც ეფუძნება ეკოლოგიური რისკების ანალიზს საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. წესში განსაზღვრულია კონკრეტული კრიტერიუმები, რითაც იხელმძღვანელებს სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი ორგანო (სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტო) გეგმური შემოწმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

სააგენტოს ინფორმაციით, დაგეგმილია რისკების შეფასების ელექტრონული პროგრამის დანერგვა, რომელიც თავად უზრუნველყოფს შესაბამისი ობიექტების ავტომატურ შერჩევას. აღნიშნული ხელს შეუწყობს ინსპექტირების მართულებით გამოყოფილი რესურსის ეფექტიან გამოყენებას და შეამცირებს შესაბამისი ობიექტების შერჩევის პროცესში მიკერძოების რისკებს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი

ფაქტი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების მონაცემების გადამოწმებით დასტურდება, რომ მათი ნაწილი იმყოფება კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში და არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებას.



მიზეზი: უძრავი ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია, სათანადო რეგულაციის არარსებობის გამო, არ მიეწოდებოდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს.

რეკომენდაცია: სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, მერიის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომ სტრუქტურულ ერთეულებს ჰქონდეთ მუდმივი და გამართული კომუნიკაცია, რათა ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილებას დროულად და სრულად მიეწოდოს მისთვის აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები.

მიღებული სარგებელი: რეკომენდაციის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებით დამტკიცდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილებაში დოკუმენტაციის წარდგენის წესი. ბრძანების გამოცემის შედეგად ამ სახის ნაკლოვანებები მნიშვნელოვნად აღმოფხვრილია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჭანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

ფაქტი: სამინისტროს სარგებლობაში არსებული ფართის ნაწილი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის გარეშე დაკავებული ჰქონდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის დეპარტამენტის სსიპ – გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე სანიტარიის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მონიტორინგისა და რეაგირების სამსახურს და 2017 წელს შექმნილ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატას. აღნიშნულის გამო, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება არამართებულად და არამიზნობრივად იყო გამოყენებული.

მიზეზი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების

უსასყიდლოდ ან სასყიდლოდ (ქირით, იჯარით) გადაცემასთან დაკავშირებით, სამინისტროს მხრიდან არ განხორციელებულა შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები.

რეკომენდაცია: განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები სამინისტროს სარგებლობაში არსებული ფართის (ქონების) ნაწილზე, სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის გარეშე იურიდიული პირების განთავსებისა და ფუნქციონირების აღსაკვეთად და სახელმწიფო ქონების მართლზომიერ განკარგვაში მოსაქცევად, რითაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სახელმწიფო ქონების კანონიერი და ეფექტიანი მართვა-გამოყენება.

მიღებული სარგებელი: გატარებული ღონისძიებების შედეგად მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით მოხდა სამინისტროს სარგებლობაში არსებული ფართის ნაწილის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემა, ხოლო ნაწილი ფართისა გამოთავისუფლებულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის დეპარტამენტის სსიპ – გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე სანიტარიის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მონიტორინგისა და რეაგირების სამსახურის მიერ.

3.

ძირითადი პარტნიორობის ჩართულობა



3.1 თანამშრომლობა პარლამენტთან

სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავისი მანდატიდან გამომდინარე, დახმარებას უწევს პარლამენტს საჯარო ფინანსების მართვის ზედამხედველობის განხორციელებაში. პარლამენტი აუდიტის სამსახურის ძირითადი პარტნიორი და მისი აუდიტის მიგნებებისა და რეკომენდაციების უმთავრესი მომხმარებელია. აქედან გამომდინარე, პარლამენტსა და მის კომიტეტებთან თანამშრომლობის გაძლიერება სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია.

პარლამენტსა და აუდიტის სამსახურს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვან პლატფორმას წარმოადგენს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ფარგლებში შექმნილი აუდიტის ანგარიშების განმხილველი სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს კონკრეტული აუდიტების შედეგებს. სამუშაო ჯგუფის სხდომაზე საკითხს წარადგენს აუდიტის სამსახურის წარმომადგენელი. განხილვაში ასევე მონაწილეობს აუდიტის ობიექტის მხარეც.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს პარლამენტის რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სამუშაო ჯგუფს მიენიჭა მუდმივმოქმედი ჯგუფის სტატუსი და აუდიტის ანგარიშების განხილვები იმართება რეგულარულად, ყოველთვიურად. აღნიშნული ცვლილებების შედეგად თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა აუდიტის სამსახურისა და პარლამენტის ურთიერთთანამშრომლობა.

2018 წელს აუდიტის ანგარიშების განმხილველი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში და ასევე პარლამენტის სხვადასხვა კომიტეტის ჩართულობით, განხილულ იქნა 12 აუდიტის ანგარიში:¹⁷

1. ინკლუზიური სწავლების ეფექტიანობის აუდიტი.
2. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემის შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი.
3. საირიგაციო სისტემის მართვის შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი.

4. ქალაქ თბილისის მასშტაბით ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით გამოწვეული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი.
5. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი.
6. საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი.
7. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი.
8. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სფეროს გარემოსდაცვითი მართვის ეფექტიანობის აუდიტი.
9. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2015 და 2016 წლების ფინანსური აუდიტების ანგარიშების განხილვა (ჯამურად, 4 ანგარიში) გაიმართა პარლამენტის ნდობის ჯგუფის სხდომაზე.

პარლამენტთან მჭიდრო თანამშრომლობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლის ზრდისთვის. შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის ფორმატში პარლამენტთან აქტიური კომუნიკაციის გაგრძელება აუდიტის სამსახურის უცვლელ პრიორიტეტად რჩება.

2018 წელს პარლამენტთან თანამშრომლობის კუთხით აღსანიშნავია შემდეგი ღონისძიებები:

- ევროკავშირის პროექტის „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების“ ფარგლებში, პარლამენტისა და აუდიტის სამსახურის დელეგაციები სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ნიდერლანდებსა და ბელგიაში. აღნიშნული ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციებისა და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებთან შეხვედრისას განხილულ იქნა ორმხრივ თანამშრომლობასთან დაკავშირებული საკითხები;

¹⁷ აქედან, 4 აუდიტის ანგარიში იყო გრიფით „საიდუმლო“.

- ევროკავშირის პროექტის „უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერების“ ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე აუდიტორული საქმიანობის გაცნობის მიზნით საპარლამენტო კომიტეტებს წარედგინათ „შედევრებზე ორიენტირებული ბიუჯეტის ზედამხედველობასთან“ დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული მოიცავდა აუდიტის სახეობებს, მეთოდოლოგიის, აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი სისტემური მიგნებების, რეკომენდაციებისა და მათ შესრულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;
- პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წარმომადგენლებს სამუშაო შეხვედრის ფარგლებში წარედგინა 2015-2017 წლებში აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ ანგარიში, რომელიც მოიცავდა რეკომენდაციების შესრულების როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ ანალიზს.
- საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის ორგანიზებით გამართული ორდღიანი კონფერენციის – „სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგის II ფორუმის“ ფარგლებში, აუდიტის სამსახურის წარმომადგენლების, ადგილობრივი თვითმმართველობების, პარლამენტისა და სამინისტროების წარმომადგენლების ჩართულობით განხილულ იქნა მუნიციპალიტეტებში შიდა აუდიტის წარმოების პროცესთან და გამოვლენილ პრობლემებთან, ასევე აუდიტის პროცესში გაცემულ რეკომენდაციებსა და მათი შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები. ფორუმის მთავარი თემა იყო: სახელმწიფო შიდა ფინანსების კონტროლის რეფორმა მუნიციპალიტეტებში, არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები.

3.2 თანამშრომლობა მთავრობასთან

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს მთავრობასთან და აწყობს პერიოდულ შეხვედრებს აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების განხილვის, მათი აღმოფხვრის გზების მოძიებისა და საჭარო ფინანსების მართვის სფეროში არსებული პრობლემური საკითხების გაუმჯობესების მიზნით:

- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან რეგულარულად იმართება შეხვედრები აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინების, შესაძლო დარღვევების პრევენციისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით. 2018 წელს შეხვედრები გაიმართა ქალაქ ბათუმის, ქედის, შუახევის, ხულოს, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში;

3.3 თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან

აუდიტების ფარგლებში პერიოდულად ვლინდება ისეთი დარღვევები, რომლებიც შესაძლოა შეიცავდეს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი კონკრეტული საკითხები გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს დეტალური განხილვისათვის. შესაბამისად, აუდიტის სამსახურისათვის არსებითად მნიშვნელოვანია სამართალდამცავ ორგანოებთან მჭიდრო და ეფექტური კომუნიკაცია, როგორც რისკის შემცველი ანგარიშების გადაგზავნის, ასევე გადაგზავნილ საკითხებზე რეაგირების სტატუსების მუდმივი მონიტორინგის კუთხით.


2018 წელს მნიშვნელოვნად გააქტიურდა თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან. წლის განმავლობაში სამართალდამცავ ორგანოებთან გადაიგზავნა 33 აუდიტის შესაბამისი მასალა (დანართი N2).



3.4 საზოგადოებასთან ურთიერთობა მოქალაქეთა ჩართულობა და გამჭვირვალობა


სახელმწიფო აუდიტის სამსახური აქტიურად იყენებს სხვადასხვა მეთოდებსა და ინსტრუმენტებს მოქალაქეთა ინფორმირებისა და აუდიტის დაგეგმვის პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით. ამის ნათელი მაგალითია წლიური აუდიტორული საქმიანობის გეგმის ფორმირებისას გათვალისწინებული მოქალაქეთა და სხვა დაინტერესებულ პირთა მომართვები. კერძოდ, 2017-2018 წლებში მიღებული 49 მომართვიდან, 13 მომართვა გათვალისწინებულ იქნა 2018 წლის, ხოლო 10 – 2019 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმაში.

დიაგრამა 22: 2017-2018 წლებში მიღებული მომართვები კატეგორიის მიხედვით



აუდიტის სამსახური ასევე იყენებს თანამედროვე ინოვაციურ მიდგომებს მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობისთვის. საჯარო ფინანსების მართვის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ფარგლებში აღებული ვალდებულებით,¹⁸ აუდიტის სამსახურმა შექმნა ანალიტიკური ვებპლატფორმა – ბიუჯეტის მონიტორი (www.budgetmonitor.ge).²⁰

ბიუჯეტის მონიტორი ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს, ერთი მხრივ, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტების, საჯარო ფინანსების მართვის, აუდიტის მიგნებებისა და გაცემული რეკომენდაციების შესახებ მარტივი ვიზუალიზაციების დახმარებით, ხოლო მეორე მხრივ, წარმოადგენს კომუნიკაციის პლატფორმას, რომლის საშუალებითაც მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ აუდიტის სამსახურს საჯარო ფინანსების მართვაში არსებული ხარვეზების შესახებ და ჩაერთონ წლიური აუდიტორული გეგმის ფორმირების პროცესში.



ბიუჯეტის მონიტორის ცნობადობის გაზრდისა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით, 2018 წლის განმავლობაში აუდიტის სამსახური აქტიურად მუშაობდა დაინტერესებულ მხარეებთან:

- 2018 წელს ბიუჯეტის მონიტორთან დაკავშირებით გაიმართა 10 შეხვედრა პარლამენტთან, მედიასთან, სამოქალაქო და აკადემიური სექტორის წარმომადგენლებთან;
- პლატფორმა წარდგენილ იქნა საქართველოში გამართულ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) მე-5 გლობალურ სამიტზე, რომელშიც 76 ქვეყნის დელეგაცია და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები

¹⁸ ვალდებულება 14: საჯარო ფინანსების ზედამხედველობის (საჯარო აუდიტის) პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა: <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/1539>

¹⁹ <https://budgetmonitor.ge/ka>

²⁰ <https://budgetmonitor.ge/ka>

ბი მონაწილეობდნენ. სამიტის სხვადასხვა პანელზე გაზიარებულ იქნა საჯარო ფინანსების გამჭვირვალობის კუთხით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გამოცდილება და აუდიტის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკა;

- ბიუჯეტის მონიტორი, როგორც საჯარო ფინანსების მართვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი, წარდგენილ იქნა „ღია მმართველობის პარტნიორობისა“ (OGP) და ინდონეზიის მთავრობის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ფორუმზე.

ასევე აღსანიშნავია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გამოცემების ყურადღება ბიუჯეტის მონიტორის მიმართ:

- უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების ევროპული ორგანიზაციის (შემდგომში – EUROSAI) ორ გამოცემაში, როგორებიცაა, EUROSAI-ის ინოვაციური სიახლეები²¹ და EUROSAI-ის ჟურნალი,²² გამოქვეყნდა სტატიები ბიუჯეტის მონიტორის შესახებ. აღნიშნული გამოცემები მიზნად ისახავს EUROSAI-ის წევრ ქვეყნებს შორის გააზიაროს ინფორმაცია უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებში დანერგილი აუდიტის ინოვაციური მიდგომებისა და მიღწევების, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გზებისა და მართვის ახალი კონცეფციების შესახებ;
- ასევე: გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტის (UNDESA) მიერ მომზადდა პუბლიკაცია²³ – „გარე აუდიტის როლი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესში ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაძლიერება“, კუთხით, სადაც განხილულია სხვადასხვა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის, მათ შორის, საქართველოს აუდიტის სამსახურის როლი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში;
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საჯარო სექტორის ინოვაციების ობსერვატორიამ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე,²⁴ საჯარო სექტორის სხვა ინოვაციებთან ერთად, გამოაქვეყნა ბიუჯეტის მონიტორი.

ჩართულ მხარეებთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ბიუჯეტის მონიტორის მომხმარებელთა რაოდენობა. პლატფორმას 2018 წელს ჰყავდა 12 ათასზე მეტი ახალი მომხმარებელი. მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების აქტიურად გამოყენების ხელშეწყობის შედეგად, გასულ წელს მკვეთრად გაიზარდა აუდიტის სამსახურში შემოსული როგორც მოქალაქეთა მომართვების, ასევე მათი გათვალისწინების მაჩვენებელი.

ფართო საზოგადოებასა და ძირითად პარტნიორებთან ეფექტური უკუკავშირის მექანიზმის ჩამოყალიბება ხელს უწყობს აუდიტის სამსახურს, უკეთ წარმოაჩინოს თავისი ღირებულება და სარგებელი მოქალაქეებისთვის. აუდიტის სამსახურში ინფორმაციის გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის ნათელი მაგალითია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ გამოქვეყნებული ანგარიში, რომელიც ეხება საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობის შეფასებას. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ინარჩუნებს ყველაზე გამჭვირვალე საჯარო უწყების სტატუსს და 2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, საჯარო ინფორმაციის გაცემის 100%-იანი მაჩვენებლით საჯარო უწყებების რეიტინგის სათავეშია. კვლევა²⁵ მოიცავდა 282 საჯარო დაწესებულებას.

აუდიტის სამსახურის მიერ მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ძალისხმევა სამსახურის ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. სამსახური სულ უფრო მეტად ცდილობს, განავითაროს ინოვაციური მიდგომები, რომელიც გააძლიერებს საზოგადოების როლს საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების კუთხით.

²¹ EUROSAI Innovations Newsletter; Budget Monitor – Innovative Analytical Web-platform https://www.eurosai.org/handle404?exporturi=/export/sites/eurosai/.content/documents/about-us/INNOVATIONS-_NEWSLETTER_No-2_2019_04.pdf

²² EUROSAI Magazine, 24 (2019): 86-87; <http://maquetacioneditorial.com/eurosai/N24/EN/>

²³ https://www.un.org/esa/desa/papers/2019/wp157_2019.pdf

²⁴ <https://oecd-opsi.org/innovations/budget-monitor-bm-for-good-governance/>

²⁵ <https://idfi.ge/foi-statistics/>




თანამშრომლობა მედიასთან

საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულები-სა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური აქტიურად თა-ნამშრომლობს მედიასთან. მედიასთან ეფექტუ-რი ურთიერთობა და მედიის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება აუდიტის ანგარიშების, სამსახურის საქმიანობისა და მისი ძირითადი პროდუქტების შესახებ, ხელს უწყობს მედიისა და საზოგადოების ჩართულობის ზრდას საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებაში. სწორედ აუდიტის სამსახურის საქმიანობის შესახებ ცნო-ბიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად GIZ-ის მხარდაჭერით გამართული მედიასემინარი, რო-მელსაც ესწრებოდა 30-მდე ჟურნალისტი ცენტ-რალური და რეგიონული მედიიდან.

დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტიანი კომუ-ნიკაციის განსახორციელებლად მნიშვნელოვა-ნი ნაბიჯები გადაიდგა არსებული კომუნიკაცი-ის არხებისა და ინსტრუმენტების გაძლიერების კუთხით. სამსახური აქტიურად განაგრძობს მუშა-ობას სამსახურის ინტერნეტრესურსების განვითა-რებისა და განახლების, ისევე, როგორც ინოვა-ციური მიდგომების დანერგვის მიმართულებით, რაც მიზნად ისახავს გაუმჯობესდეს ფართო საზო-გადოების მიერ აუდიტის სამსახურის პროდუქტ-ების გამოყენებისა და ხელმისაწვდომობის დონე.

- პროფესიული სპეციფიკიდან გამომდინარე, აუდიტის ანგარიშების აღქმადობის ზრდა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა აუდიტის სამსახურისთვის. ამ გამოწვევის საპასუხოდ, 2018 წელს სამსახურმა შექმნა ეფექტიანობის აუდიტის ბლოგი (www.blog.sao.ge), რომელ-ზეც განთავსებული სტატიები მარტივი ენით აწვდის მკითხველს ინფორმაციას აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტების ფარგ-ლებში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები-სა და გაცემული რეკომენდაციების შესახებ;
- აუდიტის სამსახური აქტიურად იყენებს სოცი-ალურ ქსელს და საზოგადოებას აძლევს შე-საძლებლობას, მარტივად მიიღოს უახლესი ინფორმაცია აუდიტის ძირითადი მიგნებებისა და ვებპლატფორმა ბიუჯეტის მონიტორზე გან-თავსებული მონაცემების შესახებ.

დიაგრამა 23: 2018 წელს დაფიქსირდა სახელ-მწიფო აუდიტის სამსახურის 5,152 მედიაგამო-ვლინება



3.5 საერთაშორისო თანამშრომლობა

წლის განმავლობაში უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებთან, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან განხორციელებულმა თანამ-შრომლობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სა-ხელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციურ განვითარებას. დონორებისა და საერთაშორი-სო ორგანიზაციების ხელშეწყობით წარმატებით განხორციელდა მრავალი მნიშვნელოვანი პრო-ექტი, რომლებიც მიზნად ისახავდა სამსახურის როგორც აუდიტორული, ასევე არააუდიტორული საქმიანობის მიმართულებების გაძლიერებას.

საჯარო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტან-დარტებთან დაახლოება აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. სამსახუ-რი უმაღლესი აუდიტორული უწყებების საერთა-შორისო ორგანიზაციისა (INTOSAI) და მისი რე-გიონული გაერთიანებების (EUROSAI, ASOSAI) აქტიური წევრია. INTOSAI, EUROSAI და ASOSAI წარმოადგენენ ავტონომიურ, დამოუკიდებელ და აპოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უწყობენ საჯარო აუდიტის მიმართულებით დაგ-როვებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარე-ბას როგორც საერთაშორისო, ასევე რეგიონულ დონეზე.

საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა საჯარო მმართველობის ეფექტიანობის გაძლიერების მიზნით, წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განვითარების ქვაკუთხედს. სამსახური აქტიურად თანამშრომლობს დონორთა საზოგადოებასთან, რისი მაგალითიცაა 2018 წელს მათი ხელშეწყობით განხორციელებული პროექტები.

ევროკავშირი (EU)

2018 წელს აქტიურ ფაზაში გადავიდა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი – „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა მხარდაჭერა მრავალი მიმართულებით, მათ შორის:

- განახლდა სამსახურის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მეთოდოლოგიები;
- განახლებულ მეთოდოლოგიებში გადამზადდა 150-მდე აუდიტორი;
- შემუშავდა პარლამენტსა და აუდიტის სამსახურს შორის კომუნიკაციის სტრატეგია;
- შეფასდა რისკზე დაფუძნებული აუდიტორული საქმიანობის დაგეგმვის პრაქტიკა;
- განხორციელდა ღონისძიებები აუდიტის მართვის სისტემის (AMS) ეტაპობრივი დანერგვისა და აუდიტის ხარისხის გაძლიერების მიმართულებით;
- ექსპერტული მხარდაჭერა ქვეყანაში საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის რეფორმაში მიღწეული პროგრესის ეფექტიანობის აუდიტის წარმატებით განსახორციელებლად.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)

სამსახური აქტიურად აგრძელებს თანამშრომლობას გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ), რომელიც საქართველოში საჯარო ფინანსების მართვის

რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი დონორი ორგანიზაციაა. GIZ-თან თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს აუდიტის სამსახურის სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწა, პარლამენტთან თანამშრომლობისა და კომუნიკაციის გაძლიერება და აუდიტის სამსახურის შიდაორგანიზაციული განვითარება, მათ შორის, ეფექტიანობის აუდიტის მიმართულების გაძლიერება.

2018 წლის განმავლობაში GIZ-ის დახმარებით:

- აუდიტის სამსახურს სამუშაო ვიზიტით ეწვივნენ დიდი ბრიტანეთის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებმაც აუდიტის სამსახურის თანამშრომლებს გაუზიარეს გამოცდილება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების შესახებ;
- გერმანიის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის წარმომადგენელმა, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, აუდიტის სამსახურს გაუზიარა გამოცდილება საგადასახადო შემოსავლების აუდიტის შესახებ;
- სამსახურში ექსპერტის რანგში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა სლოვენის აუდიტის სამსახურის წარმომადგენელი, რომლის ჩართულობით მომზადდა რამდენიმე ეფექტიანობის აუდიტი;
- შეიქმნა და ამოქმედდა აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის ბლოგი;
- გაიმართა არაერთი აქტივობა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან, სამოქალაქო სექტორთან და მედიასთან თანამშრომლობის მიმართულებით.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)

კარგი მმართველობის პროგრამის (Good Governance Initiative – GGI) ფარგლებში მიმდინარეობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გაძლიერება მოქალაქეთა ჩართულობისა და სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით. 2018 წელს USAID



GGI-ის მხარდაჭერით:

- შემუშავდა ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა და გამოცხადდა ახალგაზრდული კონკურსი – „აუდიტის პროცესის გაძლიერება მოქალაქეთა ჩართულობით“, ინოვაციური იდეების წასახალისებლად. შედეგად, აუდიტის სამსახურში სტაჟირება დაიწყო 3-მა პირმა;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ერთი თანამშრომელი გაიგზავნა აშშ-ის მთავრობის ანგარიშვალდებულების სამსახურში (GAO), აუდიტის საერთაშორისო სტაჟირების 4-თვიან პროგრამაზე;
- განხორციელდა სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის სტრატეგიის შემუშავება და შესაძლებლობების განვითარება;
- მომზადდა ვებპლატფორმა – ბიუჯეტის მონიტორინგის მომხმარებელთა საჭიროების კვლევა;
- მიმდინარეობდა მუშაობა სამსახურის თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარებისა და ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით.

მსოფლიო ბანკი (World Bank)

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლობა მსოფლიო ბანკთან 2 ძირითადი მიმართულებით ხორციელდება:

- IT აუდიტის დანერგვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, რაც მოიცავს IT აუდიტის მეთოდოლოგიის შემუშავებისა და აუდიტის განხორციელების პროცესში ექსპერტულ მხარდაჭერას, IT აუდიტორების შესაძლებლობების გაძლიერებას. პროექტი ასევე ითვალისწინებს კიბერუსაფრთხოების მიმართულების განვითარებას;
- 2018 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გაიმართა მსოფლიო ბანკის მიერ გამოცხადებულ კონკურსში თემაზე – „დიდი მონაცემების ანალიტიკა მმართველობისთვის“ და მოიპოვა გრანტი, 25 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. პროექტთან დაკავშირებით გაფორმდა მემორანდუმი. პროექტის ფარგლებში განხორციელდა სამსახურის თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება მონაცემთა დამუშავების, ანალიზისა და ვიზუალიზაციის კუთხით, სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით. ასევე შესყიდულ

იქნა დიდი მონაცემების ანალიზის სპეციალიზებული პროგრამა – Caseware IDEA და მონაცემთა ვიზუალიზაციის პროგრამა – Tableau.

უმაღლესი აუდიტორულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება სხვა ქვეყნის უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებთან. ამ მხრივ წარმატებული იყო 2018 წელი:

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და პარლამენტის ერთობლივი დელეგაცია სამუშაო ვიზიტით ეწვია ბელგიის აუდიტის სასამართლოსა და ნიდერლანდების აუდიტის სასამართლოს. ბელგიის აუდიტის სასამართლოსთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ორმხრივი შეხვედრის შემდგომ, ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროს მხარდაჭერით, საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესაძლებლობათა გაძლიერების პროექტს – აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის განვითარების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში, აუდიტის სამსახურში უკვე შეიქმნა სამსახურის ხარისხის კონტროლის მიმომხილველთა ჯგუფი;
- 2018 წელს კიდევ უფრო გაღრმავდა ლატვიის სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან არსებული მრავალწლიანი ურთიერთობა. ლატვიელმა ექსპერტებმა სამუშაო ვიზიტის ფარგლებში სამსახურის თანამშრომლებს გაუზიარეს გამოცდილება აუდიტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრებების გამოცემისა და აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა უკრაინის საანგარიშო პალატასა და სომხეთის აუდიტის პალატასთან. მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილია უკრაინის საანგარიშო პალატის თანამშრომლების სტაჟირება აუდიტის სამსახურში. ისინი ჩაერთვებიან მიმდინარე ფინანსურ აუდიტებში, რათა გაეცნონ აუდიტის სამსახურის საქმიანობასა და აუდიტის მეთოდოლოგიებს.

ჩართულობა მნიშვნელოვან საერთაშორისო
ლონისძიებებსა და პროექტებში

2018 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს INTOSAI, EUROSAI და ASOSAI-ის 15-მდე საერთაშორისო შეხვედრაში. სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში ჩართულობა მნიშვნელოვანია პრაქტიკული გამოცდილების მიღებისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. გასულ წელს სამსახური ჩართული იყო შემდეგ პროფესიულ ღონისძიებებსა და პროექტებში:

- სამსახურმა 15 ქვეყნისა და ევროპის აუდიტორთა სასამართლოს ჩართულობით მონაწილეობა მიიღო „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის“ ერთობლივ ეფექტიანობის აუდიტში. აუდიტის მთავარი მიზანი იყო დაედგინა, ახორციელებდნენ თუ არა აუდიტში მონაწილე ქვეყნების მთავრობები ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისთვის საჭირო ღონისძიებებს და შეესაბამებოდა თუ არა ეს ქმედებები ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას. ერთობლივი ანგარიში EUROSAI-ის ეგიდით მომზადდა და მის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა;²⁶
- სამსახური მონაწილეობდა INTOSAI-ის განვითარების ინიციატივის (IDI) მიერ ორგანიზებულ 2 პარალელურ აუდიტში: „ქვეყანაში ანტიკორუფციული გარემოს უზრუნველყოფის“ ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც აფასებს ქვეყანაში არსებულ ანტიკორუფციულ გარემოს, და „მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) განხორციელების მზადყოფნის“ ეფექტიანობის აუდიტი,²⁷ რომელიც აფასებს ქვეყნის მზადყოფნას მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესში. აუდიტები მიმდინარეობდა INTOSAI IDI-ის მხრიდან როგორც მეთოდოლოგიური, ასევე ექსპერტული მხარდაჭერით;

- INTOSAI-ის სახელმწიფო ვალის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში აუდიტის სამსახურის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო ვალის ეფექტიანობის აუდიტის სტანდარტების გადამუშავების პროცესსა და სახელმწიფო ვალის სამუშაო ჯგუფის სტრატეგიული გეგმის მომზადებაში;
- აუდიტის სამსახური ჩართული იყო INTOSAI-ის ეფექტიანობის აუდიტის ქვეკომიტეტის სტრატეგიული გეგმის განახლების, სხვადასხვა საკითხზე პრაქტიკის გაზიარებისა და კომიტეტის მიერ გადანაცვებულების მიღების პროცესში;
- აუდიტის სამსახურის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო INTOSAI-ის შესაბამისობის აუდიტის ქვეკომიტეტის წლიურ შეხვედრაზე, რომელიც მიზნად ისახავდა INTOSAI-ის მიერ გაცხადებული საერთაშორისო სტანდარტების ახალი ჩარჩოს მიხედვით პროექტ N2.2-ის (სტრატეგიული განვითარების გეგმა) პროგრესის შეფასებას, ახალი სახელმძღვანელო დოკუმენტის შექმნასა და შემდგომი აქტივობების დაგეგმვას;
- სამსახურის IT აუდიტორებმა მონაწილეობა მიიღეს INTOSAI-ის IT აუდიტის სამუშაო ჯგუფის ყოველწლიურ კონფერენციაში, რომელზეც განხილულ იქნა ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოება, IT ტექნიკების გამოყენებით მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია აუდიტში, ასევე – მონაცემთა ანალიტიკის გავლენა აუდიტის ხარისხსა და პროდუქტიულობაზე.

²⁶ <https://english.rekenkamer.nl/publications/reports/2019/01/30/joint-report-air-quality>

²⁷ https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2019/mdgradi_ganvitarebis_miznebis_efeqtianobis_auditis_angarishi.pdf



4.

შიდა მმართველობა

და ორგანიზაციული კულტურა



შიდა კონტროლის გამართულ სისტემას გადამწყვეტი როლი ენიჭება ორგანიზაციული წარმატებისა და სამსახურის საქმიანობის ხარისხის ზრდისთვის. იგი უზრუნველყოფს ორგანიზაციული რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და ეფექტურად გამოყენებას, რაც წარმატებული ორგანიზაციის საფუძველია. შიდა კონტროლის სისტემამ უნდა უზასუხოს როგორც ოპერაციულ, ასევე რეპუტაციასთან დაკავშირებულ ეთიკურ რისკებს.

შიდა კონტროლისა და მართვის სისტემების გაუმჯობესებისათვის, სამსახური მუშაობს რამდენიმე მიმართულებით: ეთიკური გარემოს გაუმჯობესება, აუდიტორული საქმიანობის მართვა აუდიტის მართვის სისტემის (AMS) გამოყენებით, შიდა ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოებისა და დაცულობის კონტროლი.

4.1 ეთიკური გარემოს გაუმჯობესება

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აქტიურად მუშაობს აუდიტორთა ეთიკის სტანდარტების მიმართულებით. 2018 წელს აუდიტის სამსახურში ნიდერლანდების უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის მხარდაჭერით, განხორციელდა სამსახურის კეთილსინდისიერების გარემოს თვითშეფასება IntoSAINT-ის მეთოდოლოგიით,²⁸ რომელიც აუდიტის სამსახურის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას, მართვასა და შესაბამისი პოლიტიკის მექანიზმების შემუშავების გზით კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. IntoSAINT წარმოადგენს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) კეთილსინდისიერების თვითშეფასების ინსტრუმენტს, რომელიც უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებს კეთილსინდისიერების თვითშეფასებას, კონტროლის მექანიზმების დანერგვასა და განვითარებაში ეხმარება.

აღნიშნული პროექტის შედეგებზე დაყრდნობით, მოწვეული ლატვიელი ექსპერტების დახმარებით, განახლდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა ეთიკის კოდექსი. თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით გაიმართა შეხვედრები განახლებული ეთიკის კოდექსის გასაც-

ნობად. შიდა კონტროლის მექანიზმების კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, სამსახური ასევე გეგმავს ეთიკის კონტროლის მექანიზმების სახელმძღვანელოს შემუშავებას, რომელიც მოიცავს ინსტრუქციებს, ეთიკური დილემებისა და ინტერესთა კონფლიქტის კონკრეტულ მაგალითებს.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში გასულ წელს დაინერგა საკადრო როტაციის პოლიტიკა. შემუშავდა ინსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავს აუდიტის სამსახურის აუდიტის დეპარტამენტებში საკადრო როტაციის განხორციელების წესს. როტაციის პოლიტიკის არსებობა ხელს უწყობს როგორც თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობების განვითარებას, ასევე ეთიკური ნორმების, პროფესიული სტანდარტებისა და პრინციპების დაცვას, როგორცაა, დამოუკიდებლობა, ობიექტურობა, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა და პროფესიონალიზმი.

4.2 შიდა ინფორმაციული სისტემა და უსაფრთხოება

აუდიტორული საქმიანობის მართვა აუდიტის მართვის სისტემის (AMS) გამოყენებით

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივ გაუმჯობესებასა და მათ ინტეგრირებას აუდიტის პროცესში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო აუდიტის მართვის სისტემის (AMS) შექმნა და ეტაპობრივი დანერგვა 2016 წლიდან დაწყებული. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს აუდიტის პროცესის სტრუქტურირებულ და სტანდარტიზებულ მართვას, რომლის საშუალებით შესაძლებელია დროისა და ადამიანური რესურსების ოპტიმალური გამოყენება და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული უზუსტობების დაშვების რისკის მინიმუმამდე შემცირება.

სარგებელი აუდიტორებისთვის:

- აუდიტორები ხელმძღვანელობენ სისტემაში ჩაშენებული აუდიტის მეთოდოლოგიითა და პროცედურებით;

²⁸ უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების კეთილსინდისიერების თვითშეფასების მეთოდოლოგია.



- ხარისხის კონტროლის დროული ჩართულობა და გაუმჯობესებული ხარისხი;
- სისტემა ხელს უწყობს ინსტიტუციური მეხსიერების ჩამოყალიბებას, რაც მომდევნო აუდიტებში დაზოგავს დროს აუდიტორული პროცედურების განხორციელებისას.

სარგებელი მენეჯმენტისათვის:

- მიმდინარე აუდიტების პროგრესისა და სამუშაო მასალების მონიტორინგი – გაუმჯობესებული ზედამხედველობა;
- სისტემური ხედვა ყველა აუდიტზე;
- აუდიტების მიხედვით თანამშრომელთა შეფასების სისტემა.

სარგებელი ინსტიტუციისთვის:

- აუდიტორული საქმიანობის წლიური დაგეგმვის გაუმჯობესება;
- ადამიანური და დროის რესურსების უფრო ზუსტი და ეფექტიანი განაწილება;
- აუდიტის პროცესის სტანდარტიზაცია;
- აუდიტის მიმდინარეობისა და თანამშრომლების დატვირთვის მონიტორინგი.

2018 წელს აუდიტის მართვის სისტემაში სრულად ინტეგრირდა ფინანსური, შესაბამისობის, ეფექტიანობისა და IT აუდიტის მეთოდოლოგიები და ჩამოყალიბდა აუდიტის მართვის სისტემის გამოყენების მინიმალური სტანდარტები. სისტემის გამოყენებაში გადამზადდა სამსახურის ყველა აუდიტორი.

2018 წელს AMS-ის საშუალებით წარიმართა 46 აუდიტი, ხოლო 2019 წლიდან, აუდიტორული საქმიანობის გვეგმით განსაზღვრული ყველა აუდიტი მიმდინარეობს AMS-ის გამოყენებით, რაც სამსახურს საშუალებას მისცემს განახორციელოს უფრო ეფექტური ხარისხის კონტროლი აუდიტის მიმდინარეობაზე და მოახდინოს აუდიტის პროცესის ოპტიმიზაცია.

შიდა ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოებისა და დაცულობის კონტროლი

სამსახურის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სამსახური აცნობიერებს მის წინაშე არსებულ გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა

და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და მათ განკარგვას. აღნიშნული მიმართულებებით არსებული რისკების ეფექტური მართვის მიზნით, აუდიტის სამსახური ყოველწლიურად ახორციელებს ქმედებებს, რათა მაქსიმალურად დაუახლოვდეს უსაფრთხოების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს (ISO 2700).

აუდიტის მონაცემების კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სამსახურმა უკვე დაასრულა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის დანერგვა შემდეგი მიმართულებებით:

- ინფორმაციული უსაფრთხოების მართვა, პოლიტიკები და პროცედურები;
- ინფორმაციული აქტივების მართვა;
- თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და ცნობიერების ამაღლება;
- ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების მართვა;
- IT კომუნიკაციებისა და ოპერაციების უსაფრთხოების მართვა;
- ბიზნესის უწყვეტობის მართვა.

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით სამსახურმა შეისყიდა მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი უსაფრთხოების ლაბორატორიის მოწყვლადობის შეფასებისა და შედენვადობის ტესტირების პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტები: RAPID7-ის პროგრამული უზრუნველყოფები – NEXPOSE და METASPLOIT PRO. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სისტემები გამომწვევითაა როგორც აუდიტის ობიექტების სისტემის ტესტირებისათვის, ასევე სამსახურის ინფორმაციული სისტემის სკანირებისა და უსაფრთხოების სისტემების შეფასებისათვის.

IT აუდიტის მხარდაჭერითა და უსაფრთხო საინფორმაციო ტექნოლოგიური გარემოს ჩამოყალიბებით, აუდიტის სამსახურმა დანერგა საინფორმაციო ტექნოლოგიური კონტროლის ისეთი სისტემები, რომლებიც პასუხობს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიურ გამოწვევებს და უზრუნველყოფს სამსახურის, როგორც საჯარო სექტორში ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით სანიმუშო ორგანიზაციის გამართულ ფუნქციონირებას. ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფა, რჩება აუდიტის სამსახურის პრიორიტეტად და ამ მიმართულებით გაგრძელდება აქტიური მუშაობა.

5.


თანამშრომელთა პროფესიული
განვითარება




სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი განვითარების ხელშეწყობა. სწორედ ამიტომ, სამსახურის მიერ განხორციელებული ყველა აქტივობა და დონორებიდან მიღებული მხარდაჭერა მიმართულია ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

2018 წელს აუდიტის სამსახურში დასაქმებულთა რაოდენობამ 331 თანამშრომელი (პროფესიული საჯარო მოხელეები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები) შეადგინა. ორგანიზაციის თანამშრომელთა 75%-ს შეადგენს პროფესიული შტატი, როგორებიც არიან, აუდიტორები და ანალიტიკოსები, ხოლო 25% – დამხმარე პერსონალია.


გენდერული განაწილება




პროფესიული და დამხმარე შტატი




დასაქმებულთა ასაკობრივი განაწილება




სამუშაო გამოცდილება სახელმწიფო აუდიტის სამსახურში



დასაქმებულთა განათლების სფერო



დასაქმებულთა განათლების დონე




სამსახურში შეიქმნა და დაინერგა საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული თანამშრომელთა შეფასების მექანიზმი, რომლის მიზანია თანამშრომლის პროფესიული კვალიფიკაციის გამოყენების პერსპექტივების, წახალისების, პროფესიული განვითარების საჭიროებებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი შედეგების წარმოშობის წინაპირობების დადგენა. 2018 წლის განმავლობაში თანამშრომელთა შეფასება განხორციელდა 2-ჯერ, 6 და 12 თვის შედეგებზე დაყრდნობით. შეფასებების შედეგად, ჯამურად დანიშნულა 56 თანამშრომელი. თითოეული თანამშრომლის შეფასების შედეგების საფუძველზე სამსახურმა შეადგინა ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმა, რომელიც ემსახურება შედეგზე ორიენტირებულად თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და შესაძლებლობების გაძლიერებას.

აღსანიშნავია, რომ თანამშრომლების პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სამსახურის თანამშრომლები მუდმივად გადიან ტრენინგკურსებს და ესწრებიან სამუშაო შეხვედრებს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.


2018 წელს სხვადასხვა მიმართულებით ტრენინგი გაიარა 200-მა თანამშრომელმა. აღნიშნული ტრენინგები მოიცავდა, როგორც აუდიტორულ, ასევე არააუდიტორულ და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საკითხებს.

დიაგრამა 24: 2018 წელს გადამზადებულ თანამშრომელთა განაწილება მიმართულებების მიხედვით



სახელმწიფო აუდიტის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა მნიშვნელოვან ადგილობრივი და საერთაშორისო სერტიფიცირების პროგრამებში, როგორებიცაა, სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის საჯარო სექტორის აუდიტორთა სასერტიფიკაციო პროგრამა, ACCA, CFA, CFM, CISA და სხვ. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია რამდენიმე მაღალი დონის სასერტიფიკაციო და ტრენინგკურსის ჩამონათვალი, რომელთა მფლობელები არიან აუდიტის სამსახურის თანამშრომლები.

დიაგრამა 25: აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული სერტიფიკატები



აუდიტორულ სფეროში არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში, აუდიტის სამსახურის მნიშვნელოვანი გამოწვევაა კვალიფიციური კადრების მოზიდვის საკითხი. შესაბამისად, სამსახური აქტიურად მუშაობს შიდა რესურსის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 2018 წელს შეიქმნა და პირველად განხორციელდა ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა. სტაჟირების ძირითადი მიზანია ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრების მოზიდვა და მათი პროფესიული განვითარება, ისევე როგორც სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის მხარდაჭერა.

2018 წელს გამოცხადებულ სტაჟირების პროგრამაზე სამსახურმა მიიღო 800-ზე მეტი განაცხადი. მაღალი კონკურენციის პირობებში სამსახურმა შეარჩია 20 ახალგაზრდა, რომელთაგან 16 დღემდე განაგრძობს მუშაობას აუდიტის სამსახურში. შერჩეულმა კანდიდატებმა გაიარეს, სპეციალურად, სტაჟირების პროგრამისთვის შექმნილი სასწავლო კურსი და დღესდღეობით აქტიურად არიან ჩართული როგორც აუდიტორულ, ასევე არააუდიტორულ საქმიანობაში.

სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვრა 6 თვიდან 12 თვემდე ვადით. სტაჟირების პერიოდში მიღებული ცოდნისა და გამოვლენილი უნარების დადებითი შეფასების შემთხვევაში, სტაჟიორს ეძლევა შესაძლებლობა დასაქმდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

6.

პოლიტიკური პარტიების
დეფინანსების, გამჭვირვალობისა და
ენგერიშვალდებულების ხელშეწყობა



2018 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების, საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისა და წარმომადგენლობითი ორგანოს – ზუგდიდის საკრებულოს შუალედური არჩევნების მონიტორინგი.

2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები

2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 25-მა სუბიექტმა (19 პარტია და 6 დამოუკიდებელი კანდიდატი), რომლებსაც სამსახურის მოთხოვნით დაუწესდა ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება დადგენილი პერიოდების მიხედვით. ამასთანავე, სამსახურმა ყველა საარჩევნო სუბიექტს, საკონსულტაციო მიზნით, გაუგზავნა ძირითადი საკანონმდებლო მოთხოვნების შემცველი წერილები, ასევე მედიის საშუალებით გავრცელდა ამავე საკითხებზე მომზადებული საინფორმაციო ვიდეორგოლიც.

სამსახურის მოწვევით, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, შეიქმნა საინფორმაციო/საკონსულტაციო კომისია, რომლის ფარგლებში, 14 ნოემბრისა და 4 დამკვირვებელი საერთაშორისო ორგანიზაციის მონაწილეობით, გაიმართა 3 სამუშაო შეხვედრა. კომისიამ განიხილა წარმოდგენილი დეკლარაციები, მიღებული საჩივრები, აგრეთვე შემოწმებული დაკავშირებული ხარვეზები და განახორციელა შესაბამისი რეაგირება.

პოლიტიკური პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ, 1 აგვისტოდან 14 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში,²⁹ მიღებულ იქნა 25,399,759 ლარის შემოსავალი, საიდანაც 60%-ს შეადგენდა შემოწმრულებები. რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, პოლიტიკური პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ, 1 აგვისტოდან 14 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში,³⁰ დაიხარჯა 24,711,584 ლარი, რაც ძირითადად ნაწილდება სატელევიზიო რეკლამებსა და შრომის ანაზღაურებაზე.

არჩევნების მეორე ტურში, 29 ოქტომბრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, ორმა საარჩევნო სუბიექტმა, ჯამში მიიღო 9,090,804 ლარის შემოსავალი.

N	პარტიის დასახელება	საბიუჯეტო შემოსავალი	მიზნობრივი დაფინანსება	შემოწმრულებები	ჯამური შემოსავალი ³¹
1	დამოუკიდებელი კანდიდატი – სალომე ზურაბიშვილი	-	-	7,472,823	7,472,823
2	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	165,288	381,450	1,070,634	1,617,981
	სულ ჯამი:	165,288	381,450	8,543,457	9,090,804

²⁹ აქედან, ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის, გარდა დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა, ჯამური შემოსავლები წარმოადგენს პირველი ტურის შემოსავლებს.

³⁰ აქედან, ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის, გარდა დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა, ჯამური შემოსავლები წარმოადგენს პირველი ტურის შემოსავლებს.

³¹ შემოსავლებში არ შედის საარჩევნო ხარჯების ანაზღაურების მიზნით, არჩევნების შემდგომ ჩარიცხული 1,000,000 ლარი, რომელიც პოლიტიკურმა სუბიექტებმა მიიღეს არჩევნების პირველ ტურში მონაწილეთა ხმების 10%-ზე მეტის მოპოვების გამო.

ჯამში, ორმა საარჩევნო სუბიექტმა არჩევნების მეორე ტურში, 29 ოქტომბრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დახარჯეს 8,615,091 ლარი,

რაც ძირითადად ნაწილდება სატელევიზიო რეკლამებსა და შრომის ანაზღაურებაზე.

N	პარტიის დასახელება	რეკლამის ხარჯი	სატელევიზიო რეკლამის ხარჯი	შრომის ანაზღაურება	ჯამური ხარჯი
1	დამოუკიდებელი კანდიდატი – სალომე ზურაბიშვილი	2,836,125	2,547,690	196,462	7,045,108
2	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	220,356	1,023,082	227,343	1,569,983
	სულ ჯამი:	3,056,481	3,570,772	423,805	8,615,091

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2018 წლის საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის მონიტორინგის დროს გამოვლენილ საკითხებზე თბილისის საქალაქო სასამართლოში გადააგზავნა 14 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე. პირველ შუალედურ ანგარიშში მოცემულ 5 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე სასამართლომ გამოიტანა ჯარიმის დაკისრების გადაწყვეტილება.

მიღებული საჩივრებისა და მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, დასრულებულია წარმოება 9 საქმეზე, ხოლო 2 საკითხის შესწავლა მიმდინარეობს.

2018 წლის საქართველოს პარლამენტის შუალედური პრეზენტი

2018 წლის 28 აპრილს გაიმართა საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები ვანისა და ხონის საარჩევნო ოლქებში. არჩევნებში მონაწილეობას იღებდა ერთი დამოუკიდებელი კანდიდატი და 5 პოლიტიკური პარტია. მონიტორინგის დროს გამოვლინდა სავარაუდო დარღვევები და მოძიებულ იქნა ინფორმაცია საარჩევნო შტაბისა და ავტომანქანების შესახებ. აღნიშნული დარღვევების შესწავლის დროს შემატყობილი დეკლარაციების შესწავლით დადგინდა, რომ გამოვლენილი ოფისებისა და ავტომანქანების ნაწილზე ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი, რაზეც მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალწარმოება.

საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

სამსახურის ინიციატივითა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, 2018 წლის 26-27 ივნისს, თბილისში ჩატარდა მესამე რეგიონული კონფერენცია – „ფული პოლიტიკაში“. კონფერენცია მიზნად ისახავდა ევროპისა და აზიის ქვეყნებში პოლიტიკური დაფინანსების მიმართულებით არსებული გარემოს შეფასებას, გამოცდილების გაზიარებას, დაფინანსების მექანიზმებისა და მონიტორინგის შედეგების გაუმჯობესებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან ერთად, კონფერენციას ორგანიზება გაუწიეს ეუთოს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (OSCE/ODIHR), ევროპის საბჭომ (CoE), დემოკრატიისა და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტმა (International IDEA), საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა (IFES), „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ და მულტიპარტიული დემოკრატიის აღმოსავლეთ ევროპის ცენტრმა (EECMD).

კონფერენციის მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინიციატივა – პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის განმახორციელებელი სტრუქტურების თანამშრომლობის ასოციაციის დაფუძნების შესახებ. აღნიშნული პლატფორმა მიზნად ისახავს სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაუმჯობესებას პოლიტიკური დაფინანსების მიმართულებით.



7.

მომავლის ხედვა და ერსაბულო
გამოწვევები



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ღირებულების წარმოჩენა და სარგებლის მუდმივი ზრდა ორგანიზაციის უმთავრესი ამოცანაა. იმისათვის, რომ შეინარჩუნოს და გაზარდოს სანიმუშო ორგანიზაციის სტატუსი და რელევანტურობა ფართო საზოგადოებისთვის, სამსახური აქტიურად აგრძელებს მუშაობას სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების დროულად და ეფექტურად მიღწევამდე.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ორგანიზაციის წინაშე არსებული შიდა და გარე გამოწვევების ანალიზს, მათთან გამკლავების საუკეთესო საშუალებების მოძიებასა და მათი განვითარების შესაძლებლობად გარდაქმნას. საჯარო სექტორში არსებული ტენდენციები და მიმდინარე ცვლილებები წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას არა მხოლოდ აუდიტის სამსახურისთვის, არამედ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვისაც, რაც კიდევ უფრო ზრდის სამსახურის როლს ამ პროცესებში.

დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით (ISSAI), უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს შემოსავლების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება, რაც გამოიხატება საგადასახადო სისტემის ფუნქციონირებისა და საგადასახადო მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით რწმუნების გამოთქმვაში. ამ მიმართულებით, მთავარ გამოწვევას წარმოადგენს აუდიტის სამსახურის შეზღუდული მანდატი შემოსავლების აუდიტის ჩატარებაზე. ამ გამოწვევის საპასუხოდ სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც მთავრობასა და პარლამენტთან, ასევე დონორ ორგანიზაციებთან.

აუდიტორული საქმიანობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა არსებული რესურსის ოპტიმიზაციისა და პროდუქტიულობის გაუმჯობესების გზით, ნაერთი ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი 2017-2019 წლებში გაზარდა 81%-დან 89%-მდე. საერთაშორისო მოთხოვნებთან (PEFA) სრულად შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურის ამოცანას წარმოადგენს დაფარვის სულ მცირე 90%-იანი ნიშნულის უზრუნველყოფა. გამოწვევის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დაფარვის მაჩვენებლის შემდგომი ზრდა დაკავშირებულია ბევრი მცირე ბიუჯეტის უწყების აუდიტთან, რაც დამატებით რესურსს მოითხოვს. საერთაშორისო სტანდარტთან დაახლოების მიზნით, აუცილებელია ყველა მუნიციპალიტეტის აუდიტით დაფარვა 3 წელიწადში ერთხელ, რაც მათი რაოდენობიდან გამომდინარე, ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

სამსახურის აუდიტორული საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების გაცემა. თუმცა, უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის სარგებელი გამოიხატება არა მხოლოდ რეკომენდაციების გაცემაში, არამედ – მათ შესრულებაში. ამ ეტაპზე, სამსახური დგას ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე, როგორიცაა, რეკომენდაციების შესრულების დაბალი მაჩვენებელი. აღნიშნულ გამოწვევასთან გამკლავების მიზნის, აუდიტის სამსახურში დაწყებულია რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის განვითარება.

ძირითადი პარტნიორების ჩართულობა

დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და აუდიტორული საქმიანობის ხარისხის ზრდასთან ერთად, გაიზარდა დონორების მხრიდან (WB, USAID) მოთხოვნა საქართველოში მათ მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ. მსოფლიო ბანკმა ოფიციალური წერილით მომართა აუდიტის სამსახურს და ითხოვა ჩართულობა საქართველოში მის მიერ დაფინანსებულ ყველა პროექტში. სამსახურისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა დააკმაყოფილოს დონორების მხრიდან წამოსული აღნიშნული ინიციატივები.

შიდა მმართველობა და ორგანიზაციული კულტურა

სამსახური აცნობიერებს მის წინაშე არსებულ გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და განკარგვას. შესაბამისად, სამსახური აგრძელებს მუშაობას ინფორმაციული უსაფრთხოების გაუმჯობესების, ტექნიკური ბაზის მოწყობისა და ტექნიკური პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით.

ადამიანური რესურსების მართვა

სამსახურის უმთავრეს ინტელექტუალურ რესურსს წარმოადგენს პროფესიული კადრები. თუმცა, აუდიტის სფეროში არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში, სამსახურისათვის გამოწვევად რჩება ადამიანური რესურსების გადინების მაღალი მაჩვენებელი და კვალიფიციური კადრების მოზიდვა. აღნიშნული გამოწვევა განსაკუთრებით მწვავედ დგას სამსახურის სტრატეგიით განსაზღვრული ახალი მიმართულებების გაძლიერებისა და დაფარვის მიზნობრივი მაჩვენებლის უზრუნველყოფის კუთხით.



8.


სამსახურის ფინანსები



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 14.5 მლნ ლარით, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის 0.1%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის – 0.04%-ია. ფაქტობრივად გაწეულმა საკასო ხარჯმა 14.1 მლნ ლარი შეადგინა. სამსახურის მთლიანი ბიუჯეტის 88%-ს შრომის ანაზღაურება³² შეადგენს.

2018 წელს, „ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის განვითარების“ პროექტისათვის, მსოფლიო ბანკსა და აუდიტის სამსახურს შორის გაფორმებული საგრანტო შეთანხმების ფარგლებში, სამსახურმა მიიღო მიზნობრივი გრანტი 303 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც სრულად მოხმარდა IT აუდიტორთა პროფესიულ განვითარებას.

დიაგრამა 26: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის ფინანსები



გასულ წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა:

- სამუშაო პროცესის პროდუქტიულობისა და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების უზრუნველსაყოფად, შეისყიდა სერვერული და კომპიუტერული ინფრასტრუქტურა თანმდევი მომსახურებით;
- სამსახურის ვირტუალური სერვერებისა და თანამშრომელთა პერსონალური კომპიუტერების მეტი დაცულობის უზრუნველსაყოფად შეისყიდა ანტივირუსის პროგრამა;
- განახორციელა ქსელური მოწყობილობების შესყიდვა;
- განაახლა ქსელისა და ქსელური მოწყობილობების დატვირთვის მონიტორინგის სისტემის პროგრამა და გაგრძელდა მხარდაჭერის სერვისი;
- სახანძრო უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, განხორციელდა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული განათების ავარიული სისტემების მონტაჟი, ჩატარდა შესაბამისი ტრენინგები და მოხდა ცეცხლმაქრი მოწყობილობების დამუხტვა.

³² შრომის ანაზღაურება მოიცავს შტატით გათვალისწინებულ და შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურებას სოციალური დახმარების ჩათვლით.

დენარტიები

დენარტი N1. 2018 წელს ჩატარებული აუდიტების სია

1	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი
2	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი
3	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი
4	საქართველოს სასაქონლო ურთიერთობებისა და პრაქტიკის სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი
5	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი
6	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი
7	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2017 წლის ფინანსური აუდიტი
8	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის ფინანსური აუდიტი
9	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2017 წლის ფინანსური აუდიტი
10	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი
11	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2017 წლის ფინანსური აუდიტი
12	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი
13	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი
14	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი
15	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის 2017 წლის ფინანსური აუდიტი
16	მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს 2017 წლის ფინანსური აუდიტი
17	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატისა და პროგრამების 2017 წლის ფინანსური აუდიტი
18	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს აპარატისა და პროგრამების 2017 წლის ფინანსური აუდიტი
19	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი
20	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი
21	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი
22	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი
23	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციების 2017 წლის ფინანსური აუდიტი
24	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი
25	ქ. თბილისის მერიის 2017 წლის ფინანსური აუდიტი
26	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები, შრომის ანაზღაურება და ძირითადი აქტივების მართვის 2016-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი
27	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი – განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და შრომის ანაზღაურების 2016-17 წლების შესაბამისობის აუდიტი



28	სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური – განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები, შრომის ანაზღაურება და ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის სამედიცინო და ერთჯერადი დახმარების უზრუნველყოფა, 2016-17 წლების შესაბამისობის აუდიტი
29	სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთვის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული ქონების განკარგვისა და სახელმწიფო შესყიდვების 2016-17 წლების შესაბამისობის აუდიტი
30	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და შრომის ანაზღაურების 2016-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი
31	საქაერონავიგაცია – შემოსავლებისა და ხარჯების 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი
32	შპს „საქართველოს ფოსტის“ 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი
33	შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი
34	სსიპ – შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ხარჯვითი და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების 2015-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი
35	სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ძირითადი აქტივების და არამწარმოებლური აქტივების მართვის შესაბამისობის აუდიტი
36	ა(ა)იპ – ქართული ჭიდაობის ფედერაციის მიერ განხორციელებული ხარჯვითი ოპერაციების 2016-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი
37	სსიპ – „112“-ის მიერ მიღებული საკუთარი შემოსავლების განკარგვის 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი
38	სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი
39	სსიპ – შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი
40	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი
41	აღმოსავლეთ საქართველოში, ზემო აფხაზეთში, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონში, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი
42	სსიპ – კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის, სსიპ – მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის – „თეთრი ტალღის“, სსიპ – აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის, სსიპ – სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი
43	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და მთავრობის სარეზერვო ფონდის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი
44	შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის“ სახსრების ხარჯვა და მატერიალური ფასეულობების განკარგვის 2015-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი
45	სსიპ – აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის 2015-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი
46	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი
47	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი
48	ქედის მუნიციპალიტეტში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების 2016-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი
49	ხულოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების 2016-2017 წლების შესაბამისობის აუდიტი
50	შუახევის მუნიციპალიტეტში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი



[illegible]

76	2016 წელს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სფეროებში დადგენილი წესების დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელების, დარღვევათა გამოვლენის და კანონმდებლობის შესაბამისად მათზე რეაგირების, დარღვევათა თავიდან ასაცილებლად პრევენციულ ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების შესაბამისობის აუდიტი
77	ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების, ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციისა და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი
78	თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
79	ქალაქ ბათუმში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდასაჭერად განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი
80	აზიური ფაროსანასა და სხვა მავნებლებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი
81	„შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის (SRAMP)“ ეფექტიანობის აუდიტი
82	ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმების ეფექტიანობის აუდიტი
83	სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებში – ეფექტიანობის აუდიტი
84	ძალოვანი სისტემის უნიფორმით უზრუნველყოფის ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი
85	საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი
86	მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მზადყოფნა – ეფექტიანობის აუდიტი
87	განათლების მართვის ინფორმაციული სისტემების ეფექტიანობის აუდიტი
88	სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობის ადმინისტრირების ინფორმაციული სისტემების ეფექტიანობის აუდიტი
89	უმაღლესი განათლების პროგრამებისა და შრომის ბაზრის თავსებადობის ეფექტიანობის აუდიტი
90	ინფექციის პრევენციისა და კონტროლის ეფექტიანობის აუდიტი

დანართი N2. სეპარატულადგეგმვით 2018 წელს გადგზავნილი ანგარიშების ჩამონათვალი

1	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი
2	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2017 წლის ფინანსური აუდიტი
3	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების 2017 წლის შესაბამისობის აუდიტი
4	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - შემოსავლების სამსახურის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი
5	სსიპ – საჯარო რეესტრისა და სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საკუთარი შემოსავლების განკარგვის 2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტი
6	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი
7	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფინანსური აუდიტი
8	2015-2016 წლებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის „გამწვანების ღონისძიებების“ პროგრამის ფარგლებში განეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი
9	2015-2016 წლებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის შესაბამისობის აუდიტი
10	აბაშის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
11	ადიგენის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი და 2015-2016 წლებში წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების და ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
12	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“, „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში განეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი
13	ახალციხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში განეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი
14	ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი
15	გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში განეული ხარჯებისა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვისა და განკარგვის შესაბამისობის აუდიტი
16	გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში განეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი
17	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში განეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი
18	დმანისის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

78 

დანართი N3. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარჩევი

გვერდი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

1-3

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	6
კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ბიუჯეტის და ფაქტური თანხების შედარების ანგარიშგება	8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები:

9-31

1. ორგანიზაცია და მისი საქმიანობა	9
2. ფინანსური ანგარიშგების შედგენის საფუძველი	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა.....	12
4. ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშებზე და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ.....	17
5. ორგანიზაციის ანგარიშში შემოსავლების და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	18
6. ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივებით ფაქტობრივი (საკასო) ოპერაციების შესახებ	19
7. ორგანიზაციის ანგარიშში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით ფაქტობრივი (საკასო) ოპერაციების შესახებ	20
8. ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ	20
9. ორგანიზაციის ანგარიშში არასოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ	24
10. ინფორმაცია მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსების შესახებ.....	24
11. ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე.....	25
12. ორგანიზაციების ანგარიშებზე რიცხული ფინანსური აქტივები და მოთხოვნები წარმოშობის წლების მიხედვით..	26
13. ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხული ვალდებულებები წარმოშობის წლების მიხედვით	26
14. ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში	27
15. ინფორმაცია ვალდებულებების შესახებ კრედიტორების მიხედვით	28
16. ორგანიზაციის აქტივების/მომსახურების უსასყიდლოდ მიღება/გადაცემის შესახებ.....	28
17. თანამშრომელთა ანაზღაურება	29
18. პირობითი ვალდებულებები.....	29
19. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	30
20. ფინანსური რისკის მართვა.....	30
21. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ	31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელობას და საქართველოს პარლამენტს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის („ორგანიზაცია“ ან „სას“) და ორგანიზაციის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ (ერთობლივად „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე ფინანსური შედეგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს, აგრეთვე კონსოლიდირებული საბიუჯეტო და ფაქტობრივი თანხების შედარებას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის, ახსნა-განმარტებებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მოკლე აღწერის ჩათვლით.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსთა სამინისტროს მიერ 2014 წლის 31 დეკემბერს დამტკიცებული #429 „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციის“ თანახმად, როგორც აღწერილია მე-2 განმარტებაში.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით ორგანიზაციისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსს, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ვთვლით რომ, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

საყურადღებო საკითხი - აღრიცხვის საფუძველი და პასუხისმგებლობის შეზღუდვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ფინანსთა სამინისტროს #429 ინსტრუქციის მიხედვით, როგორც აღწერილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების #2 განმარტებაში. შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სხვა მიზნისთვის შეიძლება არ იყოს შესაფერისი.

წინამდებარე ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ ორგანიზაციისა და საქართველოს პარლამენტისთვის. ანგარიშთან დაკავშირებით ჩვენ არ ვიღებთ რაიმე პასუხისმგებლობას ან ვალდებულებას სხვა მხარის მიმართ გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მხარეებისა. მესამე მხარეების მიერ ანგარიშის საფუძველზე რაიმე გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში, ასეთ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ამ მხარეებს. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით მოდიფიცირებული არ არის.

დელიტი გულისხმობს ერთ ან რამდენიმე დელიტ ტუშ ტომატის ლიმიტდის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა ვალდებულია, მოამზადოს და სამართლიანად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება #429 ინსტრუქციის ფინანსური ანგარიშგების დებულებათა შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს ორგანიზაციის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი ორგანიზაციის პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი ორგანიზაციის პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს ორგანიზაციის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში


ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნება, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი მოსაზრების გამოხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმუნება მაღალი ხარისხის რწმუნებას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგებაზე დაყრდნობით მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ მოსაზრებას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების იდენტიფიცირებასა და შეფასებას; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის შეუმჩნევლობის რისკი შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;

- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი ორგანიზაციის პრინციპის საფუძველზე აღრიცხვის წარმოების თაობაზე და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებებზე დაყრდნობით, გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის გაურკვევლობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ორგანიზაციის საქმიანობის გაგრძელების უნარი. თუ ჩვენი დავასკვნით რომ, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ორგანიზაცია აიძულოს, შეაჩეროს უწყვეტი ორგანიზაციის პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას თუ რამდენად სამართლიანად ხდება ძირითადი ტრანზაქციებისა და მოვლენების კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში წარდგენა.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.



სტუარტ ლეიტონი
შპს დელოიტი და ტუშის სახელით




2019 წლის 27 მაისი
საქართველო, თბილისი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

დასახელება	განმარტება	ანგარიში	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017 (არააუდირებული)
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები		1100-1200	148,626	141,756
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	12,14	1300	4,856	34,426
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	12,14	1400	129,896	1,327
სხვა მატერიალური მარაგები	8	1620	69,579	79,384
სულ მოკლევადიანი აქტივები			352,957	256,893
გრძელვადიანი აქტივები				
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	8	2200	35,289	42,937
ძირითადი აქტივები	8	2100	14,971,965	18,123,381
არაწარმოებული აქტივები	8	2400	13,733,000	-
საინვესტიციო ქონება	8	2500	299,970	-
სულ გრძელვადიანი აქტივები			29,040,224	18,166,318
სულ აქტივები			29,393,181	18,423,211
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები				
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	13,15	3200	335,118	318,943
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები			335,118	318,943
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		3300	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			-	-
სულ ვალდებულებები			335,118	318,943
კაპიტალი				
აქტივების წმინდა ღირებულება		5100	29,741,166	18,656,820
გაუნაწილებელი მოგება		5220	(683,103)	(552,552)
სულ კაპიტალი			29,058,063	18,104,268
სულ კაპიტალი და ვალდებულებები			29,393,181	18,423,211

ხელმძღვანელობის სახელით:


ერეკლე მცეხაბიშვილი
გენერალური აუდიტორი

27 მაისი 2019
თბილისი, საქართველო


ეკატერინე დანელია
საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი

27 მაისი 2019
თბილისი, საქართველო

9-31 გვერდებზე თანდართული განმარტებები არის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ნაწილი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

დასახელება	განმარტება	31 დეკემბერი 2018			31 დეკემბერი 2017 (არააუდირებული)		
		საბიუჯეტო სახსრები	ეკონომიური საქმიანობა	სულ	საბიუჯეტო სახსრები	ეკონომიური საქმიანობა	სულ
ბიუჯეტიდან დაფინანსება		14,123,487	-	14,123,487	14,156,834	-	14,156,834
შემოსავლები		77,602	439,470	517,072	(151,538)	535,348	383,810
გრანტები		77,602	-	77,602	(151,538)	-	(151,538)
სხვა შემოსავლები		-	439,470	439,470	-	535,348	535,348
ა. ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები		-	-	-	-	-	-
ბ. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია		-	439,395	439,395	-	527,472	527,472
ე. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები		-	75	75	-	7,876	7,876
სულ		14,201,089	439,470	14,640,559	14,005,296	535,348	14,540,644
ხარჯები							
მომუშავეთა ანაზღაურება	17	11,407,441	365,577	11,773,018	11,516,099	462,470	11,978,569
საქონელი და მომსახურება		1,911,811	183,274	2,095,085	1,604,527	182,454	1,786,981
ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა და ამორტიზაცია)	8	666,487	4,277	670,764	811,300	6,705	818,005
გრანტები*		4,114	-	4,114	30,991	-	30,991
სოციალური უზრუნველყოფა	17	363,510	2,629	366,139	227,054	831	227,885
სხვა ხარჯები		234,395	2,687	237,082	331,986	3,720	335,706
სულ		14,587,758	558,444	15,146,202	14,521,957	656,180	15,178,137
ფინანსური შედეგი		(386,669)	(118,974)	(505,643)	(516,661)	(120,832)	(637,493)

* აღნიშნული თანხა წარმოადგენს ჯგუფის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის გადახდილ საწევრო გადასახადებს.

ხელმძღვანელობის სახელით:


ირეკლე გიგითაშვილი
გენერალური აუდიტორი

27 მაისი 2019
თბილისი, საქართველო


კაკაბერ დანელია
საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი

27 მაისი 2019
თბილისი, საქართველო

9-31 გვერდებზე თანდართული განმარტებები არის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ნაწილი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

	31 დეკემბერი 2018			31 დეკემბერი 2017 (არაუდირებული)		
	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი ფულადი სახსრები	სულ	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი ფულადი სახსრები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	11,084,346	(130,551)	10,953,795	424,439	(121,539)	302,900
კორექტირებები:	(10,750,581)	17,654	(10,732,927)	(224,530)	(20,139)	(244,669)
ცვლა (+)	666,487	4,277	670,764	811,300	6,705	818,005
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	(11,459,741)	-	(11,459,741)	15,772	5,297	21,069
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	9,805	-	9,805	(25,050)	-	(25,050)
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ზრდა/კლება (-/+)	7,648	-	7,648	(6,022)	-	(6,022)
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	26,127	(3,705)	22,422	(31,506)	7,366	(24,140)
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	(907)	17,082	16,175	(989,024)	(39,507)	(1,028,531)
წმინდა ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან	333,765	(112,897)	220,868	199,909	(141,678)	58,231
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან						
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-	-	-
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	(213,998)	-	(213,998)	(391,712)	(4,342)	(396,054)
ძირითადი აქტივები	(213,998)	-	(213,998)	(391,712)	(4,342)	(396,054)
წმინდა ფულადი სახსრების გაძინება არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(213,998)	-	(213,998)	(391,712)	(4,342)	(396,054)
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან						
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	-	-	-	-	-	-
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	-	-	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-	-	-	-	-
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	119,767	(112,897)	6,870	(191,803)	(146,020)	(337,823)
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში (არაუდირებული)	28,636	113,120	141,756	207,930	258,485	466,415
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	148,403	223	148,626	16,127	112,465	128,592

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში 2017 წლის ბოლო ნაშთი განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ნაჩვენები ბალანსისგან 13,164 ლარით. აღნიშნული წარმოადგენს დასაბრუნებელ და ჩასათვლელ დღგ-ს, სხვაობას არაფინანსური აქტივის საკასო ხარჯსა და აქტივის ბალანსზე აღიარებულ ნაშთს შორის.

ხელმძღვანელობის სახელით:


ერეკლე მცხაიშვილი
გენერალური აუდიტორი

27 მაისი 2019
თბილისი, საქართველო


ეკატერინე დანელია
საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი

27 მაისი 2019
თბილისი, საქართველო

9-31 გვერდებზე თანდართული განმარტებები არის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ნაწილი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებების ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

დასახელება	განმარტება	31 დეკემბერი 2018			31 დეკემბერი 2017 (არააუდირებული)		
		საბიუჯეტო სახსრები	ეკონომიკური საქმიანობა	სულ	საბიუჯეტო სახსრები	ეკონომიკური საქმიანობა	სულ
ნაშთი წლის დასაწყისისათვის (არააუდირებული)		18,461,561	(552,552)	17,909,009	18,043,113	(437,004)	17,606,109
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები		-	-	-	-	-	-
წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები	8	195,259	-	195,259	-	-	-
გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი (არააუდირებული)		18,656,820	(552,552)	18,104,268	-	-	-
არასაოპერაციო შემოსავლები		13,883,052	-	13,883,052	969,310	5,284	974,594
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	9	9,158	-	9,158	13,035	-	13,035
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	8	13,873,894	-	13,873,894	956,275	5,284	961,559
არასაოპერაციო ხარჯები		2,410,606	11,577	2,422,183	34,201	-	34,201
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	9	1,348	-	1,348	509	-	509
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	8	2,409,258	11,577	2,420,835	33,692	-	33,692
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები		1,431	-	1,431	-	-	-
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით		1,431	-	1,431	-	-	-
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი		(386,669)	(118,974)	(505,643)	(516,661)	(120,832)	(637,493)
ნაშთი წლის ბოლოს		29,741,166	(683,103)	29,058,063	18,461,561	(552,552)	17,909,009

ხელმძღვანელობის სახელით:


ირეკლე მჭედლიშვილი
გენერალური აუდიტორი

27 მაისი 2019
თბილისი, საქართველო


კაკაბერ დანელია
საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი

27 მაისი 2019
თბილისი, საქართველო

9-31 გვერდებზე თანდართული განმარტებები არის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ნაწილი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

31 დეკემბერი 2018							
დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის	საკასო ხარჯი*	გადახრა % დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის	ფაქტობრივი ხარჯი*	გადახრა ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის
ხარჯები	14,417,200	14,601,600	1%	13,909,490	-5%	14,587,758	678,268
მათ შორის:							
შრომის ანაზღაურება	11,969,200	11,954,200	0%	11,407,772	-5%	11,407,441	(331)
არაფინანსური აქტივების ზრდა	100,000	245,000	145%	213,998	-13%	-	-
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	-	-	-	-	-	-	-

31 დეკემბერი 2017 (არააუდიტებული)							
დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის	საკასო ხარჯი*	გადახრა % დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის	ფაქტობრივი ხარჯი*	გადახრა ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის
ხარჯები	14,267,200	14,196,697	0%	13,740,343	-3%	14,521,957	781,614
მათ შორის:							
შრომის ანაზღაურება	11,796,200	11,796,200	0%	11,516,099	-2%	11,516,099	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	250,000	320,000	28%	391,712	22%	-	-
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	0%	-	0%	-	-
ვალდებულებების კლება	-	503	0%	503	0%	-	(503)

*ფაქტობრივი ხარჯი ამ ანგარიშის მიზნებისთვის გულისხმობს დარიცხულ ხარჯს, ხოლო საკასო მოიცავს ფაქტობრივად გადახდილ ოდენობებს.

ხელმძღვანელობის სახელით:


ირინა გოგიტაშვილი
გენერალური აუდიტორი

27 მაისი 2019
თბილისი, საქართველო


კაკაბერ დანელია
საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი

27 მაისი 2019
თბილისი, საქართველო

9-31 გვერდებზე თანდართული განმარტებები არის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ნაწილი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

1. ორგანიზაცია და მისი საქმიანობა

1918 წელს შეიქმნა სახელმწიფო კონტროლიორის ინსტიტუტი, რომელიც ფუნქციონირებდა 1921 წლის ჩათვლით, საბჭოთა ოკუპაციამდე. 1991 წელს, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად, შეიქმნა სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ეროვნული სისტემა და დაარსდა საქართველოს კონტროლის პალატა. 2008 წლიდან დაიწყო უწყების ინსტიტუციური გარდაქმნა, რის შედეგადაც 2012 წლის ივლისიდან ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სახით ჩამოყალიბდა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მართვის მოდელი წარმოადგენს ვესტმინსტერულ მოდელს. სამსახურს მართავს ერთპიროვნული ხელმძღვანელი - გენერალური აუდიტორი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი 5 წლის ვადით. აუდიტის სამსახური ხელს უწყობს საპარლამენტო ზედამხედველობისა და მთავრობის საქმიანობის გაუმჯობესებას, უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და საჯარო ფინანსების ეფექტიან გამოყენებას. სახელმწიფო აუდიტის სამსახური დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ანგარიშვალდებულია მხოლოდ პარლამენტის წინაშე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAIs) მიხედვით შეიმუშავა ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგიები, 2018 წლიდან დაიწყო სისტემური (ჰორიზონტალური) აუდიტების ჩატარება საჯარო სექტორში არსებული სისტემური რისკების გამოვლენისათვის, აუდიტის ახალ მიმართულებად განსაზღვრა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა (მსოფლიო ბანკი - World Bank (WB)) და დონორების (United States Agency for International Development (USAID)) მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტი, აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შექმნა აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვის სისტემა, დაწერა ახალი მიდგომები რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით. შედეგად აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკას. მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, უკანასკნელ პერიოდში სამსახური ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ლიდერ უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციად და პარალელურ რეჟიმში, ევროკავშირის ქვეყნებთან ერთად ატარებს ერთობლივ აუდიტებს.

სამსახურის განვითარების ძირითადი მიმართულებები წარმოდგენილია 2018-2022 წლების სტრატეგიულ გეგმაში, რომელიც ასახავს სამსახურის მისიას, ხედვას, ძირითად ღირებულებებს და ეყრდნობა ხუთ სტრატეგიულ მიზანს: (1) დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება (2) მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობის შედეგად საჯარო ფინანსების მართვის თვისობრივი გაუმჯობესება (3) ძირითადი პარტნიორების ჩართულობის გაძლიერება (4) მმართველობის სისტემის გაძლიერებით ეფექტურობის ამაღლება (5) თანამშრომელთა პროფესიული განვითარება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციურ განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სხვა ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებთან (აშშ, შვედეთი, გერმანია, ლატვია, პოლონეთი, ლიეტუვა, სლოვენია და სხვა), საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან განხორციელებულმა თანამშრომლობამ. დონორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით, როგორებიცაა: EU (European Union), GIZ (Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit), WB, USAID, Twinning სხვადასხვა დროს წარმატებით განხორციელდა მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი, რომლებიც მიზნად ისახავდა სამსახურის როგორც აუდიტორული, ასევე არააუდიტორული საქმიანობის მიმართულებების გაძლიერებას. საჯარო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისა და უკეთესი პრაქტიკის გაზიარების მიზნით, სამსახური უმაღლესი აუდიტორული უწყებების საერთაშორისო ორგანიზაციისა (INTOSAI) და მისი რეგიონული გაერთიანებების (EUROSAI, ASOSAI) აქტიური წევრია. INTOSAI, EUROSAI და ASOSAI წარმოადგენენ ავტონომიურ, დამოუკიდებელ და აპოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უწყობენ საჯარო აუდიტის მიმართულებით დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, როგორც საერთაშორისო, ასევე რეგიონულ დონეზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში ("ლარი"), რომელიც წარმოადგენს ანგარიშგების ვალუტას და ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ ტრანზაქციებს.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
1 დოლარი/ლარი	2.6766	2.5922
1 ევრო/ლარი	3.0701	3.1044

ზოგადი განმარტება

2017 წლის სექტემბრიდან დღემდე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი არის ერეკლე მექვაბიშვილი. გენერალური აუდიტორის მოადგილეები არიან: ეკატერინე ლაზაძე, ნოდარ ჯავახიშვილი და დავით გოგიჩაიშვილი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (შემდგომში „აუდიტის სამსახური“) უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლითა და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მიხედვით:

69.1. საჯარო მმართველობის ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების ხელშესაწყობად საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა საჯარო რესურსების გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

69.3. სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია.

69.6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება, სტრუქტურა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლი ადგენს:

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს საჯარო მმართველობის ეფექტიანობას და ანგარიშვალდებულებას, საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა საჯარო რესურსების გამოყენებისა და ხარჯვის კანონიერების, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობას, ეროვნული სიმდიდრის, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების საკუთრების დაცვას, აგრეთვე საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას“.

კონსტიტუციითა და ორგანული კანონით განსაზღვრულ ამოცანების შესასრულებლად გენერალური აუდიტორი განსაზღვრავს სამსახურის სტრუქტურას, განვითარების სტრატეგიას და ამტკიცებს წლიური აუდიტორული საქმიანობის გეგმას.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ორგანიზაცია სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ საქმიანობაზე.

2018 წლის 1 იანვრამდე ანგარიშგებას აუდიტს უტარებდა საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

2017 წლის ანგარიშგების აუდიტი დროებითმა საპარლამენტო კომისიამ ჩაატარა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების (INTOSAI) მიხედვით და გამოხატა უპირობო მოსაზრება 2018 წლის 5 ივნისს. ამდენად, 2017 წლის აუდიტის სტანდარტები განსხვავდება 2018 წელს გამოყენებულისგან და წინა წლის მონაცემები წარმოდგენილია როგორც არააუდირებული.

2. ფინანსური ანგარიშგების შედგენის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზანი და შედგენის საფუძველი

ორგანიზაცია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს 2014 წლის 31 დეკემბერს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ #429 ინსტრუქციის („ინსტრუქცია“) შესაბამისად.

თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად, აღრიცხვის მოდიფიცირებული დარიცხვის მეთოდით. ბუღალტრული აღრიცხვის დეტალური პოლიტიკები აღწერილია ქვემოთ მოცემულ მე-3 განმარტებაში.

სსფას სტანდარტები, რომელთა დანერგვაც იგეგმება #429 ინსტრუქციაში

საქართველო ამჟამად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საჯარო სექტორის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე (სსფასს) სრულად გადასვლის პროცესშია. იქამდე, სანამ სსფას სტანდარტები სრულიად დაინერგება, საბიუჯეტო ორგანიზაციები, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ვალდებული არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადონ 2014 წლის 31 დეკემბერს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების #429 ინსტრუქციის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადების თარიღისათვის იგეგმება შემდეგი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, აგრეთვე შესწორებების მომავალში დანერგვა.

სტანდარტები და შესწორებები	ძალაშია შემდეგი თარიღით დაწყებული წლიური პერიოდებისათვის
სსფასს 11 „სამშენებლო ხელშეკრულებები“	1 იანვარი 2019
სსფასს 12 „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები“	1 იანვარი 2019
სსფასს 21 „ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება“	1 იანვარი 2019
სსფასს 27 „სოფლის მეურნეობა“	1 იანვარი 2019
სსფასს 31 „არამატერიალური აქტივები“	1 იანვარი 2019

აღსანიშნავია, რომ #429-ე ბრძანებაში სსფასს სტანდარტები ეტაპობრივად ინერგება. სსფასს-ზე სრულ გადასვლამდე, ბრძანებაში დანერგილი სტანდარტი შესაძლოა იყოს ორიგინალისგან გარკვეულწილად განსხვავებული, ან მისი ნაწილი არ იყოს სავალდებულოდ შესასრულებელი. ამიტომაც, 429-ე ბრძანების განახლებული ვერსიის გამოქვეყნებამდე, ხელმძღვანელობას არ შეუძლია შეაფასოს ახალი და შესწორებული სტანდარტების პოტენციური ზეგავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ორგანიზაცია არის მოქმედი და ოპერირებას გააგრძელებს განჭვრეტად მომავალში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, გენერალური აუდიტორი არჩეულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის სექტემბერში 5 წლის ვადით და სარგებლობს დამოუკიდებლობის უმაღლესი სტანდარტით, სამსახურის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2018 წელს, 2020 წლის ბიუჯეტი კი წარდგენილია პარლამენტში დასამტკიცებლად. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით აუდიტის სამსახურის ბიუჯეტის შემცირება წინა წელს დამტკიცებულ ოდენობასთან შედარებით სამსახურის თანხმობის გარეშე დაუშვებელია. გამომდინარე აქედან, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ უწყვეტი ორგანიზაციის დაშვება მართებულია.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ჩვეულებრივ ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შეფასებისას, ორგანიზაცია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის.

კონსოლიდაციის პრინციპები

2018 წლის 31 დეკემბრისათვის, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატის და მის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ ანგარიშგებებს.

კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შიდა ოპერაციებით წარმოშობილი ტრანზაქციები ელიმინირებულია.

ძირითადი აქტივები

შემდგომადი ძირითადი აქტივების ბუღალტრული აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ცვეთის თანხით და შეცვლილია გაფასებით. საწყისი ღირებულება მოიცავს ძირითადი აქტივების შესყიდვის ფასს, ასევე ყველა იმ დანახარჯს, რაც დაკავშირებულია შემენასთან, საკუთრების უფლების მოპოვებასთან და ექსპლუატაციაში შესვლასთან.

ძირითადი აქტივების მოვლა-შენახვასა და რემონტის დანახარჯები, რომლითაც არ იზრდება ძირითადი აქტივების ღირებულება, განხილულია ხარჯებად, ხოლო აქტივების არსებითი გაუმჯობესება-განახლება, რეკონსტრუქცია ან გაფართოება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სასარგებლო მომსახურების ვადას, განიხილება როგორც ძირითადი აქტივების ზრდა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით N439 „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრული აღრიცხვის ასახვის შესახებ“ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, წრფივი მეთოდით. ორგანიზაციის მიერ გამოყენებული ცვეთის ნორმები:

აქტივების ჯგუფი	ცვეთის დარიცხვის ნორმები, %
საცხოვრებელი ნაგებობები	1%
არასაცხოვრებელი ნაგებობები	1%
სხვა ნაგებობები	1.2% - 5%
სატრანსპორტო საშუალებები	11.2%
სხვა მანქანა-დანადგარები და მარაგი	1.1% - 20%
არამატერიალური აქტივები	10% - 33%

დარიცხული ცვეთა ტარდება ხარჯებში, როგორც ძირითადი კაპიტალის მოხმარება, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღრიცხული მიწა ცვეთას არ ექვემდებარება.

არაფინანსური აქტივების თავდაპირველი შესყიდვის ღირებულება შემდგომ პერიოდში შესაძლებელია დაკორექტირდეს არსებითი გაუმჯობესების, ძირითადი კაპიტალის მოხმარების, გადაფასების, ამოწურვის, გამოფიტვის, ხარისხის გაუარესების, გაუთვალისწინებელი დამცველების, შემთხვევითი დაზიანებით გამოწვეული დანაკარგებისა და სხვა დანაკარგებით. შეფასების სისტემატიურობა განსაზღვრული არ არის და შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა საჭიროებით.

2018 წლის განმავლობაში არასაცხოვრებელი ნაგებობებისა და სატრანსპორტო საშუალებების რეალური ღირებულება განისაზღვრა დამოუკიდებელი შემფასებელი ექსპერტის მიერ, აღიარებული შეფასების ტექნიკის გამოყენების საფუძველზე. შეფასების შედეგად წარმოქმნილი ნაზრდი / შემცირება გატარებული იქნა მიმდინარე წლის არასაოპერაციო შემოსავლებში / ხარჯებში.

ძირითადი აქტივების აღიარება წყდება გაყიდვის/გადაცემის შემთხვევაში, ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის/მომსახურების პოტენციალის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც არის სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, უნდა აღიარდეს შესაბამისი პერიოდის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც ჯგუფი გახდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ტრანზაქციული ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება შეძენას ან ფინანსური აქტივისა და ვალდებულებების (არ გულისხმობს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებით აღიარებას მოგება-ზარალში) გამოშვებას, შესაბამისად ამცირებს ან ზრდის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების რეალურ ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივები

ორგანიზაციის ძირითად ფინანსური აქტივებს წარმოადგენს ფულადი სახსრები, სხვა მოთხოვნები და სხვა ფინანსური აქტივები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები მოიცავს მიმდინარე ანგარიშს არასაბიუჯეტო სახსრებისთვის ხაზინაში, ანგარიშს მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის და ხაზინის სავალუტო ანგარიშს.

არასაბიუჯეტო სახსრებისთვის მიმდინარე ანგარიშზე აღირიცხება ორგანიზაციის არასაბიუჯეტო სახსრებით საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები ხაზინაში, ეროვნულ ვალუტაში.

მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსების ანგარიშზე აღირიცხება ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ მიზნობრივ გრანტებთან და მიზნობრივ დაფინანსებასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები, ეროვნულ ვალუტაში.

ხაზინის სავალუტო ანგარიშზე აღირიცხება საბიუჯეტო და მიზნობრივ გრანტებთან დაკავშირებული სახსრები, უცხოურ ვალუტაში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა ამოიწურება ან გაუქმდება.

ფინანსური ვალდებულებები

ორგანიზაციის ფინანსურ ვალდებულებას წარმოადგენს სხვა კრედიტორული დავალიანებები, რომლებიც აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულებების აღიარებას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფის ვალდებულებები გათავისუფლებულია, გააუქმებულია, ან იწურება. სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ საფასურს შორის აღიარდება შემოსავალში/ხარჯში.

კაპიტალი

კაპიტალის შემადგენელი ნაწილებია: წმინდა აქტივების ღირებულება და გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი.

წმინდა აქტივების ღირებულება წარმოადგენს ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების და საბიუჯეტო სახსრებით საქმიანობიდან წარმოქმნილ საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლების/ხარჯების გადახურვის შედეგად წარმოქმნილ აკუმულირებულ ნაშთს.

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არასაბიუჯეტო სახსრებით საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებისა (საოპერაციო და არასაოპერაციო) და ხარჯების (საოპერაციო და არასაოპერაციო) გადახურვით მიღებულ აკუმულირებულ ნაშთს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

ბიუჯეტიდან დაფინანსება

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ანგარიშზე აღირიცხება ორგანიზაციისათვის ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრები (საბიუჯეტო სახსრები, კრედიტები და გრანტები). საბიუჯეტო დაფინანსების ანგარიშები გადაიხურება წმინდა ღირებულების ანგარიშზე. ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ასიგნებების ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯების შესაბამისი მოცულობით. ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში მიღებული დაფინანსება ორგანიზაციის მიერ აღირიცხება საკასო მეთოდით. მესამე პირის მიერ განხორციელებული გადახდები, ორგანიზაციის მიერ სააღრიცხვო ჩანაწერებში და ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება.

თანამშრომელთა მოკლევადიანი ანაზღაურება

თანამდებობრივი სარგოების, ანაზღაურებადი წლიური შვებულებისა და ავადმყოფობის შვებულების ბენეფიტების ვალდებულება აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა შესაბამისი მომსახურების გაწევა, ამ მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი ბენეფიტების არადისკონტირებული ოდენობით. თანამშრომელთა მოკლევადიანი ბენეფიტები მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, თანამშრომლის წოდებრივ დანამატს, ფულად ჯილდოს და სახელფასო დანამატს.

თანამშრომელთა მოკლევადიან ბენეფიტებთან დაკავშირებით აღიარებული ვალდებულებები აისახება შესაბამისი მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი ბენეფიტების არადისკონტირებული ოდენობით.

მარაგები

მარაგები თავდაპირველი აღიარებისას აისახება თვითღირებულებით.

მატერიალურ მარაგებში ასახულია საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული ნედლეული და მასალები, ასევე მცირეფასიანი აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითადი აქტივების აღიარების კრიტერიუმს: ღირებულება ნაკლებია 500 ლარზე (მიუხედავად გამოყენების ვადისა) ან გამოყენების ვადა არ აღემატება ერთ წელიწადს (მიუხედავად ღირებულებისა).

თავდაპირველი აღიარების შემდეგ მარაგები აისახება თვითღირებულებასა და წმინდა რეალიზებად ღირებულებას შორის უმცირესით. თუმცა, თუ მარაგების კლასის განაწილება ან განთავსება ხდება უფასოდ ან ნომინალურ ფასად, მარაგების ეს კლასი აისახება ღირებულებასა და ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულებას შორის უმცირესით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის გაყიდვის შეფასებული ფასი ოპერაციების ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, დასრულების შეფასებული ხარჯებისა და გაყიდვის, გაცვლის ან განაწილების მიზნით აუცილებელი შეფასებული ხარჯების გამოკლებით.

მარაგების მოხმარება აღირიცხება ხარჯად, როდესაც მარაგები გადადის მოხმარების ეტაპზე ჯგუფის ჩვეულებრივი ოპერაციების მიმდინარეობისას. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული მარაგები ასახულია შესყიდვის ღირებულებით. ღირებულება განისაზღვრება გაწეული ხარჯების იდენტიფიცირების საფუძველზე.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით. ხარჯის გაწევის მომენტში არსებული საინვესტიციო ქონების კომპონენტების ჩანაცვლების ხარჯი საბალანსო ღირებულებაში შედის იმ შემთხვევაში, თუ კმაყოფილდება აღიარების კრიტერიუმები. საბალანსო ღირებულებაში არ შედის საინვესტიციო ქონების ყოველდღიური მოვლა-პატრონობის ხარჯები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მათი რეალიზაციისას ან თუ მათი გამოყენება საბოლოოდ წყდება და რეალიზაციიდან/გადაცემიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღება აღარ ივარაუდება. სხვაობა წმინდა სარეალიზაციო შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგებას ან ზარალში აღიარების შეწყვეტის პერიოდში.

საინვესტიციო ქონებიდან სხვა აქტივად კლასიფიკაცია ან სხვა აქტივის ტიპიდან საინვესტიციო ქონებაში გადმოტანა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ცვლილებას მის გამოყენებაში.

საინვესტიციო ქონებას ცვეთა ერიცხება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით N439 „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრული აღრიცხვის ასახვის შესახებ“ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, წრფივი მეთოდით, 100 წლიანი გამოყენების ვადით.

საინვესტიციო ქონებიდან გამომჟღავნებული შემოსავალი უბრუნდება ხაზინას უკან და არ აღიარდება მიმდინარე წლის შემოსავლად.

სავალუტო ოპერაციები

სავალუტო ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ტრანზაქციის დღეს მოქმედი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სავაჭრო კრედიტორები ან დებიტორები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღში აისახება ამ დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით. საკრედიტო დავალიანების დაფარვით ან პერიოდის განმავლობაში თავდაპირველად ასახულისგან განსხვავებული კურსით აღრიცხვით წარმოშობილი სხვაობები შემოსავალში ან ხარჯში აღიარდება მათი წარმოშობის პერიოდში.

კრიტიკული სააღრიცხვო დაშვებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს, რომელთა გამოყენება მართებულიად მიიჩნევა. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირებას ეფექტი აქვს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

სააღრიცხვო პოლიტიკებში გამოყენებული კრიტიკული შეფასებები და გაურკვევლობის შეფასების ძირითადი წყაროები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, განმარტებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების იმ ელემენტების მომცველ განმარტებებში, რომლებთანაც ისინი არის დაკავშირებული.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

4. ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშებზე და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი 31/12/2018 მდგომარეობით	ნაშთი 31/12/2017 მდგომარეობით (არააუდირებული)
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
	მიმდინარე ანგარიში არასაბიჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230	223	113,120
	ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	1240	26,148	15,046
	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280	122,255	13,590
	ქონების გადასახადი	1363	1,632	-
	დამატებული ღირებულების გადასახადი	1364	3,224	34,426
	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	8,475	-
	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432	121,421	-
	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	-	1,327
	სულ ფინანსური აქტივები და მოთხოვნები:		283,378	177,509
II. არაფინანსური აქტივები				
	ფულადი დოკუმენტები	1625	335	80
	სათადარიგო ნაწილები	1626	3,571	5,562
	სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	1627	65,673	73,742
	საცხოვრებელი შენობები	2111	193,069	195,101
	არასაცხოვრებელი შენობები	2112	12,718,426	15,459,616
	სხვა ნაგებობები	2119	55,504	131,507
	სატრანსპორტო საშუალებები	2121	497,217	452,447
	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2122	667,389	873,139
	არამატერიალური ძირითადი აქტივები	2132	840,360	1,011,571
	ტექნიკა	2210	8,528	11,168
	ინვენტარი	2220	25,783	30,401
	სხვა მცირეფასიანი აქტივები	2240	978	1,368
	მიწა	2410	13,733,000	-
	საინვესტიციო ქონებად გამოყენებული შენობები ან შენობის ნაწილი	2510	299,970	-
	სულ არაფინანსური აქტივები:		29,109,803	18,245,702
	სულ აქტივები და მოთხოვნები:		29,393,181	18,423,211
კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი 31/12/2018 მდგომარეობით	ნაშთი 31/12/2017 მდგომარეობით (არააუდირებული)
III. ვალდებულებები				
	საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	-	108
	გადასახდელი დღგ	3242	9,267	3,508
	სხვა გადასახდელები	3244	49,173	49,673
	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251	245,863	246,163
	წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლები	3282	30,815	19,491
	სულ ვალდებულებები		335,118	318,943
	წმინდა ღირებულება	5100	29,741,166	18,656,820
	გაუნაწილებელი მოგება	5220	(683,103)	(552,552)
	დაუფარავი ზარალი*	5230	-	-
	სულ კაპიტალი:		29,058,063	18,104,268
	სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		29,393,181	18,423,211
საცნობარო მუხლები				
	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02	1,699	-
	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	1,263,229	1,027,197
	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09	335,118	318,943
	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	656,148	641,811

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

5. ორგანიზაციის ანგარიში შემოსავლების და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ცხრილში მოცემულია ორგანიზაციის ანგარიში შემოსავლების და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ჩაშლა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

შემოსავლების და ხარჯების ჩამონათვალი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით		საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით		ვალდებულება		ფაქტობრივი (საკასო)		დარიცხული	
	საბიუჯეტო სახსრები	ეკონომიკური საქმიანობა	საბიუჯეტო სახსრები	ეკონომიკური საქმიანობა	საბიუჯეტო სახსრები	ეკონომიკური საქმიანობა	საბიუჯეტო სახსრები	ეკონომიკური საქმიანობა	საბიუჯეტო სახსრები	ეკონომიკური საქმიანობა
1. შემოსავლები	-	900,000	-	547,508	-	-	77,602	531,090	77,602	439,470
1.1 გადასახადები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
1.2 გრანტები	-	-	-	-	-	-	77,602	-	77,602	-
1.3 სხვა შემოსავლები	-	900,000	-	547,508	-	-	-	531,090	-	439,470
1.3.2 საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	900,000	-	547,508	-	-	-	531,015	-	439,395
1.3.5 შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	-	-	-	-	-	-	-	75	-	75
2. ხარჯები	14,417,200	892,000	14,601,600	660,627	14,526,411	654,843	13,909,490	643,987	14,587,758	558,444
2.1 შრომის ანაზღაურება	11,969,200	614,400	11,954,200	373,738	11,954,200	373,738	11,407,772	365,577	11,407,441	365,577
2.1.1 ხელფასები	-	-	-	-	11,954,200	373,738	11,407,772	365,577	11,407,441	365,577
2.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	-	-	-	-	11,954,200	373,738	11,407,772	365,577	11,407,441	365,577
2.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	-	-	-	-	9,305,192	359,788	9,208,347	351,627	9,208,047	351,627
2.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	-	-	-	-	394,514	-	385,363	-	385,332	-
2.1.1.1.3 პრემია	-	-	-	-	2,247,244	13,950	1,806,812	13,950	1,806,812	13,950
2.1.1.1.3 დანამატი	-	-	-	-	7,250	-	7,250	-	7,250	-
2.2 საქონელი და მომსახურება	1,943,000	129,600	2,042,400	188,746	1,968,703	187,649	1,899,198	186,780	1,911,811	183,274
2.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	-	-	-	-	632,970	160,237	623,332	159,582	623,332	159,582
2.2.2 მივლინებები	-	-	-	-	215,427	120	183,676	120	183,674	120
2.2.3 ოფისის ხარჯები	-	-	-	-	620,464	3,269	601,096	3,055	622,724	2,589
2.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-	-	-	29,950	3,605	29,946	3,605	28,030	3,055
2.2.6 სამედიცინო ხარჯები	-	-	-	-	376	-	376	-	376	-
2.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	-	-	-	-	920	-	920	-	1,283	-
2.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა- შენახვის ხარჯები	-	-	-	-	212,172	10,530	205,937	10,530	208,073	8,924
2.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	-	-	-	-	256,424	9,888	253,915	9,888	244,319	9,004
2.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	-	-	-	-	666,487	4,277

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

2.4 პროცენტი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2.6 გრანტები	5,000	-	5,000	-	4,114	-	4,114	-	4,114	-
2.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	5,000	-	5,000	-	4,114	-	4,114	-	4,114	-
2.6.2.1 მიმდინარე	5,000	-	5,000	-	4,114	-	4,114	-	4,114	-
2.7 სოციალური უზრუნველყოფა	200,000	3,000	365,000	4,455	365,000	4,455	364,010	2,629	363,510	2,629
2.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	200,000	3,000	365,000	4,455	365,000	4,455	364,010	2,629	363,510	2,629
2.7.3.1 ფულადი ფორმით	200,000	3,000	365,000	4,455	365,000	4,455	364,010	2,629	363,510	2,629
2.8 სხვა ხარჯები	300,000	145,000	235,000	93,688	234,395	89,001	234,395	89,001	234,395	2,687
2.8.2 სხვადასხვა ხარჯები	300,000	145,000	235,000	93,688	234,395	89,001	234,395	89,001	234,395	2,687
2.8.2.1 მიმდინარე	300,000	145,000	235,000	93,688	234,395	89,001	234,395	89,001	234,395	2,687
2.9 რეალიზებული მარაგების ხარჯი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

6. ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით ფაქტობრივი (საკასო) ოპერაციების შესახებ

ცხრილში მოცემულია ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით ფაქტობრივი (საკასო) ოპერაციების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: სხვა მანქანა-დანადგარების მიღებიდან 193,516 ლარი წარმოადგენს IT მიმართულებით გაკეთებულ ინვესტიციებს. კერძოდ, 121,421 ლარი მოხმარდა სასერვერო ინფრასტრუქტურის განახლებას, 72,095 ლარი კი კომპიუტერების შეძენას.

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	არაფინანსური აქტივების ოპერაციების	დამტკიცებული გეგმით		დაზუსტებული გეგმით		ვალდებულება		ფაქტობრივი(საკასო)	
		საბიუჯეტო სახსრები	ეკონომიკური საქმიანობა	საბიუჯეტო სახსრები	ეკონომიკური საქმიანობა	საბიუჯეტო სახსრები	ეკონომიკური საქმიანობა	საბიუჯეტო სახსრები	ეკონომიკური საქმიანობა
1. არაფინანსური აქტივების მიღება	31	100,000	8,000	245,000	-	213,998	-	213,998	-
1.1 ძირითადი აქტივები	311	-	-	-	-	213,998	-	213,998	-
1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	-	-	-	-	11,717	-	11,717	-
1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112	-	-	-	-	11,717	-	11,717	-
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	-	-	-	-	202,281	-	202,281	-
1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122	-	-	-	-	202,281	-	202,281	-
1.2 მატერიალური მარაგები	312	-	-	-	-	-	-	-	-
1.3 ფასეულობები	313	-	-	-	-	-	-	-	-
1.4 არაწარმოებული აქტივები	314	-	-	-	-	-	-	-	-
2. არაფინანსური აქტივების კლება	31	-	-	-	-	-	-	-	-
2.1 ძირითადი აქტივები	311	-	-	-	-	-	-	-	-
2.2 მატერიალური მარაგები	312	-	-	-	-	-	-	-	-
2.3 ფასეულობები	313	-	-	-	-	-	-	-	-
2.4 არაწარმოებული აქტივები	314	-	-	-	-	-	-	-	-

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

7. ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით ფაქტობრივი (საკასო) ოპერაციების შესახებ

2018 წლის 31 დეკემბრისთვის ორგანიზაციას არ ჰქონია საკასო ოპერაციები ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კატეგორიებში.

8. ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის (არაუადრებელი)	მიღება										გასვლა															ნაშთი წლის ბოლოს	
		შესყიდვა წინა წლების აკრძალვის შემცირებით	შესყიდვა მამდიონარე პერიოდის	ზარტებით	არასაბაჟოო შემოსავლებით	გრანტებით	სხვა შემოსავლებით	საკუთარი სახსრებით გაპოტალის შექმნა	დანაკლისის აღდგენით	ანგარიშვალდებულ ან სხვა პირისაგან მიღება	სხვა მიღებები	გაყიდვით	ზარტებით	არასაბაჟოო ხარჯები	აქციებისა და სხვა გაპოტალის სახით	ხელფასები სასაქონლო	სუბსიდიებით	გრანტებით	სოციალური დანახარჯებით	დამაკლასით	სხვა ხარჯებით	საკუთარი სახსრებით გაპოტალის შექმნა	ძირითადი გაპოტალის მოხმარება	საქონლი და მომსახურებით	ანგარიშვალდებულ პირზე გადაცემა	სხვა გასვლები		
1. მატერიალური მარაგები	79,384	-	83,992	-	8,516	-	-	-	-	-	-	-	8,056	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	94,255	-	-	69,579	
1.2. სხვა მატერიალური მარაგები	79,384	-	83,992	-	8,516	-	-	-	-	-	-	-	8,056	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	94,255	-	-	69,579	
1.2.5 ფულადი დოკუმენტები	80	-	350	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	94	-	-	335	
1.2.6 სათადარიგო ნაწილები	5,562	-	1,080	-	20	-	-	-	-	-	-	-	20	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	3,071	-	-	3,571	
1.2.7 სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	73,742	-	82,562	-	8,496	-	-	-	-	-	-	-	8,036	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	91,090	-	-	65,673	
2. ძირითადი აქტივები	18,123,381	-	92,577	-	121,132	-	-	-	-	-	-	-	2,394,391	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	667,734	-	-	303,000	14,971,965
2.1 შენობა-ნაგებობები	15,786,224	-	11,717	-	-	-	-	-	-	-	-	-	2,392,816	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	135,126	-	-	303,000	12,966,999
2.1.1 საცხოვრებელი შენობები	195,101	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	2,032	-	-	193,069	
2.1.2 არსაცხოვრებელი შენობები	15,459,616	-	11,717	-	-	-	-	-	-	-	-	-	2,321,235	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	128,672	-	-	303,000	12,718,426
2.1.9 სხვა შენობა-ნაგებობები	131,507	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	71,581	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	4,422	-	-	-	55,504
2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	1,325,586	-	80,860	-	121,132	-	-	-	-	-	-	-	1,575	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	361,397	-	-	-	1,164,606
2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	452,447	-	-	-	116,430	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	71,660	-	-	-	497,217
2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	873,139	-	80,860	-	4,702	-	-	-	-	-	-	-	1,575	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	289,737	-	-	-	667,389
2.3 სხვა ძირითადი აქტივები	1,011,571	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	171,211	-	-	-	840,360
2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	1,011,571	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	171,211	-	-	-	840,360
3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	42,937	-	27,634	-	11,249	-	-	-	-	-	-	-	6,812	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	39,718	-	-	35,289
4. ფასეულობები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
5. არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-	13,733,000	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	13,733,000	
5.1 მიწა	-	-	-	-	13,733,000	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	13,733,000	
6. საინვესტიციო ქონება	-	-	-	-	-	-	-	-	-	303,000	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	3,030	-	-	-	299,970
6.1 საინვესტიციო ქონებად გამოყენებული შენობები ან შენობის ნაწილი	-	-	-	-	-	-	-	-	-	303,000	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	3,030	-	-	-	299,970

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

2018 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით გადაფასდა ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებები, მათი საბალანსო ღირებულებების რეალურ საბაზრო ღირებულებებთან მიახლოების მიზნით. აღნიშნული შეფასების ძირითადი მოტივი იყო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, ასანაზღაურებელი თანხის კორელაცია აქტივის საბალანსო ღირებულებასთან. შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ საბაზრო შედარების მეთოდის გამოყენებით. შეფასების შედეგი ასახულია ზემოთ მოცემული ცხრილის „არასაოპერაციო შემოსავლების“ სვეტში.

რეტროსპექტული გადაანგარიშების გამო, გაზრდილია ძირითადი აქტივების 2018 წლის საწყისი ნაშთი, რაც განაპირობა რამდენიმე წლის წინ შეძენილი და ხარჯში ჩამოწერილი ლიცენზიების არამატერიალურ აქტივად აღიარებამ. ღირებულებამ გადაანგარიშების შემდეგ შეადგინა 195,259 ლარი.

ბალანსზე რიცხული ქონებისა და აღჭურვილობის მოძრაობა

	მიწა	საცხოვრებელი ნაგებობები	არასაცხოვრებელი ნაგებობები	სხვა ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა მანქანა- დანადგარები და მარაგი	არამატერიალური აქტივები	სულ
ღირებულება								
2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდიტირებული)	-	203,230	16,950,411	189,077	1,361,957	2,147,355	1,503,830	22,355,860
გადაფასების ეფექტი	13,733,000	-	(3,797,580)	(79,411)	-	-	-	9,856,009
2018 წლის 1 იანვარი	13,733,000	203,230	13,152,831	109,666	1,361,957	2,147,355	1,503,830	32,211,869
მიღება	-	-	11,717	-	-	85,562	-	97,279
გადასულია საცნობარო მუხლზე	-	-	-	-	-	(361,722)	-	(361,722)
გასვლა	-	-	(315,391)	-	-	(2,607)	-	(317,998)
გადაფასების ეფექტი	-	-	-	-	(713,520)	-	-	(713,520)
2018 წლის 31 დეკემბერი	13,733,000	203,230	12,849,157	109,666	648,437	1,868,588	1,503,830	30,915,908
დაგროვილი ცვლათ								
2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდიტირებული)	-	8,129	1,490,795	57,570	909,510	1,274,216	492,259	4,232,479
გადაფასების ეფექტი	-	-	(1,488,736)	(7,830)	-	-	-	(1,496,566)
2018 წლის 1 იანვარი	-	8,129	2,059	49,740	909,510	1,274,216	492,259	2,735,913
მიღება	-	2,032	128,672	4,422	71,660	289,737	171,211	667,734
გადასულია საცნობარო მუხლზე	-	-	-	-	-	(361,722)	-	(361,722)
გასულია	-	-	-	-	-	(1,032)	-	(1,032)
გადაფასების ეფექტი	-	-	-	-	(829,950)	-	-	(829,950)
2018 წლის 31 დეკემბერი	-	10,161	130,731	54,162	151,220	1,201,199	663,470	2,210,943

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

ნარჩენი საბალანსო ღირებულება

2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)	-	195,101	15,459,616	131,507	452,447	873,139	1,011,571	18,123,381
2018 წლის 31 დეკემბერი	13,733,000	193,069	12,718,426	55,504	497,217	667,389	840,360	28,704,965

ორგანიზაციამ განსაზღვრა არასაცხოვრებელი ნაგებობების და მათთან დაკავშირებული მიწის ნაკვეთებისა და ხიდის რეალური ღირებულება 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით. არასაცხოვრებელი ნაგებობების რეალური ღირებულების განსაზღვრა მოხდა შესადარისი გარიგების ანალიზის მეთოდის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ნაგებობებზე მომხდარი ტრანზაქციების შეფასების თარიღსთვის არსებულ საბაზრო ფასებს. ხიდის შეფასებისთვის გამოიყენებულ იქნა ჩანაცვლების ღირებულების მეთოდი, სადაც მნიშვნელოვანი დაშვებებს წარმოადგენდა მშენებლობის ხარჯების შეფასება და სხვა დამატებითი ხარჯები.

არასაცხოვრებელი შენობებისა და ხიდის შეფასებისგან მიღებული ზარალი 2,380,423 ლარის ოდენობით აღიარებულია სხვა არასაოპერაციო ხარჯებში, ხოლო დაკავშირებული მიწის ნაკვეთებისგან მიღებული შემოსავალი 13,733,000 ლარის ოდენობით ასახულია სხვა არა საოპერაციო შემოსავლებში.

	2018 წლის 1 იანვარი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)
ნაგებობები თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი	5,190,000	4,745,573
მიწა თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი	12,950,000	-
ნაგებობები ქუთაისში, ი. აბესაძის გამზირი	5,665,000	8,321,518
მიწა ქუთაისში, ი. აბესაძის გამზირი	783,000	-
ხიდი ქუთაისში, ი. აბესაძის გამზირი	2,154	73,735
ნაგებობები ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა	2,295,000	2,391,753
სულ	26,885,154	15,532,579

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

ქონებისა და აღჭურვილობის მოძრაობა მოცემულია საცნობარო მუხლზე

	მიწა	საცხოვრებელი ნაგებობები	არასაცხოვრებელი ნაგებობები	სხვა ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა მანქანა დანადგარები და მარაგი	არამატერიალური აქტივები	სულ
ღირებულება								
2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)	-	-	-	-	-	1,027,197	-	1,027,197
გადაცემულია ქონებიდან და აღჭურვილობიდან	-	-	-	-	-	361,722	-	361,722
გადაცემულია სხვა სახელმწიფო ორგანიზაციისთვის	-	-	-	-	-	(125,690)	-	(125,690)
2018 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)	-	-	-	-	-	1,263,229	-	1,263,229
დაგროვილი ცვეთა								
2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)	-	-	-	-	-	1,027,197	-	1,027,197
გადაცემულია ქონებიდან და აღჭურვილობიდან	-	-	-	-	-	361,722	-	361,722
გადაცემულია სხვა სახელმწიფო ორგანიზაციისთვის	-	-	-	-	-	(125,690)	-	(125,690)
2018 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)	-	-	-	-	-	1,263,229	-	1,263,229
საბალანსო ღირებულება								
2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)	-	-	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)	-	-	-	-	-	-	-	-

#429 ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად, სრულად ამორტიზირებული აქტივები ჩამოიწერება და აისახება საცნობარო მუხლებში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

9. ორგანიზაციის ანგარიში არასოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	არასოპერაციო შემოსავლები კრედიტი (8100)	არასოპერაციო ხარჯები დებიტი (8200)
ფინანსური აქტივები	9,158	1,348
სავალუტო დეპოზიტები	9,086	1,348
სხვა დებიტორული დავალიანებები	72	-
ფინანსური ვალდებულებები	-	11,577
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	11,577

10. ინფორმაცია მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსების შესახებ

	უცხოურ ვალუტაში	ეროვნულ ვალუტაში	
	გეგმა	საკასო (ფაქტობრივი)	დარიცხული
ნაშთი პერიოდის დასაწყისში (არააუდიტირებული)	49,472	49,472	-
მიმდინარე წლის მოცულობა	279,928	253,780	-
სულ	329,400	303,252	-
ხარჯები	329,400	303,252	293,626
საქონელი და მომსახურება	329,400	303,252	293,626

ორგანიზაციას ყველაზე მნიშვნელოვანი და მოცულობითი მიზნობრივი გრანტი მიღებული აქვს მსოფლიო ბანკისგან, 2015 წლის თებერვალში, 500,000 აშშ დოლარის ოდენობით. გრანტის მიზანია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესაძლებლობების ზრდა ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით და დასრულდება 2019 წლის ივნისში. პროექტის ფარგლებში დაფინანსდა IT აუდიტორების გადამზადება, მონაცემთა ანალიზის სისტემების გაუმჯობესება და ა.შ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

11. ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში 31/12/2017 (არააუდიტირებული)			საანგარიშო პერიოდის დასაწყისში 31/12/2017 (არააუდიტირებული)			საანგარიშო პერიოდის ბოლოს 31/12/2018		საანგარიშო პერიოდში გაწეული ფაქტობრივი ხარჯი (საკასო) 31/12/2018				საანგარიშო პერიოდში გაწეული დარიცხული ხარჯი 31/12/2018				საანგარიშო პერიოდის ბოლოს 31/12/2018		
	საბალანსო ანგარიში		საცნობარო მუხლი														საბალანსო ანგარიში	საცნობარო მუხლი	
	რაოდენობა	ლირებულეზა	რაოდენობა	რაოდენობა	ლირებულეზა	რაოდენობა	ლირებულეზა	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები	რაოდენობა	ლირებულეზა	რაოდენობა	
სატრანსპორტო საშუალება სულ:	31	452,447	-	31	452,447	31	497,217	216,467	69,672	142,375	4,420	216,997	69,300	141,142	6,555	31	497,217	-	
მათ შორის																			
მსუბუქი	25	383,295	-	25	383,295	25	383,553	174,351	55,683	115,708	2,960	174,880	55,310	114,475	5,095	25	383,553	-	
ჯიპები და პიკაპები	5	59,285	-	5	59,285	5	99,012	40,124	13,146	25,518	1,460	40,125	13,147	25,518	1,460	5	99,012	-	
სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებები	1	9,867	-	1	9,867	1	14,652	1,992	843	1,149	-	1,992	843	1,149	-	1	14,652	-	
სატვირთო	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	

ჯგუფი ბალანსზე არსებულ ავტოპარკს მართავს შიდა ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს საწვავის ლიმიტების დადგენის/კორექტირების მეთოდოლოგიას, განსაზღვრავს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის წესებს და პროცედურებს, სამორიგო ავტომობილების მოძრაობის რეჟიმს (რაც მოიცავს მათი გადაადგილების GPS-ით კონტროლის მექანიზმს). აღნიშნული ინსტრუქცია მიმართულია ხარჯების ოპტიმიზაციისადმი და წარმოადგენს შიდა კონტროლის კარგ მექანიზმს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

12. ორგანიზაციების ანგარიშებზე რიცხული ფინანსური აქტივები და მოთხოვნები წარმოშობის წლების მიხედვით

დასახელება	2018 წლის 31 დეკემბრისთვის	მათ შორის წარმოშობის წლების მიხედვით		
	სულ	1996-2003წ.	2004 -2017 წწ.	2018 წ.
ს უ ლ	134,752	-	-	134,752
გადასახდელები (წინასწარ გადახდილი თანხებით წარმოქმნილი დავალიანებები)	134,752	-	-	134,752
შრომის ანაზღაურება	-	-	-	-
საქონელი და მომსახურება	9,626	-	-	9,626
პროცენტი	-	-	-	-
სუბსიდიები	-	-	-	-
გრანტები	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	-	-	-	-
სხვა ხარჯები	3,705	-	-	3,705
არაფინანსური აქტივების მიღება	121,421	-	-	121,421
სხვა მოთხოვნები (გარდა საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მუხლებისა)	-	-	-	-

13. ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხული ვალდებულებები წარმოშობის წლების მიხედვით

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ჩაშლა წარმოშობის წლების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	2018 წლის 31 დეკემბრისთვის	მათ შორის წარმოშობის წლების მიხედვით		
	სულ	1996-2003წ.	2004-2017 წწ.	2018 წ.
ს უ ლ:	335,118	295,036	-	40,082
შემოსულობები (წინასწარ მიღებული თანხებით წარმოქმნილი დავალიანებები)	30,815	-	-	30,815
გადასახდელები	304,303	295,036	-	9,267
შრომის ანაზღაურება	245,863	245,863	-	-
საქონელი და მომსახურება	-	-	-	-
სუბსიდიები	-	-	-	-
გრანტები	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	49,173	49,173	-	-
სხვა ხარჯები	9,267	-	-	9,267
სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	9,267	-	-	9,267
არაფინანსური აქტივების შემენა	-	-	-	-
ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-	-	-

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

14. ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ კრილში

სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ორგანიზაციის დასახელება	დებიტი თანხა	წარმ. თარიღი	წარმოშობის საფუძველი
შემოსავლების სამსახური	1,151	2018	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებულ ხარჯთან დაკავშირებული დღგ (მიმდინარე წლის ხარჯი).
შემოსავლების სამსახური	1,633	2018	საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ქონების გადასახადის ავანსის გადახდა.
შემოსავლების სამსახური	2,072	2018	საღდო ჩასათვლელ და დარიცხულ დღგ-ს შორის.
British Standards Institution (BSI)	8,475	2018	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯის (მიმდინარე წლის ხარჯი) ავანსი.
შპს ორიენტ ლოჯიკი	121,421	2018	არაფინანსური აქტივების ზრდა, ავანსი.
სულ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები და სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	134,752		

საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში, ყველა ზემოთ მოცემული ავანსი დაიხურა, მათ შორის, ორგანიზაციამ მიიღო საინფორმაციო სისტემები და სერვერები შპს „ორიენტ ლოჯიკისგან“.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

15. ინფორმაცია ვალდებულებების შესახებ კრედიტორების მიხედვით

სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები 2018 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენს შემდეგს:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები ყოფილი თანამშრომლებისადმი	295,036	295,836
მიღებული ავანსები	30,815	19,491
დღგ	9,267	3,508
სხვა კრედიტორული დავალიანება	-	108
სულ მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	335,118	318,943

ვალდებულებები ყოფილი თანამშრომლებისათვის წარმოდგენს 743 ადამიანის მიმართ 1996-2003 წლებში დაგროვილ კრედიტორულ დავალიანებას.

16. ორგანიზაციის აქტივების/მომსახურების უსასყიდლოდ მიღება/გადაცემის შესახებ

უსასყიდლოდ გადაცემული აქტივები წარმოდგენს იმ აქტივებს ისტორიული ღირებულებებით, რომლებიც გადაეცათ სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს. გადაცემული ქონებისა და აღჭურვილობის საბალანსო ღირებულება 2018 წელს, გადაცემის თარიღისთვის, შეადგენდა 1,575 ლარს.

ორგანიზაციამ 2018 წლის განმავლობაში შეიმუშავა არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შიდა პროცედურა, რომელმაც უზრუნველყო პროცესის თანმიმდევრის რისკების მინიმიზაცია. აღნიშნული წესებით ჩატარებული შერჩევითი ინვენტარიზაციის დროს გამოვლინდა გამოუსადეგარი და გამოუყენებელი აქტივები და მოხდა მათი შესაბამისი განკარგვა. კერძოდ, ექსპლუატაციისთვის მისაღები მაგრამ ორგანიზაციისთვის გამოუსადეგარი აქტივები გადაეცა სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, წლების განმავლობაში საწყობებში დაგროვებული დაზიანებული და უვარგისი აქტივები კი განადგურდა წესების დაცვით. ამ საკითხების მოწესრიგების შემდეგ, საანგარიშო წლის ბოლოს ჩატარებულ სავალდებულო ინვენტარიზაციას არც დაზიანებული და არც გამოუსადეგარი აქტივები აღარ გამოუვლენია.

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდიტებული)
გადაცემული ძირითადი საშუალებები	128,297	110,408
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	6,546	-
სხვა აქტივები	8,322	-
სულ უსასყიდლოდ გადაცემული აქტივები ისტორიული ღირებულებით	143,165	110,408

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

17. თანამშრომელთა ანაზღაურება

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდიტირებული)
თანამდებობრივი სარგო	9,559,674	9,861,174
წოდებრივი სარგო	385,332	42,660
პრემია	1,828,012	2,074,735
სულ შტატის თანამშრომლების ანაზღაურება	11,773,018	11,978,569

თანამდებობრივი სარგოები პერიოდის განმავლობაში გაცემულია დამტკიცებული ბიუჯეტისა და საშტატო ნუსხის შესაბამისად. წოდებრივი სარგოს ზრდა 2018 წლის განმავლობაში გამოწვეული იყო „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების გამო, რის მიხედვითაც სავალდებულო გახდა საკლასო ჩინის მქონე თანამშრომლებისთვის დანამატის გაცემა. 2018 წელს ორგანიზაციის მიერ ბონუსების გაცემა მოხდა დანერგილ შეფასების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებს. შეფასების სისტემა ელექტრონულია და ითვალისწინებს თანამშრომელთა კომპეტენციებს, ინდივიდუალურად შესრულებული სამუშაოს მოცულობას და ხარისხს. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციას არ აქვს დანამატების გაცემის პრაქტიკა - 2018 წელს გაცემულია მხოლოდ 7,250 ლარის ოდენობის დანამატი ზეგანაკვეთურ მუშაობასთან დაკავშირებით.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება არის საქონლისა და მომსახურების ნაწილი და წარმოადგენს 782,914 ლარს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ზრდა წინა წელთან შედარებით განპირობებულია 2017 წლის მეორე ნახევარში დამხმარე თანამდებობების საშტატო რიცხოვნებიდან შტატგარეშე პოზიციებად გარდაქმნით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქციიდან გამომდინარე.

სოციალური უზრუნველყოფის ხარჯის ზრდა 2018 წელს განპირობებული იყო რეორგანიზაციით.

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (არააუდიტირებული)
შტატის თანამშრომლების ანაზღაურება	11,773,018	11,978,569
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	782,914	490,672
სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი	366,139	227,885
სულ თანამშრომლების ანაზღაურება	12,922,071	12,697,126

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თანამშრომელთა და შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა იყო შესაბამისად 308 და 40 ადამიანი.

18. პირობითი ვალდებულებები

შესაბამისობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ ორგანული კანონთან

ჯგუფის საქმიანობა ძირითადად რეგულირდება ორგანული კანონით „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით, ორგანიზაცია აკმაყოფილებს ამ კანონის პირობებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

გადასახადები

ჯგუფი არაკომერციული ორგანიზაციაა და მასზე საჯარო დაწესებულებისთვის დამახასიათებელი საგადასახადო მოთხოვნები ვრცელდება. საგადასახადო ნორმების დარღვევის შედეგად ჯგუფს შეიძლება დამატებით დაეკისროს გადასახადების, ჯარიმების და საურავის გადახდა. ხელმძღვანელობის შეფასებით საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციამ ზუსტად მოახდინა საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა და გათვალისწინება.

საოპერაციო გარემო

ჯგუფის საქმიანობაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს ისეთმა ძირითადმა გარე ფაქტორებმა, როგორებიც არის სამართლებრივი სივრცე და საბიუჯეტო პროცესი. აღნიშნული მიმართულებებით დღეს არსებული მიღწევები, კერძოდ, რეფორმირებული სამართლებრივი საფუძვლები, ქმნის გარანტიებს ორგანიზაციის ფინანსური და ფუნქციონალური დამოუკიდებლობის შესახებ, რაც არსებითად განაპირობებს ჯგუფის გამართული საქმიანობისთვის შესაბამის გარემოს.

19. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მხარე დაკავშირებულად ითვლება, თუ ერთ-ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის კონტროლი ან მასზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა ფინანსური თუ საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებასას. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ყოველი ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ორგანიზაციას არ ჰქონია ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის გადახდილი ანაზღაურების გარდა. 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში უმაღლესი ხელმძღვანელობის - 4 ადამიანისათვის გადახდილმა ჯამურმა დარიცხულმა ანაზღაურებამ შეადგინა 409,453 ლარი.

	2018 წელი	
	თანამდებობრივი სარგო	პრემია
ირაკლი მექვაბიშვილი	79,810	-
დავით გოგიჩაიშვილი	76,881	33,000
ეკატერინე ლაზაძე	76,881	33,000
ნოდარ ჯავახიშვილი	76,881	33,000
სულ ანაზღაურება	310,453	99,000

20. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი ხარჯებსა და წმინდა აქტივებს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეძლოს უწყვეტი ორგანიზაციის სტატუსით ფუნქციონირების გაგრძელება და ამავდროულად, მიზნების მიღწევა მინიჭებული მანდატის განხორციელების პროცესში გაწეული ხარჯების ოპტიმიზების გზით.

ჯგუფის ოპერაციების მიმდინარეობისას წარმოშობილი ძირითადი ფინანსური რისკებია სახსრების არამიზნობრივი გამოყენებისა და ლიკვიდობის რისკი. ვინაიდან ჯგუფს არ აქვს პროცენტული ფინანსური ვალდებულებები ან მოგება-ზარალში აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები, მასზე საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო რისკების გავლენა არ მოქმედებს.

ქვეზენეფიცირების მიერ სახსრების არამიზნობრივი გამოყენების რისკი

ორგანიზაციაზე მოქმედებს სახსრების არამიზნობრივი გამოყენების რისკი, ანუ იმის რისკი, რომ სახსრების გამოყენება არ მოხდება დადგენილი მანდატის შესაბამისად და დამტკიცებული ბიუჯეტის პირობებით, და, ამდენად, ორგანიზაცია იზარალებს. ეს რისკი ძირითადად დაკავშირებულია პერიოდის განმავლობაში გამოყოფილი ასიგნების ხარჯვასთან.

ზემოაღნიშნული რისკების სამართავად, ორგანიზაციაში შექმნილია ფუნქციურად დამოუკიდებელი შიდა აუდიტის დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ამოცანაა შიდა კონტროლის ეფექტიანობისა და ადეკვატურობის შემოწმება, შეფასება და მონიტორინგი. შიდა აუდიტორების მიერ გამოტანილი დასკვნები გარემოებების შესაფერისი და სათანადოდ ხდება მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ზედამხედველობა, მიმოხილვა და დოკუმენტირება. ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს შიდა აუდიტორების მიერ წამოჭრილი საკითხების დროულ გადაჭრას და დანერგვას.

გარდა ამისა, შიდა კონტროლის გასაძლიერებლად, საფინანსო-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შესრულების პროცესში უფლება-მოვალეობები გადანაწილებულია შესაბამის პასუხისმგებელ თანამშრომლებს შორის. ნებისმიერი ფინანსური ტრანზაქცია საჭიროებს სულ ცოტა ორი დონის ავტორიზაციას, რაც მინიმუმამდე ამცირებს შეცდომის დაშვების და თაღლითობის ალბათობას.

ორგანიზაციაში, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, გენერალური აუდიტორის ბრძანებით, განსაზღვრულია საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მომწესრიგებელი შიდა პოლიტიკები და პროცედურები. ამასთანავე, ფუნქციონირებს კომისიები სახელმწიფო შესყიდვების, ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის, ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დაცვის და სხვა საკითხების მიმართულებით. კომპეტენციების მაქსიმიზაციის მიზნიდან გამომდინარე და აგრეთვე ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, თითოეულ კომისიაში წევრები შეირჩევიან როგორც ადმინისტრაციული, ასევე აუდიტორული ფუნქციის მქონე დეპარტამენტებიდან.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ორგანიზაცია ვერ შეძლებს ყველა ვალდებულების დროულად დაფარვას. ორგანიზაციის ლიკვიდობის პოზიცია ყურადღებით იმართება. ორგანიზაციაში მოქმედებს ბიუჯეტირებისა და ნაღდი ფულის დეტალური პროგნოზირების პროცესი, რომლის მიზანია ნაღდი ფულის ისეთი ოდენობის უზრუნველყოფა, რომელიც საკმარისი იქნება გადახდის ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

21. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ

საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე აღსანიშნავი მოვლენები არ მომხდარა.